CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 11 დეკემბერი, 2008 წელი. №277 (2021) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

## პატარკაციშვილის ოჯახი საერთაშორისო სასამართლოსთვის ემზადება

A5



## ლოთობა - რუსეთის პერსპექტივა

A7



## ფესტივალის მლაშე დღე

A9



# ჟენევის მეორე რაუნდამდე

დიმიტრი ავალიანი

*ევროკავშირი საქართველოში მოქმედი სადამკვირვებლო მისიის სამშვიდობო მისიად გარდაქმნას არ აპირებს, - ამის შესახებ საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა განაცხადა. თუმცა, რუსულ მედიაში ამის გამო ატეხილი საზეიმო აჟიოტაჟი უსაფუძვლო აღმოჩნდა - ასეთი მოთხოვნა თბილისს არც დაუყენებია. იმავდროულად, ევროკავშირი ჟენევის მოლაპარაკებების ახალი რაუნდის მოსამზადებლად, ასევე აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის ასამოქმედებლად კვლავ აქტიურად მუშაობს.*

**"ჩვენ უკვე ვახორციელებთ სრულფასოვან მისიას, ეს სადამკვირვებლო მისიაა,"** - განაცხადა გუშინ, რუსული სააგენტოების ცნობით, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში ჰავიერ სოლანამ. მისივე თქმით, არსებობს 27 წევრი სახელმწიფოს შეთანხმება, შეთანხმებები ქართულ და რუსულ მხარეებთან და ევროკავშირი ამ პოზიციის შეცვლას არ აპირებს.

გაგრძელება A3 გვერდზე



*პიერ მორელი: "ახლანდელი იდეები და წინადადებები კი დეკემბრის შეხვედრას უფრო პროდუქტიულს გახდის"*

AFP ' 2008

## დასავლური დიპლომატია აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანს განსაცდელში აგდებს

დევიდ ჯ. სმიტი

*სპეციალურად "24 საათისთვის"*

რუსეთ-საქართველოს ომის ცხელი ფაზის დასრულებიდან ოთხი თვის შემდეგაც კი რუსეთი განაგრძობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ევროკავშირის შუამავლობით მიღწეულ 12 აგვისტოს და 8 სექტემბრის შეთანხმებების დარღვევას. მიუხედავად ამისა, 2 დეკემბერს ევროკავშირმა დაასრულა რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის განახლების შესახებ მოლაპარაკებები, რაც მან საქართველოზე აგვისტოში განხორციელებული რუსული თავდასხმის გამო 1 სექტემბერს შეაჩერა. ამ ქარაფშუტული დიპლომატიის შედეგები არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევროკავშირის დიპლომატიის ერთიანობისა და დასავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესებისთვისაც დამღუპველია.

რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების მიმდებარე ქართული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანასა და 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე დაბრუნებას დათანხმდა. მას ამ ორი პირობიდან არც ერთი არ შეუსრულებია.

აღნიშნული ორი რეგიონის გარდა, რუსეთს მსუბუქი ქვეითი ნაწილები განთავსებული ჰყავს საჩხერის რაიონის სოფელ პერევში, რომელიც სამხრეთ ოსეთის სამხრეთით მდებარეობს. რუსეთს დაკავებული აქვს, აგრეთვე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის შემადგენლობაში შემავალი ახალგორის რაიონი (სამხრეთ ოსეთის აღმოსავლეთით), სადაც, დაახლოებით, 1000 ჯარისკაცი, დიდი რაოდენობის ჯავშანტექნიკა და რამდენიმე ტანკია დისლოცირებული.

გაგრძელება A4 გვერდზე

## განახლებული მთავრობის გეგმები

*განახლებული მთავრობის პირველი სხდომა გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. პრეზიდენტმა მინისტრებს ევროპულ ინსტიტუტებთან უფრო მეტად დაახლოება, ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფა და შეიარაღებული ძალების სწორი გზით მშენებლობა დაუსახა მიზნად.*

ნათია მსხილაძე

**"ახალ მთავრობას ძალიან საპასუხისმგებლო მომენტში უწევს მუშაობა. ქვეყანაში პერიოდულად ხდება მთავრობის ფუნდამენტური განახლება, ახალი სისხლის გადასხმა, ამის მიზანი კი ის არის, რომ მთავრობამ, მსოფლიო კრიზისისა და სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობის პირობებში, რამდენიმე სხვა მთავარი ამოცანის შესრულებაც უნდა შეძლოს,"** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა განახლებული მთავრობის პირველ სხდომაზე.

### ეროვნული უშიშროების საბჭო

საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შემდეგ დღემდე გაურკვეველი იყო, ვინ დაიკავებდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტს. ამ თანამდებობაზე აქტიურად სახელდებოდა ორი კანდიდატის - გიგა ბოკერიასა და ეკა ტყეშელაშვილის გვარები. თუმცა დაუდასტურებელი ინფორმაციით, პრეზიდენტმა არჩევანი ეკა ტყეშელაშვილზე შეაჩერა. რაც შეეხება ამ პოსტის ყოფილ მფლობელ კახა ლომაიას, წინასწარი ინფორმაციით, იგი გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელ ირაკლი ალასანიას შეცვლის.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

## ნაღმი ფხვენისის ხიდზე

გორის რაიონის სოფელ ნიქოზთან ფხვენისის ხიდზე დისტანციური მოწყობილობით დამონტაჟებული მიმართულებითი ნაღმი აფეთქდა.

ინციდენტი გუშინ დილით 06:00 საათზე შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის პატრულირებისას მოხდა. როგორც "პირველს" შსს-დან აცნობეს, აფეთქებისას საპატრულო პოლიციის ავტომანქანა დაზიანდა. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. **პირველი**

## უცხოელი ჟურნალისტები ცხინვალში

ე.წ. სამხრეთ ოსეთში უცხოური მედიის 20-მდე წარმომადგენელი იმყოფება. როგორც "ოსინფორმი" იუწყება, ჟურნალისტების ვიზიტის პროგრამა ძალიან გადატვირთულია: 2 დღის განმავლობაში მათ ომის შედეგად დაზიანებული ტერიტორიებისა და იქ მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების მონახულება უნდა მოასწრონ. **პირველი**

## რუსული გენშტაბის უფროსის პასუხი

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს ნიკოლაი მაკაროვის მტკიცებით, "საქართველოში შეჭრის გეგმა არ ყოფილა და ახლაც არ არსებობს." "გავცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსეთი 2009 წლის გაზაფხულზე ისევ აპირებს საქართველოში შეჭრას, სიმართლეს არ შეესაბამება," - განაცხადა მაკაროვმა, თუმცა აქვე დასძინა, რომ "თბილისი რეგიონში სიტუაციის გამწვავებას აგრძელებს". მაკაროვი აგვისტოში ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე მთელ პასუხისმგებლობას თბილისს აკისრებს. "მე, როგორც გენშტაბის უფროსი, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ 8 აგვისტოს 14:00 საათამდე არც ერთი რუსული ტანკი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა," - განაცხადა მაკაროვმა მოსკოვში უცხოელ სამხედრო ატაშეებთან შეხვედრაზე. კალინინგრადის ოლქში სარაკეტო კომპლექს "ისკანდერის" განთავსება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გაცემული პასუხია. ეს საპასუხო ნაბიჯია ჩეხეთსა და პოლონეთში ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებისთვის სამხედრო ბაზების მშენებლობის განზრახვაზე, - განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა. "ვინც რაც და როგორც არ უნდა თქვას, ჩეხეთსა და პოლონეთში მშენებარე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ანტირუსულ ხასიათს ატარებს", - დასძინა მან. **საკუთარი ინფორმაცია**

## 2,5 მილიარდი რუბლი აღდგენითი სამუშაოებისთვის

მოსკოვმა ცხინვალში აღდგენითი სამუშაოებისთვის ქალაქის სარეზერვო ფონდიდან 2,5 მილიარდი რუბლი გამოყო, - იუწყება "რია ნოვოსტი". ამ თანხით მოსკოველი მშენებლები აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებულ ცხინვალში 100 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს ააშენებენ. მოსკოვის ინფორმაციით, აგვისტოს მოვლენების დროს ცხინვალში შენობების 80 პროცენტი და საცხოვრებელი სახლების 50 პროცენტი დაინგრა. **ინტერპრესნიუსი**

## ახალი საფოსტო მარკა

მიმოქცევაში 7 ახალი საფოსტო მარკა გამოვიდა. ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების მიხედვით, 5 დეკემბრიდან მიმოქცევაში გავიდა 4 დასახელების მარკა "პეკინის ოლიმპიადა" (0,1; 0,3; 0,6 და 0,8 ლარის ნომინალის), 2 დასახელების მარკა "ევროპა 2008 - წერილები" (0,9 და 1 ლარის ნომინალის) და მარკა "მეფე დავით IV აღმაშენებელი, გელათი, ფრესკა IX ს" (0,5 ლარის ნომინალის). გამოშვებული საფოსტო საგადახდო ნიშნების ტირაჟი ჯამში 855 ათასს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## ახალი ლიტერატურა ბიბლიოთეკისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებითა და ელექტრონული რესურსით აღიჭურვა. ლიტერატურა სამედიცინო უნივერსიტეტს გუშინ სამეცნიერო ფონდის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ გადასცა. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებისთვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენა 500 ათასი ლარით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. კონკურსის შედეგად გრანტი ხუთმა უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გრანტის ოდენობა 85 118 ლარს შეადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურით, პერიოდული გამოცემებითა და ელექტრონული რესურსით უკვე აღჭურვილია ილია ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები.

ყოველწლიურად სამედიცინო უნივერსიტეტში 100 000 წიგნით 70 ათასი სტუდენტი, 800-ზე მეტი რეზიდენტი, მეცნიერ-მუშაკი და ასპირანტი სარგებლობს. 2006 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა 180 დასახელების 616 წიგნის და ელექტრონული გამოცემის შეძენა. განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით (23 300 ლარი) შეძენილია სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. **ინტერპრესნიუსი**

# კოკოითის დედის სიზმარი

### კოკოითმა პრეზიდენტობა მიცვალებული ბაბუის რჩევით გადაწყვიტა

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელმა ედუარდ კოკოითიმ რუსულ გამოცემა "კომსომოლსკაია პრავდას" ინტერვიუ მისცა, სადაც ის ამტკიცებს, რომ აგვისტოს მოვლენებისას ცხინვალიდან არ გაქცეულა, უბრალოდ, "ჭუჭყიანი და გაუპარსავი" იყო და ტელეკამერების წინ გამოჩენას ერიდებოდა. კოკოითის მტკიცებით, ზემოხსენებული ხმები მას დიმიტრი სანაკოევმა გაუვრცელა, რომელიც მის წინააღმდეგ ინფორმაციულ ომს ხელმძღვანელობს.

ცნობისათვის - კოკოითს ცხინვალიდან გაქცევაში რეჟიმის ე.წ. უშიშროების ყოფილი მდივანი ბარანკევიჩი და ე.წ. მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი მოროზოვიც ადანაშაულებენ. ვლადიკავკაზელმა ძმებმა კოზაევებმა კი კოკოითს ჯავაში პირდაპირ უწოდეს ლაჩარი და ამის გამო ისინი დღემდე ცხინვალის ციხეში იმყოფებიან. "კომსომოლსკაია პრავდასთვის" მიცემულ ინტერვიუში კოკოითმა განაცხადა: **"2003 წლის იანვარში სააკაშვილმა სამი ჩინოვნიკი გამომიგზავნა, რომლებმაც 20 მილიონი დოლარი შემომთავაზეს და სამაგიეროდ მთხოვეს, რომ ან თანამდებობაზე მეთქვა უარი, ან ჩემი ხალხი რუსეთის ნაცვლად საქართველოსკენ შემომებრუნებინა. მე მათ, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. შემდეგ საიმედო წყაროებისგან გაირკვა, რომ სააკაშვილმა არა 20, არამედ 50 მილიონი გამომიგზავნა, მაგრამ ქურდმა ემისრებმა თანხა მოტეხეს და გაიყვეს,"** - განაცხადა კოკოითმა. მისი თქმით, იმ დროისთვის მას სააკაშვილთან პირადი მტრობა არ ჰქონდა, რამდენადაც მას "ხელები ოსების სისხლით ჯერ კიდევ არ ჰქონდა გასვრილი."

კოკოითი ასევე იხსენებს, რომ რუსმა სამშვიდობოებმა მას სთხოვეს, სააკაშვილი ცხინვალის გავლით ქართული სოფლებისკენ გაეტარებინა, რაზეც იგი დათანხმდა.

**"მაგრამ მან მარშრუტი შეცვალა და ცხინვალის ცენტრალურ უნივერმაღში შევიდა, რადგან იცოდა, რომ იქ ქართველები ვაჭრობდნენ. მას თან ახლდნენ ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვა ძალოვანები. როცა სააკაშვილმა უნივერმაღში მიტინგი მოაწყო, ჩვენმა მინისტრმა მას შენობის დატოვება მოსთხოვა. სააკაშვილი არ დაემორჩილა. მაშინ მისი დაცვა განაიარაღეს და შუბლზე ავტომატის ლულები მიადეს,"** - განაცხადა კოკოითიმ.

კოკოითმა ე.წ. პრეზიდენტად კენჭისყრა მაშინ გადაწყვიტა, რაც დედამისმა სიზმარი ნახა. **"სიზმარში მკვდარი ბაბუაჩემი მე მეძებდა. დედაჩემმა უთხრა, დაანებე ედიკას თავი, არაფერი ავნოო. ბაბუაჩემმა უთხრა - ეგ მე კი არა, თავის ხალხს სჭირდებაო. ამის შემდეგ გადავწყვიტე პოლიტიკაში წასვლა,"** - ყვება კოკოითი.

მარიონეტული რეჟიმის ხელმძღვანელი საკუთარი გვარის შეცვლაშიც ქართველებს ადანაშაულებს. კერძოდ, კოკოითის მტკიცებით, მან გვარი კოკოევი კოკოითად იმიტომ გადაიკეთა, რომ "ქართველი ნაციონალისტები მუდმივად ადანაშაულებდნენ ოსებს, რომ მათ გვარის რუსული დაბოლოება ჰქონდათ."

*საკუთარი ინფორმაცია*

# გალში ვითარება იძაბება

რუსული მედიის ინფორმაციით, **"აფხაზეთის რესპუბლიკის მთავარსარდალ სერგეი ბაგაფშის ბრძანებულებისა და აფხაზეთის თავდაცვის მინისტრ მერაბ ქიშმარიას განკარგულებით, აფხაზეთის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის ნაწილმა საქართველოს საზღვრის მიმართულებით გადაადგილება დაიწყო."** სეპარატისტთა ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე პავლუშკოს განცხადებით, სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილის შეცვლა საქართველოს საზღვრის მიმართულებით **"საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის კეთდება"**. მისივე თქმით, ე.წ. შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის ნაწილი **"სახელმწიფო საზღვრის დაცვაში აფხაზეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ძალებს დაეხმარება."**

სეპარატისტთა ე.წ. თავდაცვის სამინისტრო ასევე იუწყება, რომ ე.წ. შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის ნაწილში შედიან სატანკო დანაყოფები, ნაღმმტყორცნი და საარტილერიო ბრიგადები.

**"აფხაზური არმიის დანაყოფები დღეიდან გალის რაიონის დაბალი ზონის შემდეგ დასახლებულ პუნქტებს დაიკავებენ: ნაბაკევი, თაგილონი, ფიჩორი. აფხაზური არმიის ნაწილები ითანამშრომლებენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ნაწილებთან, რომლებიც საქართველოსთან მოსაზღვრე ზოლში არიან განლაგებულნი,"** - იუწყება სეპარატისტთა ე.წ. თავდაცვის სამინისტრო.

ამავე უწყების ინფორმაციით, აფხაზეთის ე.წ. არმიის ნაწილების გადაადგილებას გალის რეგიონში პირადად ე.წ. თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია აკონტროლებს.

გალის რაიონის სოფლებში ფიჩორსა და გაგიდაში რუსმა ოკუპანტებმა მძიმე ტექნიკა შეიყვანეს.

**"სოფლებში ოკუპანტებმა მძიმე ტექნიკა და ცოცხალი ძალა შეიყვანეს. ისინი ყველა სახლში შედიან და მოსახლეობას პასპორტებს უმოწმებენ,"** - განაცხადა აფხაზეთის მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილემ პაატა შამუგიამ. აღსანიშნავია, რომ რუსი ოკუპანტების ხშირი გადაადგილება გალის რაიონის ყველა სოფელში შეინიშნება, რის გამოც მოსახლეობა შეშინებულია.

გალის რაიონის სოფელ გაგიდას მოსახლეობას კი ბავშვები კონფლიქტის ზონიდან გაჰყავს. **"განვითარებული მოვლენების გამო სიტუაცია სოფელში დაძაბულია. მოსახლეობა ცდილობს, ბავშვები სოფლიდან გაიყვანოს. ამჟამად სკოლაში 104 მოსწავლიდან მხოლოდ 70 დარჩა. მოსწავლეები ზუგდიდისა და თბილისის სკოლებში გადაჰყავთ,"** - განახადა სოფელ გაგიდის სკოლის დირექტორმა დარეჯან ბჟინავამ.

გალის რაიონის 4 სოფელში დამატებით შეყვანილი ცოცხალი ძალა სამი თვის განმავლობაში უფასოდ იმსახურებს. აუნაზღაურებელი სამუშაოს სანაცვლოდ კი რუსეთის ფედერალური არმიის ჯარისკაცებს გაგრაში და სოხუმში სახლებს გადასცემენ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# "მწვანეები" გრიგოლ ვაშაძეს რუსეთის წარმომადგენლად მიიჩნევენ

"მწვანეთა პარტიის" ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე საგარეო საქმეთა მინისტრად გრიგოლ ვაშაძის დანიშვნას აპროტესტებს: **"მოვითხოვთ, რომ შეწყდეს მტრულად განწყობილი პირების დანიშვნა ქვეყნის სტარატეგიულ თანამდებობებზე და ლუსტრაციის კანონი სასწრაფოდ იქნეს მიღებული,"** - განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

მან საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, რომ გადაიკითხოს გრიგოლ ვაშაძის ბიოგრაფია და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია. მისი თქმით, **"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ხელისუფლება წამყვან პოსტზე ნიშნავს ადამიანს, რომელიც რუსეთის წარმომადგენელია საქართველოში. ვაშაძე 80-იან წლებში სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე დახურულ - "კოსმოსისა და ბირთვული შეიარაღების" განყოფილებაში მუშაობდა. გარდა ამისა, ეს კაცი რუსეთის მოქალაქეა, რასაც გაზეთ "კომერსანტში" გამოქვეყნებული ვაშაძის ინტერვიუც ადასტურებს,"** - დასძინა გაჩეჩილაძემ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# "კონსერვატორები" ვაზის გაჩეხვას ეწინააღმდეგებიან

"მწვანეების" თავმჯდომარის პრესკონფერენციის პარალელურად, მედიის წარმომადგენლებს "კონსერვატიული პარტიის" ლიდერიც შეხვდა. მან პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი გააკრიტიკა, მაგრამ მისი უკმაყოფილება საკადრო ცვლილებებს არ შეხებია. ძიძიგურმა ხელისუფლება ყვარლის რაიონში ვენახების მიზანმიმართულ განადგურებაში დაადანაშაულა: **"მიმდინარე წლის 19 ნოემბერს ახალმა პრემიერმა გრიგოლ მგალობლიშვილმა განკარგულებას მოაწერა ხელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რქაწითელის ჯიშის ვენახის შემცირების მიზნით, სახელმწიფო გლეხებს, კომპენსაციის სახით, 1 ჰექტარზე 2 ათას ლარს გადაუხდის. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტიდან 60 ათასი ლარია გამოყოფილი. გლეხები ვაზის გაჩეხვისთვის კომპენსაციას მიიღებენ,"** - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ჟენევის მეორე რაუნდამდე

პირველი გვერდიდან

რუსულმა მედიამ სოლანას განცხადებას "საზეიმო" სათაურები და ინტერპრეტაცია დაურთო - "ევროკავშირმა საქართველოს სამშვიდობო მისიის განხორციელებაზე უარი უთხრა" და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ "24 საათთან" საუბრისას ამგვარი შეფასებები კატეგორიულად უარყო და აღნიშნა, რომ სოლანამ მხოლოდ პასუხი გასცა დასმულ შეკითხვას - ხომ არ აპირებს ევროკავშირი ამ ეტაპზე საქართველოში "სრულფასოვანი სამშვიდობო ოპერაციის" განხორციელებას.

**"ჩვენი მხრიდან ეს საკითხი ჯერ არ დაყენებულა,"** - აღნიშნა გიორგი ბარამიძემ, რომელიც 9 დეკემბერს ბრიუსელში ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა. მისი თქმით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ახალი დაწყებულია და თბილისი **"წინმსწრებად"** მისი ფორმატის შეცვლის საკითხის დაყენებას არ აპირებს.

გუშინ სოხუმში ჩავიდნენ ევროკავშირისა და ეუთო-ს წარმომადგენლები - კრიზისულ საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიერ მორელი, კონფლიქტების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენელი ხარლამპოს ხრისტოპოლუსი და საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ალექსის კაცარეასი. მათ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება საგანგებოდ ჟენევის შეხვედრის წინ გამართეს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო კონსულტაციების მორიგი რაუნდი ჟენევაში 17-18 დეკემბრისთვის არის დაგეგმილი.

როგორც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან შეხვედრის შემდეგ პიერ მორელმა განაცხადა, **"ჩვენ საკითხების ვრცელი ნუსხა გვაქვს, რომელთა განხილვაც გვსურს. დღის წესრიგი შეიცვალა და ჩვენ პროდუქტიულ მუშაობას ვაპირებთ."** მისი თქმით, ნოემბერში ჟენევაში გამართული კონსულტაციები **"სასარგებლო"** იყო, **"ახლანდელი იდეები და წინადადებები კი დეკემბრის შეხვედრას უფრო პროდუქტიულს გახდის."**

თავის მხრივ სერგეი შამბამ აღნიშნა, რომ აფხაზური მხარე თანახმაა, განიხილოს ყველა წინადადება. **"ჩვენ ძალიან ახლოს ვართ განსახილველ საკითხებზე ურთიერთგაგებასთან. თუ პროცესი ასე განვითარდა, უახლოეს მომავალში ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტის გზას ვიპოვით. დღეს ჩვენ მზად ვართ, რომ გულახდილად და კონსტრუქციულად ვიმუშაოთ,"** - განაცხადა შამბამ. არც მას და არც ევროპელ დიპლომატებს ახალი წინადადებების შინაარსი არ განუმარტავთ.

იმავდროულად, ევროკავშირის მიერ შექმნილი აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინი გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შეხვდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, კარასინმა ევროკავშირის წარმომადგენელს **"აგვისტოს მოვლენების მიზეზების შესახებ ობიექტური პოზიციის შემუშავების"** და **"90-იანი წლების დასაწყისიდან მოვლენების ზუსტი თანმიმდევრობის დადგენის"** აუცილებლობა შეახსენა.

გარდა ამისა, გუშინ კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფი თავდასხმის ობიექტი გახდა. შსს-ს ცნობით, 17.00 საათზე სოფელ ხვითთან ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ავტომანქანის მიმართულებით ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ცეცხლი გაიხსნა. ეუთო-ს დამკვირვებლები ზემო ხვითის ტერიტორიაზე პატრულირებას აწარმოებდნენ. სროლის შედეგად დაჯავშნული ავტომანქანა დაზიანდა, დამკვირვებლები არ დაშავებულან.

# განახლებული მთავრობის გეგმები

პირველი გვერდიდან

## ქართული დიპლომატია და რუსულ-ევროპული დიალოგი

გუშინ ქართული დიპლომატიურ კორპუსის ახალმა ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მინისტრის მოადგილის პოსტებს გიგა ბოკერია და ნინო კალანდაძე შეინარჩუნებენ. **"ბატონმა გიგა ბოკერიამ დამდო პატივი და რჩება. ეს ჩემი თხოვნა იყო,"** - განუცხადა მან ჟურნალისტებს სამინისტროში წარდგენის შემდეგ.

საკადრო საკითხების გარდა, გუშინ ვაშაძემ საგარეო პოლიტიკაზეც გაამახვილა ყურადღება. საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთ-ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების დაწყებას მიესალმება და აცხადებს, რომ რუსულ-ევროპული დიალოგის განახლების გარეშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი ადგილიდან არ დაიძვრება. **"ევროკავშირი საჭიროდ მიიჩნევს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყოს, რაც საქართველოსთვის უდავოდ დადებითი შედეგის მომტანი იქნება. ევროკავშირმა აიღო ვალდებულება, ეჭვქვეშ არასდროს დადგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა,"** - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ.



*განახლებული მთავრობა მუშაობას შეუდგა.*

## თავსებადობა ნატო-სთან

საქართველოს თავდაცვის ახალი მინისტრი დავით სიხარულიძე ორიენტირს ნატო-ს სტანდარტებზე იღებს და აცხადებს, რომ **"თავდაცვის სისტემაში ძირეული რეფორმების გატარება გაგრძელდება". "ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ქართული თავდაცვის სისტემა ნატო-ს სტანდარტებს მიუახლოვდეს. ჩვენს უცხოელ კოლეგებთან და მეგობრებთან პარტნიორობა აქტიურად გაგრძელდება,"** - განაცხადა დავით სიხარულიძემ.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, სიხარულიძის ინფორმაციით, უწყებაში ფუნდამეტური ცვლილებების განხორციელებას არ აპირებს. სამაგიეროდ, მისი თქმით, ყველაფერი გაკეთდება, რათა უწყების ინსტიტუციური სრულყოფა მოხდეს. სამინისტროს განვითარების ხედვას თავდაცვის ახალი მინისტრი ახლო მომავალში წარმოადგენს.

## ქართული ეკონომიკის თითოეული წუთი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახლად დანიშნულ მინისტრ ლაშა ჟვანიას განცხადებით, ყველაფერი გაკეთდება, რათა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკა გადარჩეს.

ეკონომიკის მინისტრმა პირობა დადო, რომ ქართული ეკონომიკის გადასარჩენად თითოეულ წუთს გამოიყენებს. **"თითოეული წუთი გამოსაყენებელია, რათა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკა რაღაცნაირად გადარჩეს,"** - აღნიშნა ლაშა ჟვანიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ.

## უსაფრთხო სკოლები

რაც შეეხება განათლების ახალი მინისტრის გეგმებს, ნიკა გვარამიას თქმით, საქართველოში არსებობს უსაფრთხო სკოლების პრობლემა, რაც აუცილებლად მოსაგვარებელია. **"ამ კუთხით ბევრი რამის გაკეთება შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კოორდინირებული თანამშრომლობა სკოლებსა და მშობლებს შორის. მშობელმა უნდა იცოდეს, სად იმყოფება მისი შვილი, ხოლო მასწავლებელმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, რაც უსაფრთხო სკოლის შექმნას შეუწყობს ხელს,"** - მიიჩნევს ნიკა გვარამია.


# კომპანია „სილქ როუდ ჯგუფის“ საგანგებო განცხადება

მიმდინარე კვირას ერთ-ერთ გაზეთში გავიდა მცდარი ინფორმაცია კომპანია „სილქ როუდ ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი რამიშვილის ვითომდა დაკავების თაობაზე. გვსურს განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება.

ჩვენი კომპანია მრავალ წარმატებულ ბიზნესს აწარმოებს, როგორც რეგიონში ისე საქართველოში, მათ შორის კულტურის, ძეგლთა აღორძინების და სპორტის პოპულარიზაციის სფეროებში. ამ მიზნით „სილქ როუდ ჯგუფმა“ მოიზიდა ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტიცია და მის გაზრდას მომავალშიც გეგმავს. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები წამყვან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან.

გვსურს აღვნიშნოთ, რომ მსგავსი სახის ინფორმაცია ზიანს აყენებს ჩვენს რეპუტაციას, ასევე უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

**„სილქ როუდ ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**


## პრეზიდენტების ვიზიტის შესახებ რუსებმა წინასწარ იცოდნენ!

საქართველოს ხელისუფლებამ 23 ნოემბერს რუსული მხარე გააფრთხილა, რომ ახალგორის რაიონში პოლონური დელეგაცია აპირებდა ჩასვლას. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პოლონურ ტელეარხ "ინფოს" განუცხადა. "ამიტომ მათი რეაქცია გაუგებარი იყო. ისროდნენ რუსები. ჩვენ ამგვარ პროვოკაციას არასდროს მოვაწყობდით, რადგან ეს ჩვენს ინტერესებში არ შედის," - აღნიშნა სააკაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ახალგორის მონახულება მან და ლეხ კაჩინსკიმ ერთობლივად გადაწყვიტეს. სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ქართველებისთვის სტუმრის უსაფრთხოება ღირსების საქმეა. მიხეილ სააკაშვილისა და ლეხ კაჩინკის კორტეჟს ახალგორის შესასვლელთან განთავსებულ რუსულ საგუშაგოსთან ცეცხლი 23 ნოემბერს გაუხსნეს. რუსული და ოსური მხარეების მტკიცებით, "ეს საქართველოს ხელისუფლების პროვოკაცია იყო". ქართული მხარე კი მომხდარში რუს სამხედროებს ადანაშაულებს. **ინტერპრესნიუსი**

## საიდუმლო შეხვედრა შავნაბადას რეზიდენციაში

გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი ირაკლი ალასანია ნატო-ს მინისტერიალამდე ორი კვირით ადრე თბილისში იმყოფებოდა. იგი ქვეყნის პირველ პირს შეხვდა და დაკავებული პოსტიდან გადადგომის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მას პირადად აცნობა, - ეს ინფორმაცია საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ დაადასტურა. როგორც კულუარებში საუბრობენ, ალასანია მიხეილ სააკაშვილს შავნაბადას რეზიდენციაში შეხვდა, სადაც მათ შორის აგვისტოს მოვლენებზე საკმაოდ დაძაბული საუბარი წარიმართა. ვეფხვაძის თქმით, მისთვის ცნობილია, რომ ალასანია პრეზიდენტს პირისპირ სწორედ თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილების გამო შეხვდა. "ალასანიას პრეზიდენტთან საუბრისას აგვისტოს ომის გამოც გამოუთქვამს უკმაყოფილება, თუმცა ჯერ კიდევ უცნობია მისი გადაწყვეტილება რამდენად უკავშირდება აგვისტოს მოვლენებს," - ამბობს ვეფხვაძე. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ალასანიას გადაწყვეტილება პრეზიდენტისთვის წინასწარ იყო ცნობილი. **საკუთარი ინფორმაცია**.

## კოკოითის პირადი მცველის მკვლელობა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მისი პირადი მცველის მკვლელობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. "ჩემი დაცვის არც ერთი თანამშრომელი არ არის მოკლული, პიროვნება არსენ ძუგაევი კი ჩემს დაცვაში საერთოდ არ არის. ეს ქართული მედიის მორიგი პროვოკაციაა. როგორც ჩანს, ქართველ ჟურნალისტებს მეტი საქმე არა აქვთ," - განაცხადა კოკოითმა. გავრცელებული ინფორმაციით კი, არსენ ძუგაევი 8 დეკემბერს უცნობმა პირებმა გაიტაცეს, ხოლო მოგვიანებით რუსმა სამხედროებმა მისი ცხედარი იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, ძუგაევი გაგუდულია. **პირველი**

## "დევნილებს ყველანაირი საცხოვრებელი პირობა აქვთ შექმნილი"

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარემ მალხაზ აკიშბაიამ გუშინ ქუთაისში ჩასახლებული დევნილების საცხოვრებელი პირობები მოინახულა. "ქუთაისში კოდორის ხეობიდან დევნილი 118 ოჯახი ცხოვრობს. ჩვენ მოვინახულეთ ისინი და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები ჩავუტანეთ. მათ ყველანაირი საცხოვრებელი პირობა აქვთ შექმნილი," - განაცხადა "პირველთან" საუბრისას აკიშბაიამ. **პირველი**

## ილია მეორისა და დმიტრი მედვედევის შეხვედრა

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორეს დაკრძალვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. შეხვედრა 45 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. "მე ძალიან ვაფასებ ქართველ ერს და რუსულ-ქართული ურთიერთობის დარეგულირებით დაინტერესებული ვარ. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ," - განუცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მედვედევმა. **პირველი**

## ოქრუაშვილის პარტია ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს აღნიშნავს

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა დაცვის დღე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქცია-ბრიფინგით აღნიშნეს. პარტიის მდივანი ეკა ბესელია აცხადებს, რომ შსს არის ის უწყება, სადაც იგეგმება და ხორციელდება ადამიანების დევნა. თუმცა, ბესელიას თქმით, ამ მხრივ მერაბიშვილის უწყებას პროკურატურა და სასამართლოც არ ჩამოუვარდება. "შს სამინისტრო ადამიანის უფლებების შემლახავ მთავარ უწყებადაა ქცეული. სწორედ მერაბიშვილის სამინისტროში იგეგმება და ხორციელდება ადამიანების დევნა პოლიტიკური და სხვა ნიშნით. შეიძლება ითქვას, რომ მას ამ მხრივ კონკურენტი არ ჰყავს, თუმცა შსს-ს ასევე არ ჩამოუვარდებიან პროკურატურა და სასამართლო. ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შელახვის კუთხით უპრეცედენტო მაჩვენებლი ფიქსირდება. გრძელდება საკუთრების უფლების ხელყოფა, პოლიტიკური დევნა და შანტაჟი. ქვეყანა, ფაქტობრივად, პოლიციურ რეჟიმში ცხოვრობს," - განაცხადა ბესელიამ. აქციას "მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. მათი განცხადებით, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ვანო მერაბიშვილისა და ხელისუფლების გადაგომაა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დასავლური დიპლომატია აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანს განსაცდელში აგდებს

პირველი გვერდიდან



*დევიდ სმითი*

7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე ჯარების დაბრუნება ნიშნავს, რომ აქედან უნდა გავიდეს ყველა, სამშვიდობოების გარდა, ვინც ამ ტერიტორიებზე ომამდე არ იმყოფებოდა. ნაცვლად ამისა, რუსეთმა დაიკავა ზემო აფხაზეთი, იგივე კოდორის ხეობა, რომელიც ომამდე ქართული მხარის მიერ კონტროლდებოდა. მეტიც, რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისგან კბილებამდე შეიარაღებულ პლაცდარმს ქმნის კავკასიონის მთიანეთის ქართულ ნაწილში.

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთთან ახალგორის მიერთებით რუსულმა ჯარმა ხელში ჩაიგდო კიდევ ერთი ხელსაყრელი პოზიცია, რომელიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალისა და რკინიგზიდან რამდენიმე წუთის სავალში მდებარეობს. მეტიც, ახალგორის გზისა და ცენტრალური ავტომაგისტრალის შეერთების წერტილი თბილისთან 45 კილომეტრით უფრო ახლოსაა, ვიდრე სამხრეთ ოსეთიდან მომავალი მთავარი გზა და საქართველოს დედაქალაქის მიმართულებით ამ გზაზე მდინარეზე გადასასვლელების რაოდენობაც გაცილებით ნაკლებია.

რუსების პერევში ყოფნა ნაკლებად სტრატეგიული მნივშნელობისაა, მაგრამ რუსეთის წარმომადგენელმა ეუთო-ში ანვარ აზიმოვმა ეს პოლიტიკური არგუმენტი კრისტალურად წმინდად განმარტა:

**"ახალგორი სამხრეთ ოსეთის ხუთი რაიონიდან ერთ-ერთია და მას ადრე ლენინგორი ერქვა... ის, რომ ლენინგორი სამხრეთ ოსეთის ნაწილი იყო, ეჭვს არ იწვევს. იგივე შეიძლება ითქვას სოფელ პერევზეც - საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, ეს სოფელი სამხრეთ ოსეთს ეკუთვნოდა."**

რუსეთის იმპერიალისტური მესიჯი ისევე ნათელია, როგორც მისი სტრატეგიული მიზანი საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციისას.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მეორე შეთანხმებაზე რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მიერ ხელის მოწერის შემდეგ მელანიც არ იყო გამშრალი, როცა მისმა თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ 7 აგვისტომდე არსებულ პოზიციებზე ჯარს არ გაიყვანდა. ნაცვლად ამისა, ანატოლი სერდიუკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ოკუპირებული ქართული ტერიტორიის თითოეულ ნაწილში 3,800 ჯარისკაცს განათავსებდა.

19 ნოემბერს, რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, რომ დაახლოებით ამ რაოდენობის სამხედროები აფხაზეთში - გუდაუთის სამხედრო-საჰაერო ბაზასა და ოჩამჩირის საზღვაო ბაზაზე უკვე იმყოფებიან და იგივე ზომის კონტინგენტია დისლოცირებული სამხრეთ ოსეთში - ჯავაში და ცხინვალის გარშემო.

ზოგიერთის აზრით, საქართველოში რუსი სამხედროების რაოდენობა უკვე გაცილებით მეტია. რამდენიც არ უნდა იყვნენ ისინი, რუსი ჯარისკაცები სამხრეთ ოსეთში 10 ათას კაცზე გათვლილ სამ ბაზას აშენებენ. ამავე დროს, რუსეთი უკვე შეუდგა აფხაზი სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი გალის რაიონის მაღალი მობილურობის ქვეითი ჯარების პლაცდარმად გადაქცევას.

ასეთი მტკიცე პოზიციებიდან რუსულ სამხედრო ძალებს შეუძლიათ, სწრაფად გადაკეტონ საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო არტერია, დაიკავონ ფოთის პორტი და მის მახლობლად მდებარე სუფსის ნავთობტერმინალი, გაიარონ მცხეთა - ქართული ქრისტიანობის აკვანი - და შეიჭრნენ თბილისში. როდესაც ფსონზე ამდენი რამ დევს, ქართულ შეიარაღებულ ძალებს ყველაფრის გაღება მოუწევთ, რათა რუსეთის ახალ თავდასხმას წინ აღუდგნენ.

საქმე ისაა, რომ რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული შეთანხმებების აბუჩად აგდებაზე ევროპის დათმობა ხელს უწყობს ცეცხლსაშიში კერების არსებობას სამხრეთ კავკასიაში, რომელიც უფრო არასტაბილური გახდა, ვიდრე ომამდე იყო.

ასანთი კი რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის ხელშია. **"რაც შეეხება რუსეთის მხარდაჭერას, მოგეხსენებათ, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებს ხელი უკვე მოვაწერეთ და ეს საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ რუსეთი ამ რეგიონების დატოვებას არ აპირებს,"** - განაცხადა მან 4 დეკემბერს სატელევიზიო პირდაპირი ეთერის დროს.

ამის გათვალისწინებით, ევროპას არ ჰყოფნის სიმამაცე, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების შესრულება მკაცრად მოითხოვოს.

მოკლევადიან პერსპექტივაში ამას, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიის ცეცხლსაშიში კერების აალება მოჰყვეს. საშუალოვადიან პერსპექტივაში კი ის ევროკავშირის დიპლომატიას გააუფასურებს.

იმდენად, რამდენადაც აშშ-მ უარი თქვა სუპერძალის როლის შესრულებაზე, საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის აქტიურობა და ევროკავშირის 200 დამკვირვებლის საქართველოში სწრაფად მივლინება საკმაოდ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯები იყო ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის. თუმცა, თუ ახლა აღმოჩნდება, რომ სარკოზის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერა ისეთი მელნით გაკეთდა, რომლის წაშლაც შესაძლებელია, ეს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ევროკავშირის დიპლომატიის სანდოობას, შეასუსტებს ევროკავშირის, როგორც ლიდერის როლს და ბიძგს მისცემს ახალ რუსულ აგრესიას.

ამ აგრესიის დიდი ნაწილი კი მიმართული იქნება აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანზე, რომელიც დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გახლავთ. ნუ შეგვეშლება - აგვისტოში ბაქო-სუფსას მილსადენის სიახლოვეს, რუსეთის მრავლობითი საჰაერო და სარაკეტო დარტყმები მხოლოდ პირველი ზალპი იყო კრემლის გამბიტში აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის მოსახრჩობად. საქართველოს სატრანსპორტო არტერიაზე თავდასხმა კი აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანზე თავდასხმას ნიშნავს.

*დევიდ ჯ.სმითი არის პოტომაკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი)*
*საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი)*

# ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივა: "მოპარული", "პოპულისტური" თუ...

გიორგი ასანიშვილი

*"ქრისტიან-დემოკრატები" შრომით კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებების შეტანას ითხოვენ. მათი განცხადებით, დღეს მოქმედი შრომის კოდექსში ძალიან ბევრი ხარვეზია. დეპუტატი მაგდა ანიკაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ შეიქმნას ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ამ ხარვეზების გამოსწორებაზე იმუშავებს. საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციის შეფასებებს არ ეთანხმება: პარლამენტის ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ საქართველოს შრომის კოდექსი ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური დოკუმენტია და გადასინჯვას ნაკლებად საჭიროებს.*

მაგდა ანიკაშვილის მტკიცებით, გადაუდებელ შეცვლას მოითხოვს შრომის კოდექსის ის მუხლები, რომლებიც დეკრეტული შვებულებების ხანგრძლივობას, უმუშევართა დახმარებას, აგრეთვე დამსაქმებტლთა და დასაქმებულთა შრომით ურთიერთობებს შეეხება. ანიკაშვილის აზრით, ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა მაშინაც, როდესაც ჯანდაცვის სამინისტროში შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი გააუქმა, რადგან, ამ ნაბიჯის შედეგად, ქვეყანაში დღეს აღარ არსებობს უწყება, რომელიც შრომით ურთიერთობებს დაარეგულირებს.

თავისი პოზიციის გასამაგრებლად, ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს ეყრდნობა: კერძოდ, მაგდა ანიკაშვილი იშველიებს ევროკომისიის 2008 წლის შუალედურ ანგარიშს, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას და საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს რატიფიცირებული ევროკავშირის სოციალური ქარტიის სტანდარტებს.

**"თუ საქართველოს სურს, რომ 2009 წლიდან ევროკავშირის შეღავათების ზოგადი სისტემით ისარგებლოს, მაშინ შრომის კოდექსში შესაბამისი ცვლილებები უნდა შეიტანოს,"** - ევროკომისიის ანგარიშის ციტირებას ახდენს ანიკაშვილი.

იგი მიიჩნევს, რომ შრომითი კანონმდებლობის მიმართ სახელმწიფო მიდგომა ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს. პარლამენტარი გამოდის წინადადებით, ჩამოყალიბდეს ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც შრომის კოდექსის გადასინჯვაზე იმუშავებს.

"ქრისტიან-დემოკრატების" მოთხოვნას დეპუტატი ჯონდი ბაღათურიაც უჭერს მხარს. ამასთან, "ქართული დასის" ლიდერი მიიჩნევს, რომ გიორგი თარგამაძის ფრაქციამ მისი ინიციატივა "მოიპარა". ბაღათურიას თქმით, "ქართულმა დასმა" სულ ცოტა ხნის წინ მოაწყო შრომის კანონში შესატანი ცვლილებების პრეზენტაცია, რომელშიც სწორედ მაგდა ანიკაშვილის მიერ დასახელებული საკითხები ფიგურირებდა.

**"რაც თქვენ ჩამოთვალეთ, ჩვენც იგივე ინიციატივები გვქონდა. პლუს, ჩვენ ვითხოვდით, რომ ფეხმძიმე ქალებს დეკრეტული შვებულების სრულად გამოყენების უფლება მისცემოდათ,"** - "საავტორო უფლების" დარღვევას აპროტესტებს ჯონდი ბაღათურია, რომელიც "ქრისტიან-დემოკრატების" მიერ მისი ინიციატივის "დუბლირებას" ოპოზიციური ბანაკის შიგნით "არასაკმარის კოორდინაციას" მიაწერს.

პოლიტიკური ოპონენტების მოსაზრებებს სახელისუფლებო ფრაქციის ლიდერები არ ეთანხმებიან. პარლამენტის ვიცე-სპიკერის გიგი წერეთლის მტკიცებით, თავის დროზე, საქართველომ ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური შრომის კოდექსი მიიღო, რომელიც კარგი ბიზნეს-გარემოს შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვას მაქსიმალურად უზრუნველყოფდა. წერეთელი ეთანხმება "ქრისტიან-დემოკრატებს" იმაში, რომ შრომის კოდექსი საერთაშორისო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში არ არის, მაგრამ, ვიცე-სპიკერის თქმით, ეს სრულიად ბუნებრივია და ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

**"საერთაშორისო სტანდარტებისგან შორს ვართ თუნდაც იმიტომ, რომ არ გვაქვს დასავლეთის ქვეყნების დონის ეკონომიკა,"** - განმარტავს გიგი წერეთელი, რომელიც, თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ სტატისტიკურ მონაცემებს იშველიებს: თუ საქართველოში ერთ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი რამდენიმე ათასი დოლარია, ჩრდილოეთ ევროპაში, სადაც სოციალური დაცვის ძალიან მაღალი სტანდარტებია, ეს მაჩვენებელი 15-ჯერ უფრო მაღალია...

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიიჩნევს, რომ შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ასეთმა ქმედებამ, შესაძლოა, ფინანსური კრიზისის პირობებში, კიდევ უფრო გაართულოს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა.

**"ნებისმიერ შემთხვევაში დიალოგისა და "ქრისტიან-დემოკრატების" მოსაზრებების განხილვისთვის მზად ვართ. ნებისმიერ რაციონალურ წინადადებას მივესალმებით, თუ ისინი პოპულისტური არ არის და ვინმეს გულის მოგებას არ ემსახურება,"** - "ქრისტიან-დემოკრატების" სოციალურ-პოლიტიკურ უანგარობაში ბოლომდე არ არის დარწმუნებული გიგი წერეთელი.

# არასაპარლამენტო ოპოზიციის ბრიფინგები

დათო გამისონია

*გუშინდელი დღე არასაპარლამენტო ოპოზიციის აქტიურობით გამოირჩეოდა. ბურჯანაძე ხელისუფლებას საკადრო ნაბიჯების გამო აკრიტიკებდა, ასევე ხელისუფლებიდან წასული ნოღაიდელი თავის ყოფილ თანაგუნდელებს საგადასახადო პოლიტიკას უწუნებდა, ხოლო ლეიბორისტები კი მთავრობასთან ერთად ბურჯანაძესაც უპირისპირდებიან.*

"დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარემ, პოლონეთიდან დაბრუნებულმა ნინო ბურჯანაძემ მთავრობა საკადრო ცვლილებების გამო გააკრიტიკა. მისი თქმით, ხელისუფლების გადაწყვეტილება, თავისთავად, არაადეკვატური და სპონტანურია. კერძოდ, ხელისუფლებამ არ იცის, თუ როდის უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილებები: **"საქართველოს დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით, ჰელსინკში უმნიშვნელოვანეს მოლაპარაკებებზე იმყოფებოდა და ამ დროს მინისტრი შეცვალეს. ასეთმა ნაბიჯმა ფინეთში მყოფი დელეგაციებიც კი გააოცა,"** - აღნიშნა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბურჯანაძემ ყურადღება გაამახვილა სახელისუფლებო პროპაგანდაზე. მისი თქმით, **"ხშირად რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მომხდარ მოვლენებს გაცილებით რეალისტურად და ჯანსაღად აფასებენ, ვიდრე თავად საქართველოში განვითარებულს."**

ბურჯანაძე არსებული რთული ვითარებიდან გამოსავლის გზებზე საუბრობს. მან ყველა ჯანსაღად მოაზროვნე პოლიტიკურ ძალას სწრაფი და ეფექტური გზით მოქმედებისკენ მოუწოდა: **"განგაში უნდა მოჰყვეს იმ ტენდენციას, რაც არსებული კრიზისიდან გამომდინარე, მთავრობის მიმართ არის დასავლეთში. ყველას გვესმის, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებამ ნდობა დაკარგა, მაგრამ არ უნდა დავუშვათ, რომ ეს დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაზე გავრცელდეს. ევროპის ლიდერები ირონიით საუბრობენ ქვეყნის ხელმძღვანელობაზე და ვერ ხედავენ პერსპექტივებს მათთან სერიოზული დიალოგის გასამართად, ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

## ნოღაიდელი ფინანსური პოლიციის გაუქმებას ითხოვს

ბურჯანაძისგან განსხვავებით, ხელისუფლებიდან ოპოზიციაში წასული ექს-პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საგადასახადო პოლიტიკაში რეფორმების ინიციატივით გამოვიდა. მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგადასახადო რეფორმების ლიბერალიზაციის აუცილებლობაზე ისაურა. **"პირველი რიგში, მოგებისა და პროცენტებზე საშემოსავლო გადასახადი უნდა გაუქმდეს, ეს ბიზნესის წარმოების გამარტივებას გამოიწვევს,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

პოლიტიკური მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერს მნიშვნელოვან მიაჩნია ფინანსური პოლიციის გაუქმებაც, ხოლო საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ის ხელისუფლებას ახალი ორგანოს შექმნას სთავაზობს.

**"ბიზნესგარემოს გაჯანსაღებისთვის საჭიროა საგადასახადო დავების სპეციალიზებული სასამართლო პალატის შექმნა,"** - აცხადებს ახლად შექმნილი მოძრაობის ლიდერი. მან პრესკონფერენცია პოლიტიკური განცხადებებით დაასრულა. **"ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიზანია სტაბილური, სამართლიანი, გაერთიანებული საქართველო - ქვეყანა, სადაც ხალხის კეთილდღეობა და უსაფრთხოება საიმედოდ იქნება დაცული,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

## "ლეობორისტები" კი ბურჭანაძეს აკრიტიკებენ....

გუშინ მარჯანიშვილის მოედნაზე გარემოვაჭრეების მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე საქართველოს შრომის პარტიის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. მათ არსებული ქონებრივი უსამართლობის მიზეზად პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და ექს-პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე დაასახელეს. როგორც "ლეიბორისტული პარტიის" გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, **"აქვე არის ქალბატონი ბურჯანაძის ფეშენებელური მაღაზია. თუ ახლა ის ოპოზიციონერია, საკუთარ მაღაზიაში გამოუყოს გარემოვაჭრეებს სავაჭრო ადგილები და დაგვანახოს, როგორ ზრუნავს ხალხზე. რამდენიმე მეტრში ლადო გურგენიძის ბანკი მდებარეობს. ხალხს კი ლუკმა-პურის შოვნის საშუალება არა აქვს."**

# პატარკაციშვილის ოჯახი საერთაშორისო სასამართლოსთვის ემზადება

*"ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეაქვს. იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო სასამართლოს მეშვეობით, ოჯახი კუთვნილ ქონებას დაიბრუნებს," - ეს განცხადება გარდაცვლილი ბიზნესმენის ინგლისელმა ადვოკატმა, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა პიტერ გოლდსმიტმა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მანამდე კი, გარდაცვლილი ბიზნესმენის ქონებასთან დაკავშირებით, "ი-მედი-ა"-ს საკონტროლო პაკეტის ყოფილმა მფლობელმა, აქამდე ჩუმად მყოფმა გიორგი ჯაოშვილმა ისაუბრა და განაცხადა, რომ მას ტელეკომპანია "იმედის" ჯოზეფ ქეისთვის გადაფორმება ზეწოლით აიძულეს.*



*ინგლისელმა ადვოკატმა, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა პიტერ გოლდსმიტმა საგანგებო პრესკონფერენცია ჩაატარა.*

გიორგი ჯაოშვილმა გუშინ პირველად განაცხადა, რომ პატარკაციშვილის კუთვნილი წილები ქეისთვის მუქარით და ძალის გამოყენებით გადააფორმებინეს. ჯაოშვილის განმარტებით, ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილიდან რამდენიმე დღეში, 19 თებერვალს, მას ჯოზეფ ქეი დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა.

**"ჯოზეფ ქეიმ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი მაჩვენა, რომლის მიხედვითაც, პატარკაციშვილის ქონება ბიზნესმენის სიკვდილის შემთხვევაში, მას უნდა განეკარგა. ეჭვი არაფერში შემპარვია, სანამ ნოტარიუსთან შესაბამისი დოკუმენტების გადასაფორმებლად არ გავყევი. მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში, ვიდრე ნოტარიუსთან შევიდოდით, შევამჩნიე, რომ ეზოში იდგა გაძლიერებული დაცვა და იქ არავის უშვებდნენ, შენობაში კი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები იმყოფებოდნენ. მე ნოტარიუსს განვუმარტე, რომ ყადაღადადებული ქონების სხვისთვის გადაფორმება კანონით იკრძალება. დაახლოებით ორ საათში, იმ დღით დათარიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მომიტანეს, რომლის მიხედვით, ბადრი პატარკაციშვილის კომპანიებს, რომლებსაც ყადაღა ჰქონდა დადებული, ყადაღა მოეხსნა. ამის შემდეგ კი დოკუმენტებზე ხელის მოწერა ზეწოლით მაიძულეს,"** - განაცხადა გიორგი ჯაოშვილმა.

მისივე თქმით, იმავე დღეს ის ჯოზეფ ქეის დაუკავშირდა, რომელიც საზღვარგარეთ გასაფრენად აეროპორტში იმყოფებოდა. აეროპორტის მიმართულებით ქეისთან წასული, რუსთაველის პროსპექტზე სამართალდამცველებმა გააჩერეს და ფინანსურ პოლიციაში წაიყვანეს.

**"ფინანსურ პოლიციაში მომთხოვეს, რომ "ჯეი-ენ-ჯის" და "ი-მედი-ა"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან ჩემი ნებით გადავმდგარიყავი. იქ ჩემს მიმართ ფსიქოლოგიური ზემოქმედების რთული ფორმა იყო გამოყენებული, რის შემდეგაც, დაახლოებით, დილის 5 საათზე თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებაზე მომაწერინეს ხელი. ამდენად, ვფიქრობ, გაურკვეველი არ უნდა იყოს, რა გზით ჩაიგდო ხელში ქეიმ "იმედი","** - ამბობს გიორგი ჯაოშვილი.

გარდა ტელეკომპანია "იმედისა", ჯაოშვილი პატარკაციშვილისთვის "მთაწმინდის პარკის" ჩამორთმევის დეტალებზეც საუბრობს. მისი განმარტებით, კომპანიას, რომელიც "მთაწმინდის პარკს" აშენებდა, მერიასთან გაფორმებული ჰქონდა 49-წლიანი ხელშეკრულება, თუმცა ყოველგვარი არგუმენტების გარეშე მერიამ ეს ხელშეკრულება შეწყვიტა და კომპანიის დირექტორს, ანუ, მას, მოსთხოვეს სასამართლოდან უკან გამოეტანა ყველა ის საჩივარი, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით ჰქონდა შეტანილი.

ჯაოშვილის თქმით, ეს მან ვერ გააკეთა და გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. მეორე დღესვე ამ თანამდებობაზე დაინიშნა სხვა პირი, რომელმაც სასამართლოდან ყველა საჩივარი გამოიტანა. სასამართლომ სარჩელების გატანა დააკმაყოფილა.

**"მოწმეების ჩვენებებით და სხვა მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ჯოზეფ ქეიმ ხელისუფლების დახმარებით ჩაიგდო ხელში პატარკაციშვილის ქონება. გიორგი ჯაოშვილის განცხადებები პატარკაციშვილის ქონების იძულებით დათმობასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სასამართლოში საქმის მოგების წინაპირობაა,"** - აცხადებს პატარკაციშვილების ოჯახის ადვოკატი ლორდი პიტერ გოლდსმიტი.

*საკუთარი ინფორმაცია*

# საგანგაშო სტატისტიკა და საგამოძიებო ორგანოების მოწოდება

*სტატისტიკის მიხედვით, 2008 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, რუსეთის ფედერაციაში, დამნაშავეების მსხვერპლი 1500 არასრულწლოვანი გახდა.*

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლები არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულის კატასტროფულ რაოდენობაზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ირკვევა, ამ დანაშაულთა უმრავლესობა განსაკუთრებული სისასტიკით არის ჩადენილი.

"2008 წლის პირველ ნახევარში, რუსეთის ფედერაციაში 33 ათასზე მეტი დანაშაული დაფიქსირდა. ამ ხნის განმავლობაში ბოროტმოქმედებმა 1500 არასრულწლოვანი და მცირეწლოვანი გამოასალმეს სიცოცხლეს," - აცხადებენ საგამოძიებო ორგანოებში. რუსეთის გენერალური პროკურატურა შეშფოთებულია 2008 წლის პირველი ცხრა თვის სტატისტიკით, რომელიც არასრულწლოვნებზე განხორციელებულ ძალადობას ეხება.

განსაკუთრებული სიასტიკით ჩადენილი მკვლელობების რიცხვშია მოხვედრილი 8 წლის ბიჭის საქმე, რომელმაც ორი წლით უფროსი დის გადარჩენა სცადა და მათთან სახლში შევარდნილ პედოფილს სამზარეულოს დანით შეეწინააღმდეგა.

საქმის მასალების მიხედვით, 35 წლის ასტრახანელი სერგეი კიაშკო, ტაბაკოვების ოჯახში იმ დროს შეიჭრა, როცა სახლში მხოლოდ არასრულწლოვანი და-ძმა იმყოფებოდა. დანით შეიარაღებულმა პედოფილმა ბავშვებს დანის მუქარით ფული მოსთხოვა და თან გოგონას გაუპატიურება სცადა. დის გადასარჩენად ძმამ თავდამსხმელთან შებრძოლება სცადა, რის გამოც მას ბოროტმოქმედმა რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

ასევე განსაკუთრებული სისასტიკით მოკლულთა რიცხვშია მცირეწლოვანი გოგონა, რომელსაც თავდამსხმელმა ცივი იარაღით რვა ჭრილობა მიაყენა.

როგორც რუსეთის გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია და მას ამ ეტაპზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა უტარდება.

"ჩვენი მიზანია იმ დანაშაულების სასწრაფოდ გახსნა და გამოძიება, რომლებიც არასრულწლოვნებს უკავშირდება. ყველა ასეთი საქმე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. საგამოძიებო კომიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არც ერთი დამნაშავე, რომელმაც არასრულწლოვანის სიცოცხლე შეიწირა, დაუსჯელი არ დარჩეს," - აცხადებენ რუსეთის გენერალურ პროკურატურაში.

საგამოძიებო ორგანოები მშობლებს და პედაგოგებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ და ბავშვებთან სიფრთხილესთან დაკავშირებული განსაკუთრებული სააგიტაციო სამუშაოების ჩატარებას სთხოვენ.

"დღეს თქვენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ აუხსნათ ბავშვებს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მათ ყოველდღიურად ემუქრებათ. თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად ფრთხილები იქნებიან ისინი," - ასე მიმართავენ საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლები პედაგოგებსა და მშობლებს.

ცოტა ხნის წინ, რუსმა სამართალდამცველებმა 2001 წელს ჩადენილი დანაშაული გახსნეს. სტავროპოლის მხარეში მათ დააკავეს მანიაკი, რომლესაც რამდენიმე მოზარდის მკვლელობა ედება ბრალად. სერიული მკვლელის კვალზე მისმა ბოლო დანაშაულმა გაგვიყვანა. სტატისტიკურ მონაცემში, მის მიერ მოკლული მოზარდებიც არიან შესული. სამწუხაროდ, ის ამდენი ხნის განმავლობაში დაუსჯელი იყო და უპრობლემოდ ცხოვრობდა," - აცხადებენ რუსეთი გენპროკურატურაში.

## ინციდენტი სოფელ ფხვენისში

გორის რაიონის სოფელ ფხვენისში პატრულირებისას ქართველი სამართალდამცველების ავტომანქანა ნაღმზე აფეთქდა. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ვლადიმერ ჯუღელის განცხადებით, აფეთქება დილის 6 საათზე მოხდა.

"სოფელი ფხვენისი ცხინვალს ესაზღვრება და, როგორც ჩანს, ეს ტერიტორია ოსურმა მხარემ დანაღმა. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, მხოლოდ ავტომობილი დაზიანდა," - განაცხადა ვლადიმერ ჯუღელმა. მომხდარიდან რამდენიმე საათში, შემთხვევის ადგილზე ევროკავშირის დამკვირვებლები მივიდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების მიხედვით, გორის რაიონის სოფელ ნიქოზთან, ფხვენისის ხიდზე, შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის პატრულირებისას დისტანციური მოწყობილობით დამონტაჟებული მიმართულებითი ნაღმი აფეთქდა. განცხადების მიხედვით, მომხდარ ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქების დროს დაზიანდა მხოლოდ საპატრულო პოლიციის ავტომანქანა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ ურბნისთან

ქარელის რაიონის სოფელ ურბნისთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 69 წლის ქალი გარდაიცვალა. გარდაცვლილი სოფელ ერედვიდან დევნილი დარეჯან ბერუაშვილია. ავტოსაგზაო შემთხვევა გუშინწინ საღამოს მოხდა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ, რომლებიც ავტოავარიის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ყოფილი მაღალჩინოსნის საქმე ლანჩხუთის სასამართლოში

გუშინ ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოში ლანჩხუთის ყოფილი გამგებლისა და მაჟორიტარის, "გურიის" ყოფილი სპონსორის, ანზორ კილაძის სასამართლო პროცესი გაიმართა. ყოფილ ჩინოსანსა და თანააქციონერებს ათეული წლებია ქონებრივი დავა აქვთ ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნარკოლოგიური და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოტიკული, მომწამვლელი, ფარმპრეპარატებისა და ქიმიურ-ტოქსიკოლოგირი ექსპერტიზის ლაბორატორიამ 2008 წელს 1775 ექსპერტიზა ჩაატარა. გამოკვლევები, ძირითადად, სახელმწიფო მიმართვის საფუძველზე დაინიშნა.

1775-დან 152 შემთხვევაში თმის ნიმუშის კვლევა ჩატარდა, დანარჩენი გამოკვლევები კი ალკოჰოლური თრობის დასადგენად (სისხლის მეშვეობით) და ნარკოტიკული საშუალებების გამოსაკვლევად გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დასადგენად თმის ნიმუშის კვლევა გასული წლის გაზაფხულიდან დაიწყო. მანამდე საქართველოში მოქმედ საექსპერტო ლაბორატორიებში ნარკოლოგიური ექსპერტიზა, ძირითადად, შარდსა და სისხლზე ტარდებოდა. აღნიშნული საშუალებებით ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენა მისი მიღებიდან მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში არის შესაძლებელი. ახალი მეთოდოლოგიის უპირატესობა კი იმაში გამოიხატება, რომ მისი გამოყენებით ნარკოტიკის მიღების ფაქტის დადგენა 2-4 თვის შემდეგაც ხერხდება. გარდა ამისა, შესაძლებელია მოხმარებული ნარკოტიკის სახეობისა და დოზის დადგენაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ედუარდ კოკოითი მისი პირადი მცველის მკვლელობას უარყოფს

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი მისი პირადი მცველის მკვლელობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

"ჩემი დაცვის არც ერთი თანამშრომელი არა არის მოკლული, პიროვნება არსენ ძუგაევი კი ჩემს დაცვაში საერთოდ არ არის. ეს ქართული მედიის მორიგი პროვოკაციაა. როგორც ჩანს, ქართველ ჟურნალისტებს მეტი საქმე არ აქვთ," - განაცხადა კოკოითმა. გავრცელებული ინფორმაციით, არსენ ძუგაევი 8 დეკემბერს უცნობმა პირებმა გაიტაცეს, ხოლო მოგვიანებით რუსმა სამხედროებმა მისი ცხედარი იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, ძუგაევი გაგუდულია. **პირველი**

ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ შალვას ძე ართილაყვა**

მისამართი: ქავთარაძის ქ. N10, III სადარბაზო, III სართული

პანაშვიდები: 11-12 დეკემბერს

დაკრძალვა: 13 დეკემბერს 2 საათზე

## სწავლება პრობაციის სამსახურის თანამშრომლებისთვის

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომლებისთვის სემინარი მიმდინარეობს. ხუთდღიანი ღონისძიება სასწავლო ცენტრის ეგიდითა და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის "სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმა საქართველოში" ფარგლებში მიმდინარეობს.

სწავლების თემაა: პირობით მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროების შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა.

პრობაციის სფეროს ექსპერტები ქართველ კოლეგებს შვედეთის გამოცდილებას უზიარებენ პრობაციონერებზე ეფექტიანი კონტროლის დამყარების მექანიზმებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირობით მსჯავრდებულებზე დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებას. აღნიშნული რისკების მიხედვით კი უნდა შედგეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა.

სასწავლო კურსს უძღვებიან შვედეთის ციხისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომლები გუნჰილდ ფრიდჰი (პროექტის მენეჯერი), პერ ბიორგკრენი, ოლგა ოტტი და სესილია ალგელიუსი.

სასწავლო კურსი 12 დეკემბერს დასრულდება და მას პრობაციის სამსახურის 75 თანამშრომელი გაივლის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დაკავება თაღლითობისა და ქურდობის ბრალდებებით

სამართალდამცველებმა ქურდობაში ეჭვმიტანილი 5 პირი დააკავეს. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, 20 წლის გურამ სვანიძე, 22 წლის ოთარ ბასიშვილი და 20 წლის მერაბ ჩოგოვაძე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. 49 წლის ლერი თვალიაშვილი შიდა ქართლის, 27 წლის ალექსანდრე ხუციშვილი კი გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ დააკავა.

ყველა მათგანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ედება, რაც ქურდობას, ანუ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას გულისხმობს და მინიმუმ 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა თაღლითობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, 23 წლის დავით ჩუბინიძე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს, 39 წლის როლანდ ვარშანიძე კი გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ აიყვანა.

ორივე მათგანს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედავებიან, რაც თაღლითობას, ანუ ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებას გულისხმობს. დანაშაული მინიმუმ 2-დან 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მორიგი შეხვედრა იურიდიულ სამსახურთან დაკავშირებით

იუსტიციის სამინისტროს ვახტანგ VI-ს სახელობის დარბაზში დღეს სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილის განსაზღვრის საკითხზე მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართება.

როგორც იუსტიციის სამინისტროში განაცხადეს, დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან საქართველოს პარლამენტის, საქართველოს სახალხო დამცველის, სასამართლო ხელისუფლების, სახელმწიფო ორგანოთა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

იურიდიული დახმარების სამსახურის მომავალი ადგილის საკითხზე მსჯელობა 4 დეკემბერს პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე დაიწყო. გამოიკვეთა მოსაზრებები, რომლებიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სახალხო დამცველის და საქართველოს მთავრობისადმი იურიდიული დახმარების სამსახურის დაქვემდებარების შესაძლებლობის განხილვას გულისხმობს. დღევანდელი შეხვედრა კი დასახელებულ პოზიციათა შეჯერების მიზნით იმართება.

იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციას უწევს. სამსახურის ადგილის განსაზღვრის საკითხი დღის წესრიგში დადგა მას შემდეგ, რაც საქართველოს პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებად ჩამოყალიბდა. კანონის თანახმად იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში 2009 წლის მარტისათვის უნდა განისაზღვროს. **ინტერპრესნიუსი**

# ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე საქართველოში

*გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის 60 წლის იუბილე გუშინ საქართველოს მთელი მასშტაბით აღინიშნა. არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებმა იუბილე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ფორმით აღნიშნეს.*

*1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს აღიარებს. საქართველო ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას 1991 წლის 15 სექტემბერს შეუერთდა.*

ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაზე საუბრობდნენ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოშიც და მის გარეთაც.

**"იმედი მაქვს, რომ ამ დეკლარაციის დებულებები ქვეყანაში მომავალ წელს მაინც სიტყვა-სიტყვით იქნება დაცული,"** - ასე მიმართა კოლეგებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გია არსენიშვილმა და დეპუტატებს შეახსენა, რომ საყოველთაო დეკლარაცია არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც საქართველომ ზედმიწევნით უნდა დაიცვას.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ადამიანის უფლებათა კვირეული აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი ღონისძიებით გახსნა. როგორც გაირკვა, კვირეულის განმავლობაში, საია-ს მიერ არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები წარმოდგენილი იქნება ორ ნაწილად - აგვისტოს საომარი მოქმედებების მიმდინარეობის დროს და მას შემდეგ.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიან და ისეთ მძიმე დარღვევებს, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა, საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის აკრძალვა.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები დევნილთა ამჟამინდელ მდგომარეობაზეც საუბრობენ და აცხადებენ, რომ სხვა მრავალ დაურეგულირებელ საკითხებს შორის გამოკვეთილი პრობლემებია დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, კვება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, კომპენსაციათა დანაწილება და განათლება. ორგანიზაციის წევრთა განცხადებით, ასევე მნიშვნელოვანია მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი, რომელიც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა.

**"საია დღესაც აგრძელებს საომარი მოქმედებების დროს დაზარალებული მოქალაქეების დაცვას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში",** - აცხადებენ ორგანიზაციის წევრები.

გუშინდელ ღონისძიებაზე საია-მ მისივე დაკვეთით გადაღებული ფილმის პრეზენტაცია მოაწყო, რომელშიც დევნილების რეალური პრობლემებია აღწერილი. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცაია" დევნილებისთვის საგადასახადო და საბანკო დავალიანების გამო ჯარიმების დაწესებას აპროტესტებს. ფილმიც სწორედ დევნილების საბანკო და საგადასახადო დავალიანების გამო არსებულ პრობლემებს ეხება, სადაც კონკრეტული ფაქტებია ნაჩვენები.

როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელმა განაცხადა, ომის შემდეგ დევნილებს საგადასახადო დავალიანების გამო სახელმწიფომ ჯარიმა დააკისრა, რაც ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელი ქმედებაა. მისი თქმით, ასევე პრობლემაა რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულთა საბანკო დავალიანება, რის გამოც, ისინი გარკვეული ფსიქოლოგიურ და მორალურ წნეხს განიცდიან.

**"სახელმწიფო უნდა ჩაერთოს და გარკვეული როლი უნდა ითამაშოს ამ პრობლემის მოგვარებაში. ეს ხალხი ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდა. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" მიმართა საქართველოში არსებულ ბანკებს, რომ დევნილებისთვის საბანკო დავალიანებასთან დაკავშირებით გარკვეული შეღავათები გაეწიათ. სხვადასხვა ბანკისგან არაერთგვაროვანი პასუხი მივიღეთ.**

**ზოგიერთმა ბანკმა არ გაითვალისწინა ამ ადამიანების ფორსმაჟორული მდგომარეობა, დავალიანებაზე ჯარიმა დააკისრა და შავ სიაშიც შეიტანა. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი ბანკიდან უშიშროების თავზე დაყენებით, დაჭერით ემუქრებოდნენ. ეს ხალხი საშინელ ფსიქოლოგიურ და მორალურ წნეხს განიცდის. შიშით ტელეფონსაც კი ვერ პასუხობენ, რადგან ჰგონიათ, რომ ბანკიდან ურეკავენ,"** - აცხადებს თამარ ხიდაშელი.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღე მოსწავლეებმა გუშინ საზოგადოებრივ ადვოკატთან ერთად აღნიშნეს. იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს მცხეთის N1 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი მოსწავლეები სტუმრობდნენ. ღონისძიების მიზანი მოზარდებში დანაშაულის პრევენცია და დაცვის უფლების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება იყო. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებმა ადამიანის უფლებათა დაცვის თემაზე ისაუბრეს. მოზარდებს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე ინფორმაციის მიღების საშუალება მიეცათ. ისინი ადგილზე გაეცნენ საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების საქმიანობას. ღონისძიების ბოლოს კი სამახსოვრო სუვენირები გადაეცათ. იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების - დაცვის უფლების რეალიზებას ემსახურება.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა დაცვის დღე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან აქცია-ბრიფინგით აღნიშნეს.

**"შსს არის ის უწყება, სადაც იგეგმება და ხორციელდება ადამიანების დევნა. თუმცა, ამ მხრივ, მერაბიშვილის უწყებას არც პროკურატურა და სასამართლო ჩამოუვარდება. შს სამინისტრო ადამიანის უფლებების შემლახავ მთავარ უწყებადაა ქცეული. გრძელდება საკუთრების უფლების ხელყოფა, პოლიტიკური დევნა და შანტაჟი,"** - ასეთი განცხადებები გაკეთდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამართულ აქციაზე, რომელსაც "მოძრაობა 7 ნოემბრის" წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე აქციით აღნიშნეს ბათუმშიც. როგორც აქციის ორგანიზატორებმა განმარტეს, აქციის მიზანი ხელისუფლებისთვის მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობის შეხსენება იყო. აქციაზე საუბარი შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტებს შეეხო და "შრომის კოდექსში" ცვლილებების შეტანის მოთხოვნაც ჩამოყალიბდა.

გაერო-ს ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 60 წლისთავის იუბილე ზუგდიდშიც აღინიშნა. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ღონისძიება ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში ჩაატარა და მას 150-მდე სტუდენტი დაესწრო.

ადამიანის უფლებების დაცვის თემაზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ და ამ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივმა ექსპერტებმა დისკუსია გამართეს. მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენებაც.

*საკუთარი ინფორმაცია*

# არასამთავრობო ორგანიზაციებმა ევროკავშირის გრანტები მოიპოვეს

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში პერ ეკლუნდმა გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა მიკროპროექტების კონკურსში გამარჯვებული 11 არასამთავრობო ორგანიზაცია და ბრიუსელში გამოცხადებული მაკროპროექტების კონკურსში გამარჯვებული სამი ორგანიზაცია. ორივე კონკურსი "დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ევროპული ინსტრუმენტის" ფარგლებში გაიმართა.

"წლევანდელი გამარჯვებულების გამოცხადების ცერემონია ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღეს დაემთხვევა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იქიდან გამომდინარე, რომ დღეს მსოფლიო ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის 60 წლისთავს აღნიშნავს.

"ევროპული ინსტრუმენტი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის" მთელ მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს," - განაცხადა ეკლუნდმა.

მისი თქმით, პროგრამით გამოყოფილი გრანტების საერთო ოდენობა შეადგენს 8 60 ათას ევროს მიკროპროექტებისთვის და 1, 6 მილიონ ევროს მაკროპროექტებისთვის.

პერ ეკლუნდის განცხადებით, ასეთი დახმარება გაგრძელდება, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობებისა და საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის გაზრდის გარეშე მსოფლიოში მშვიდობის მიღწევა შეუძლებელია. მისი თქმით, ერთობლივი მუშაობით მიიღწევა ადამიანის უფლებების განმტკიცება საქართველოში და მთელს მსოფლიოში. რაც შეეხება კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციებს, მიკროპროექტების კონკურსის გამრჯვებული გახდა: დემოკრატიის ინსტიტუტი, გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში, საქართველო საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაცია, კავშირი "სტეფ ფორვარდი", სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია ტოლერანტი, ქალთა კლუბი პეონი, საერთაშორისო განათლების ცენტრი, გურიის აგრობიზნესს ცენტრი, დემოკრატ მესხთა კავშირი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციცია, ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა, დედათა ასოციაცია "დეა".

გამარჯვებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები 50 ათას დან 100 ათას ევრომდე ღირებულების.

რაც შეეხება მაკროპროექტებში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ესენია: საერთაშორისო ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი "ემპათია", ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ცენტრი.

გამარჯვებულ ორგანიზაციებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულებები და ისინი 225 ათასიდან 680 ათასი ევროს მიიღებენ.

ევროკავშირი რეგულარულად აფინანსებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებს. წელს შერჩეულია არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის, წამებისა და არადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით და დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად.

# უმაღლესი რადას "ნარინჯისფერი" შანსი

ხათუნა ბაბიევი

*უკრაინის უმაღლესი რადას 9 დეკემბრის სხდომის შედეგები ასეთია: ახალი სპიკერი ვლადიმირ ლიტვინი და ახალი "ნარინჯისფერი" კოალიციის ფორმირება, პასუხგაუცემელი კითხვები და შესაძლო საკადრო ცვლილებები მთავრობაში და ახალი სპიკერი, რომელმაც, უფლება-მოვალეობის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ისაუბრა ახალ "ნარინჯისფერ" კოალიციაზე. ახალი კოალიციის ფორმირებაზე ლიტვინის განცხადება საპრეზიდენტო ბლოკში ნაჩქარევად მიაჩნიათ.*

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ ლიტვინის არჩევას 422 სახალხო დეპუტატიდან 244-მა დაუჭირა მხარი. კენჭისყრის შედეგები კანდიდატის მომხრე ფრაქციების მიხედვით ასეთია: "რეგიონების პარტია" - 3 დეპუტატი; ტიმოშენკოს ბლოკი - 154; ბლოკი "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონა" - 40; კომუნისტური პარტია - 27; ლიტვინის ბლოკი - 20 დეპუტატი.

**"ჩემს ამოცანად მიმაჩნია უკრაინის უმაღლესი რადას კოლექტივის მუშაობის კარგად ორგანიზება, რათა წარმატებით გავართავთ თავი დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო უმთავრესია შედეგი,"** - განაცხადა ვლადიმირ ლიტვინმა და დეპუტატებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შემდეგ კი ლიტვინმა განცხადება გააკეთა ახალი კოალიციის შექმნის შესახებ - "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ფრაქციის, "ნაშა უკრაინა-ნაროდნაია სამოობორონასა" და ლიტვინის ბლოკის ფორმატში. მისი თქმით, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება რთულ ვითარებაში მოხდა და პრაქტიკულად განხორციელების იმედიც გამოთქვა. კოალიციურ შეთანხმებაზე ხელმოწერა, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მოხდება.

ლიტვინის ოპტიმიზმს ბოლომდე არ იზიარებენ სხვები და პასუხგაუცემელ კითხვებზე საუბრობენ. "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" ფრაქციის წარმომადგენლების თქმით, მათ არ მოუწონებიათ კოალიციური შეთანხმების ტექსტი.

**"სამი ფრაქციის კოალიციური შეთანხმების ტექსტს "ნაშა უკრაინა ნაროდნაია სამოობორონას" ლიდერმა ბორის ტარასიუკმა ფრაქციასთან შეუთანხმებლად მოაწერა ხელი,"** - ნათქვამია მიმართვაში, რომელიც "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" ვებგვერდზე სამშაბათს საღამოს განთავსდა.

**"ჩვენ ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ მიგვიღია გადაწყვეტილება. ფრაქციის სხდომაზე კოალიციის შესახებ დოკუმენტი არ განხილულა და არც მიღებულა. სწორედ, ამიტომ ამგვარი გადაწყვეტილების გახმაურება ნაადრევია,"** - განაცხადა "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" ფრაქციის დეპუტატმა ანდრეი პარუბიმ.

სამაგიეროდ, კოალიცის შექმნის კანონიერებას ეჭვქვეშ არ აყენებს "რეგიონების პარტია", მაგრამ მათ კითხვა უჩნდებათ "უკრაინის კომუნისტური პარტიის" მხარდაჭერაზე, რამაც ასეთი დიდი უმრავლესობის შექმნა გახადა შესაძლებელი.

**"ბუნებრივია, ჩნდება კითხვა ამ ფორმატში 214 დეპუტატის მხარდაჭერაზე. "კომუნისტები" რომ არ ყოფილიყვნენ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ლიტვინის კანდიდატურას, სპიკერის არჩევა შეუძლებელი იქნებოდა. ვულოცავთ ვლადიმირ მიხეილის ძეს წარმატებას, მაგრამ კრიზისის პირობებში ჩვენი სახელმწიფოს მომავალი გვაფიქრებს,"** - განაცხადა საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსთან" ინტერვიუში "რეგიონების პარტიის" ფრაქციის ლიდერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრ ეფრემოვმა.

"რეგიონების პარტიის" ფრაქციის ლიდერის მოადგილე ანა გერმანი კი მიიჩნევს, რომ სპიკერის ასარჩევად გამართული კენჭისყრა უმაღლეს რადაში იულია ტიმოშენკოს ხელმძღვანელობით ნაციონალ-კომუნისტური კოალიციის დე ფაქტო შექმნას მოწმობს.

**"ეს იმას ნიშნავს, რომ "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონა" "კომუნისტებთან" კავშირს დათანხმდა, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან იმ მორალური ღირებულებებისა და ლოზუნგების სისტემას, რითაც "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონა" მოვიდა ხელისუფლებაში. როგორც ჩანს, სტეპან ბანდერას 100 წლის იუბილეს 1 იანვარს "კომუნისტები" და "ნაციონალისტები" ერთად აღნიშნავენ,"** - თქვა ანა გერმანმა.

### ხელისუფლება უცვლელი რჩება?!

ახლად არჩეული სპიკერის განცხადებით, იგი ხელისუფლების კარდინალური ცვლილებისა და პრემიერ-მინისტრის შეცვლის სამართლებრივ მიზეზებს ვერ ხედავს. მისი თქმით, ახლად შექმნილი კოალიციის მონაწილეები ჯერ არ მსჯელობენ საკადრო საკითხებზე. გარდა ამისა, ლიტვინი დარწმუნებულია, რომ ასევე არ დგას დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი.



ლიტვინი და ტიმოშენკო - კოალიციის შესაძლებლობა

AFP ' 2008

**"პარლამენტი განაგრძობს მუშაობს. სწორედ, ამიტომ ამირჩიეს მეც. ვადამდელი არჩევნების საკითხმა სიმწვავე დაკარგა და თუ პარლამენტი მომავალშიც ქმედობაუნარიანი იქნება, ეს თემა მალე დაიხურება, მაგრამ თუ ეკონომიკური მდგომარეობის გამო დაპირისპირებას ექნება ადგილი, ცხადია, მოიძებნება საკმარისი მიზეზები ამ თემის აქტიურად განხილვისათვის,"** - აღნიშნა ლიტვინმა კენჭისყრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

თუმცა, რამდენად სანდოა ახლად არჩეული სპიკერის სიტყვები - რთული სათქმელია, რადგან პრემიერ-მინისტრი უკვე ღიად საუბრობს ხელისუფლებაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე.

**"ვფიქრობ, ამ დღეებში შევძლებთ ხელისუფლების შემადგენლობის გაძლიერებას ახალი სახეებით,"** - განაცხადა იულია ტიმოშენკომ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

### კოალიციის ფორმირების ისტორია

ფრაქცია "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონამ" იულია ტიმოშენკოსა და ლიტვინის ბლოკებთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება 10 დეკემბერს დილით მიიღო. ფრაქცია "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" წევრ ალექსანდრ ბონდარის თქმით, ფრაქციის სხდომაზე მოლაპარაკებების შესახებ გადაწყვეტილებას მხარი 55 დეპუტატმა დაუჭირა, ხოლო 4 დეპუტატმა თავი შეიკავა. "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" ფრაქციიდან მოლაპარაკებების ჯგუფს უხელმძღვანელებს ფრაქციის ლიდერი ვიაჩესლავ კირილენკო, მის მოადგილეებად კი დასახელდნენ რომან ზვარიჩი, ბორის ტარასიუკი, ტარას სტეცკივი და რუსლან კნიაზევიჩი. ადრე "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" ზოგიერთი დეპუტატი აღნიშნავდა, რომ სამი პოლიტიკური ძალის კოალიციის შექმნისთვის აუცილებელი იყო იმ პარლამენტართა გადაწყვეტილება, რომლებიც პარტია "ნაროდნი სოიუზ ნაშა უკრაინაში" ირიცხებიან.

"იულია ტიმოშენკოს ბლოკის" განცხადების გავრცელებისთანავე "ლიტვინის ბლოკმა" საპარლამენტო კოალიციის ფორმირებაში ჩართვის პირობა დადო.

**"ჩვენ უკრაინის უმაღლეს რადაში სადეპუტატო ფრაქციების კოალიციის შექმნაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ერთსულოვნად მივიღეთ,"** - განაცხადა "ლიტვინის ბლოკის" ფრაქციის წევრმა სერგეი გრინევეცკიმ. მისი თქმით, ნებისმიერ კოალიციაში იქნება განხეთქილება, თუკი მონაწილეები ერთიან მიზანს არ დაისახავენ. დეპუტატის განმარტებით, მონაწილეობის შესახებ ფრაქციის ერთსულოვანი გადაწყვეტილება განპირობებულია იმ მოტივით, რომ არ მოხდეს კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავება.

"რეგიონების პარტიაში" კი მიაჩნიათ, რომ პრემიერ-მინისტრმა პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო აიძულა, შეექმნა კავშირი.

**"ჩემი აზრით, კოალიციის შექმნის შესახებ წინადადების საჯაროდ გამოთქმა იმას ნიშნავს, რომ ტიმოშენკომ იუშჩენკოს კომპრომისზე წასვლა აიძულა. აქედან ნათელი ხდება მოვლენების შემდგომი განვითარება - ტიმოშენკო უნდა დაჰპირდეს იუშჩენკოს, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში თავის კანდიდატურას არ წარადგენს,"** - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში "რეგიონების პარტიის" ფრაქციის ლიდერის მოადგილემ ალექსანდრ ეფრემოვმა. მისი თქმით, თუ სახელმწიფოს მეთაური და პრემიერ-მინისტრი ასეთ შეთანხმებას მიაღწევენ, პოლიტიკურ ძალთა ახალი კონფიგურაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდება კიდეც. თუმცა, "წარსული წლების გამოცდილების გათვალისწინებით" საეჭვოა, რომ ასეთმა შეთანხმებამ დროის გამოცდას გაუძლოს.

გარდა ამისა, ეფრემოვის აზრით, ახალ კოალიციაში უმთავრეს როლს იულია ტიმოშენკოს ბლოკი შეასრულებს, ხოლო დანარჩენი პოლიტიკური ძალები "მომსახურე პერსონალის როლებსაც" დასჯერდებიან.

უკრაინაში კოალიციური მთავრობის ფორმირება სიახლე არ არის. ძველი კოალიცია 2008 წლის მარტში მეექვსე მოწვევის პარლამენტში ბლოკ "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონასა" და "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ალიანსის საფუძველზე ჩამოყალიბდა. 2 სექტემბერს კი ალიანსიდან "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" გამოსვლით კოალიცია დაიშალა. კოალიციის დაშლის მიზეზი კი გახდა ის ფაქტი, რომ იულია ტიმოშენკოს ბლოკმა "რეგიონების პარტიასთან" ერთად რიგ ღია "ანტისაპრეზიდენტო" კანონების მიღებას დაუჭირა მხარი. გარდა ამისა, "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ფრაქციამ უარი თქვა "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" განცხადების მხარდაჭერაზე, რომელიც უკრაინის პარლამენტის სახელით გმობდა "საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიას". 8 ოქტომბერს ვიქტორ იუშჩენკომ თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში მეორედ დაითხოვა პარლამენტი. თუმცა, მის ბრძანებას და არჩევნების თარიღის დასახელებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და პარლამენტმაც ჩვეულ რეჟიმში განაგრძო მუშაობა. უმაღლესი რადას სპიკერი არსენ იაცენიუკი კი სწორედ "იულია ტიმოშენკოს ბლოკისა" და "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონას" კოალიციის დაშლის გამო გადადგა. საყურადღებოა ისიც, რომ კოალიციური შეთანხმება პრემიერ-მინისტრის გადადგომასაც ითვალისწინებდა.

ცნობისთვის - უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში 5 ფრაქცია მუშაობს: "რეგიონების პარტია" (450-დან 175 დეპუტატი), "იულია ტიმოშენკოს ბლოკი" (156), "ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოობორონა" (72), "კომუნისტური პარტია" (27) და "ლიტვინის ბლოკი" (20). საკონსტიტუციო შემადგენლობაში სულ 450 დეპუტატი ირიცხება.

# ლოთობა - რუსეთის პერსპექტივა

რუსების ოპტიმისტური განწყობა წლის ბოლოსთვის კატასტროფულად ეცემა. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახად, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ეკონომიკურზე გაცილებით უკეთ გამოიყურება. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ თუკი ა.წ. იანვარში რუსების 32 პროცენტი მომავალი წლისთვის ცხოვრების დონის კიდევ უფრო მეტად ამაღლებას ელოდებოდა, ნოემბერში ოპტიმისტთა რიცხვი 20 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო პესიმისტთა რაოდენობა 9-დან 22 პროცენტამდე გაიზარდა. სოციოლოგების მტკიცებით, რუსების განწყობაში ძირეული გარდატეხა ა.წ. აგვისტო-სექტემბერში მოხდა. მათი მონაცემებით, თუკი იანვარში გამოკითხულთა 34 პროცენტი ქვეყნის განვითარების მიმართულებას სწორს უწოდებდა, საწინააღმდეგო აზრი კი მხოლოდ 15 პროცენტს ჰქონდა, ნოემბერში ოპტიმისტების და პესიმისტების რაოდენობა ამ საკითხში, ფაქტობრივად, გათანაბრდა და შესაბამისად 27 და 26 პროცენტი შეადგინა.

ამგვარი პესიმიზმის ზრდის ფონზე კი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სენატორები დაფიქრდნენ და პროგნოზიც მალევე დაადგინეს. რუსეთში ლოთობის ზრდა დაიწყება და პიკს მიაღწევს. **"ეკონომიკაში სერიოზული პრობლემები იქნება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და შესაბამისად ხალხი სმას დაიწყებს. და რაც ყველაზე საშიშია, ისინი დალევენ არა ხარისხიან ალკოჰოლურ სასმელს, არამედ ესენციებს,"** - განაცხადა ფედერაციის საბჭოს სოციალური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლარისა პონომარევამ. მისი თქმით, რამდენიმე წლის წინათ ალკოჰოლის რეკლამაზე კანონმდებლობის გამკაცრება იმით იყო განპირობებული, რომ რეკლამა უკეთდებოდა ლუდს და არა ცხოვრების სტილს. **"ჩვენ ვემსგავსებით სირაქლემებს, რომლებიც პრობლემის წარმოშობისთანავე თავს ქვიშაში მალავენ. ჩვენც ბრძოლას კი არ დავუწყებთ ამ პრობლემებს, არამედ თავს ალკოჰოლში ჩავყობთ,"** - აცხადებს რუსი დეპუტატი.



რუსების უმრავლესობა ესენციებს დალევს და არა ხარისხიან სასმელს.

## ევროკომისია უკრაინასა და რუსეთს გაზის ვალის გამო შექმნილი ვითარების დარეგულირებისკენ მოუწოდებს

ევროკომისია რუსეთსა და უკრაინას მოუწოდებს, რაც შეიძლება სწრაფად დაარეგულირონ ბუნებრივი გაზის ვალთან დაკავშირებული საკითხები. ამის შესახებ "რია ნოვოსტი" იტყობინება.

"ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ პრობლემის გადაჭრის გზები რაც შეიძლება სწრაფად მოიძებნება," - განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა. უკრაინულ "ნავთობგაზს" რუსეთის მიმართ სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში მიწოდებული გაზის დავალიანება აქვს. რუსული მხარის შეფასებით, ვალი 2,4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## რუსეთი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის ინიციატივით გამოდის

რუსეთი აშშ-სა და ევროკავშირს ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნისკენ მოუწოდებს, - ამის შესახებ "newsru.com" იტყობინება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი გამოდის ინიციატივით, რომ რუსეთმა, აშშ-მ და ევროკავშირმა ერთიანი ეკონომიკური სივრცის შესაქმნელად მუშაობა დაიწყონ.

როგორც ლავროვი აცხადებს, ყველა ქვეყანამ "უარი უნდა თქვას გეოპოლიტიკურ თამაშზე" და ერთობლი ქმედებით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისგან გადაარჩინოს. რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ქვეყნებს მოუწოდებს, "გადაარჩინონ სამუშაო ადგილები, გადაარჩინონ ეკონომიკური ზრდის პოტენციალი." **ინტერპრესნიუსი**

## შვეიცარიის პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტი აირჩია

შვეიცარიის პარლამენტმა გუშინ ქვეყნის პრეზიდენტი აირჩია, - იუწყება სააგენტო "რია.ნოვოსტი".

სახელმწიფოს მეთაური შვეიცარიის ფედერალური საბჭოს 7 წევრიდან ერთი წლის ვადით შეირჩევა. როტაციის პრინციპის თანახმად, ახალი პრეზიდენტი ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი, ფინანსთა მინისტრი, 66 წლის ჰანს-რუდოლფ მერცი გახდა.

შვეიცარია, რომელიც ფედერაციული რესპუბლიკაა, პრეზიდენტს წელიწადში ერთხელ, ხოლო მინისტრების ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევს.

"გადაწყვეტილებების მიღებაში მთავრობის ყველა წევრი თანაბარი უფლებებით სარგებლობს, გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ კოლეგიალური პრინციპით ხდება," -განმარტავს საინფორმაციო სამსახური. **ინტერპრესნიუსი**

## საბერძნეთში მასობრივ არეულობებს საყოველთაო გაფიცვები დაემატა

საბერძნეთში მასობრივი არეულობები გრძელდება. პარალელურად პროფკავშირებმა, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პროტესტის ნიშნად, საყოველთაო გაფიცვის მოწოდება გააკეთეს, - იუწყება "ბი-ბი-სი".

გაფიცვების გამო დღეს საბერძნეთში ოფისებისა და ბანკების უმრავლესობა დაკიტება. მოსალოდნელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის, რკინიგზისა და აეროპორტების მუშაობის შეფერხება.

"პროფკავშირებს მსგავსი აქცია დაგეგმილი ჰქონდათ ჯერ კიდევ მასობრივი არეულობების დაწყებამდე, როცა პოლიციის მიერ ნასროლი ტყვიით 15 წლის მოზარდი დაიღუპა. საპროტესტო აქციებში ჩართვას ჟურნალისტები, მასწავლებლები და ბანკის თანამშრომლებიც აპირებენ," - აღნიშნავს "ბი-ბი-სი". **ინტერპრესნიუსი**

## დიმიტრი როგოზინი: რუსეთ-ნატო-ს ურთიერთობების ლღობა დაიწყო

რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში დიმიტრი როგოზინი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციასა და ნატო-ს ურთიერთობების გალღობა დაიწყო. მისივე თქმით, 18 დეკემბერს იგი პირადად შეხვდება ნატო-ს გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერს და მოლაპარაკებებს გამართავს.

"გუშინ ალიანსის გენერალური მდივნის მოადგილეს პოლიტიკურ საკითხებში, მარტინ ერდმანს და ნატო-ს სპეციალურ წარმომადგენელს კავკასიის საკითხებში რობერტ სიმონსს შევხვდი," - განაცხადა როგოზინმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შეხვედრებისას მხარეებმა რუსეთ-ნატოს საბჭოს ფუნქციონირების ხაზით ურთიერთობების გალღობაზე ისაუბრეს.

"შეხვედრათა შედეგების მიხედვით შევათანხმეთ "საგზაო რუკა", რომელიც ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას ითვალისწინებს," - განაცხადა როგოზინმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# თებერვლიდან რუსეთს ახალი პატრიარქი ეყოლება



*მიტროპოლიტი კირილი მომავალ პატრიარქად მოიაზრება.*

AFP ' 2008

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მომავალი პატრიარქის ინტრონიზაციის დღე უკვე დანიშნულია - 2009 წლის პირველ თებერვალს რუსულ ეკლესიას ახალი თავკაცი ეყოლება. ჯერჯერობით მისი ვინაობა უცნობია. პატრიარქის არჩევნები სინოდში 27-29 იანვარს ჩატარდება. ამის შესახებ ინფორმაცია მიტროპოლიტმა კირილმა გაავრცელა, რომელიც რუსულ ეკლესიას ახალი პატრიარქის არჩევამდე უხელმძღვანელებს. ასევე ის ამ პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრება.

პატრიარქის არჩევნების დღემდე, 25-26 იანვარს რუს ეპისკოპოსთა შეხვედრა გაიმართება, სადაც პატრიარქობის კანდიდატებს დაასახელებენ. არჩეული კანდიდატებიდან კი 27-29 იანვარს რუსული ეკლესიის თავკაცები ახალ პატრიარქს დაასახელებენ. უკანასკნელი ასეთი კრება 18 წლის წინათ სამების ლავრაში გაიმართა და აწგანსვენებული პატრიარქი ალექსი მეორე, საიდუმლო კენჭისყრის შედეგად, მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩიეს.

არჩევნების დღის პროცედურას, დღის წესრიგს, რეგლამენტს და სტრუქტურას წმინდა სინოდი განსაზღვრავს, - ამის შესახებ სააგენტო "ბიბისის" საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსმა მამა ვლადიმირ ვიგილიანსკიმ განუცხადა. გამარჯვებულის ვინაობა ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოვლინდება. საპატრიარქოს წარმომადგენელთა განცხადებით, პატრიარქის პოსტზე არჩეული პიროვნების ასაკი 40 წელს უნდა აღემატებოდეს, უნდა გააჩნდეს ეპარქიის მართვის გამოცდილება და სარგებლობდეს კარგი ავტორიტეტით როგორც მართლმადიდებელ მრევლში, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

რუსული საპატრიარქო, რომელიც იმპერატორ პეტრე პირველის დროს გაუქმდა, რუსეთში 1917 წელს ბოლშევიკების სათავეში მოსვლის შემდეგ მალევე აღადგინეს.

ალექსი მეორემდე სამი პატრიარქი - სერგეი, ალექსი პირველი და პიმენი, უალტერნატივო კენჭისყრის გარეშე, საბჭოთა ხელისუფლების დირექტივით "აირჩიეს".



# რევიუ

## ფესტივალის მლაშე დღე

### თბილისის კინოფესტივალზე ორი საკონკურსო ფილმი აჩვენეს

ია ვეკუა
სოფო კილასონია

როგორც წესი, მსოფლიო მნიშვნელობის კინო ფესტივალებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებს ხშირად ახლავს სკანდალი. ასეთი რამ უფრო გახსნის ცერემონიალზე ხდება - ხან ძვირფას ბეწვეულში გახვეულ ქალბატონებს ასხამენ PETA-ს ცხოველთა დამცველები საღებავს, ხანაც სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები მართავენ საპროტესტო აქციებს, რომლებსაც არც თუ იშვიათად გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები ენაცვლებიან. ასე მოხდა თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნაზეც - კინოთეატრ "ამირანის" მისადგომებთან ზუსტად ისეთი სურათი გადაიშალა, როგორიც არა ერთხელ გვინახავს პარლამენტის შენობის წინ - აქცია ზვიად გამსახურდიას მეუღლის თანამოაზრეებმა გამართეს.

ამ აქციას კინოფესტივალის ორგანიზატორები მეტ-ნაკლებად ელოდნენ, რადგან რამდენიმე დღით ადრე ფესტივალისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე სამი ქალბატონი პროგრამაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის შეტანის მოთხოვნით მოვიდა. როგორც იცით, მომავალ წელს ზვიად გამსახურდიას 70 წელი შეუსრულდებოდა, ფილმიც ამ თარიღთან დაკავშირებითაა გადაღებული და ფესტივალის პროგრამაში მის შეტანასაც ამ მოტივით ითხოვდნენ. უარის მიღების შემდეგ კი "ამირანის" პიკეტირება, რამდენიმე ჟურნალისტის მსუბუქი გალახვა, სტუმრების თმით თრევა და მიტინგის გამართვა გადაწყვიტეს. მოკლედ სკანდალი შედგა, ძალიან უსიამოვნო სარჩულით შექმნილი, თუმცა მაინც სკანდალი. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ამ ამბით ფესტივალის ქართველი სტუმრები უფრო იყვნენ გაოგნებულები, ვიდრე უცხოელები - მათ ალბათ "პეტას" აქტივისტების საღებავი საკუთარი თვალით და ძალიან ახლოდან უნახავთ.

ყველაფრის მიუხედავად, ფესტივალი მაინც გაიხსნა, უფრო საქმიანად, ვიდრე საზეიმოდ და პირველი არასაკონკურსო ფილმიც ვიხილეთ - ჟიურის წევრის, ჯო რაიტის "სინანული". ფილმი წელს "ოსკარზე" იყო წარდგენილი, მანამდე კი "ოქროს გლობუსი" მოიპოვა, ამიტომ მისდამი ინტერესი განსაკუთრებული იყო. ფილმი სასიყვარულო ხასიათის დრამაა. მაყურებელი არისტოკრატი გოგონასა და მებაღე ბიჭის სიყვარულის განვითარების მოწმე ხდება, თუმცა როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, თავს მაინც იჩენს ხელის შემშლელი ფაქტორი: ეჭვიანი და და ომი. ფილმის თხრობა სწორედ მთავარი გმირის დის მხრიდან ხდება, რომელმაც წლების შემდეგ ამ ისტორიას რომანი მიუძღვნა, რომანი-აღსარება, სადაც მკითხველს თავის ბავშვურად გულუბრყვილო, თუმცა გამოუსწორებელი დანაშაულის შესახებ სიმართლეს უყვება. ფილმის ფაბულა მარტივი და ყველასთვის კარგად ნაცნობია - ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლად შეუძლია ადამიანების ბედის შეცვლა. თუმცა აქ უფრო საინტერესო 13 წლის მოზარდის დამოკიდებულებაა თავისი ზრდასრული დის მიმართ, რომელიც უკვე იმდენად გაიზარდა, რომ მასთან აღარ თამაშობს და ამჯობინებს საყვარელ მამაკაცთან მეტი დრო გაატაროს. ფილმის გარდა "ოსკარზე" მასში მონაწილე მსახიობი 13 წლის საორის რონანიც იყო ნომინირებული, რომელსაც პარტნიორობას ჯეიმს მაკავოი და კირა ნაიტლი უწევენ.

პირველ საკონკურსო დღეს მაყურებელმა ორი ფილმი თანოს ანასტოპულოსის "შესწორება" და ალესანდრო ანჯელინის "მლაშე ჰაერი" იხილა.

■ ■ ■

ასეთ ფილმებს ამ ბოლო დროს "საფესტივალოს" უწოდებენ. ანუ რა ხდება, როგორც წესი კადრები ნელა იცვლება, გმირებიც ნება-ნება დააბიჯებენ ხშირად დაბინძურებულ, დანაგვიანებულ ქუჩებში. ლამაზი ხედები არ ჩანს საერთოდ, თუნდაც მოვლენა რომელიმე მეგაპოლისშო, ისტორიულ ქალაქში მიმდინარეობდეს. მაგალითად, ათენში. სახეები ახლო ხედით და თითქმის უმაკიაჟოდ. ყველაფერია იმისთვის რომ ფაქტურა იგრძნო და ექსპრესიულად აღიქვა ის, რაც ხდება ან საერთოდ არ ხდება კინოსურათში. თემა - სოციალური, საზოგადოებისა და ინდივიდის დაპირისპირება. მაგრამ ეს საუკეთესოთა შემთხვევაში. ყველაზე ხშირად ეს ფილმები სხვაობებზეა. სხვაობა სქესთა და სექსუალურ ორიენტაციათა შორის, ერებსა და რასებს შორის. დაბოლოს, ეს სხვაობა ერთ სივრცეში, ერთ მიკროსამყაროში ფეთქდება და ბნელი კადრების წყება ამ აფეთქებას მაინც ვერ ახშობს. ვერც ჩაახშობს. ალბათ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი თანამედროვე საზოგადოებას სტკივა.

ის, რაც წინა აბზაცში დავწერეთ საფესტივალო ფილმების ფორმას შეეხებოდა. იმას, რაც ზედაპირზე ამოდის. ცხადია, ყველაფერი დეტალებით გამოირჩევა და მათ შორის საუკეთესონიც რამდენიმე დეტალით განსხვავდებიან ხოლმე სხვებისგან. მეტი აქტუალობით, მეტი მხატვრულობით, სცენარის ორიგინალობით, ანდა მსახიობთა ოსტატობის ხარისხით. გამარჯვებული ის გამოდის, ვის ნამუშევარშიც ცოტა-ცოტა

ყველაფერია თავმოყრილი და ორგანულად შეკრული. ეს ყოველივე უბრალოდ არ გვითქვამს და სიტყვას არ მოუტანია, ეს ყოველივე პირდაპირ კავშირშია თანოს ანასტოპულოსის ნამუშევართან. "შესწორება" ამ რეჟისორის მეორე კინოსურათი ნაცრისფერ კადრებს მიღმა თითქმის უსიტყვოდ და აუჩქარებლად, მძიმედ მიმდინარე სოციალური სიუჟეტია. მართალია, ფილმი ტიპიურია, მაგრამ საკითხები რომლებსაც რეჟისორი ეხება საინტერესოდ გამოიყურებიან, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი შუაგული ათენიდან იოლად განზოგადდებიან იმ ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, რომლისკენაც ემიგრანტები, ანუ სხვები ილტვიან.

მთავარ როლებში არიან - რამდენიმე ჯგუფად გახლეჩილი საზოგადოება და რამდენიმე მარტოსული ადამიანი. ისინი ცივი საზოგადოების აგრესიულ კანონებს ემორჩილებიან. ციხიდან გამოსული ბერძენი, ათენის ქუჩებში დაეხეტება, ისე, უბრალოდ, არაფრისთვის და არავისთვის, მაგრამ ცხოვრების არსს ერთი ქალის და მისი ბავშვის კვალდაკვალ სიარულში, მათთან სიახლოვეში დაინახავს. ფილმის მცირე სინოფსისი მაყურებელთა უმრავლესობისთვის საინტერესო კითხვას ახმოვანებს: ვინ არიან ეს ადამიანები ერთმანეთისთვის? ის რომ საქმე რომანტიკულ, სასიყვარულო დრამას არ ეხება, ერთი შეხედვითაც ცხადია. მთავარი თემა, რომელიც გმირებთან ერთად უკვე მაყურებელსაც აწუხებს სწორედ რომ სხვაობაა, სხვაობა ადამიანებს შორის. ამ შემთხვევაში ეს სხვაობა ეროვნული ნიშნით ვლინდება, - საბერძნეთის მკვიდრ მოსახელობასა და ემიგრანტებს შორის.



კადრი ფილმიდან "შესწორება"



კადრი ფილმიდან "მლაშე ჰაერი"

მოხეტიალე, თანამედროვე ოდისევსი ბერძენია. ქალი კი - ალბანელი. ალბანელია მისი გოგონაც და ალბანელი გახლდათ მისი მეუღლეც, რომელიც ბერძნებმა ცემით მოკლეს. ფილმში სულ ალბანელები ჩანან და მხოლოდ ერთი ბერძენი მთავარი გმირის სახით. მაგრამ ეს ერთი ხელმოცარული ბერძენი მაინც სხვების მასპინძელია და საბოლოოდ ალბანელების რისხვის ობიექტიც ის გახდება. ის, რომელმაც ამ ფილმში რასისტი თანამემამულეების ცოდვები იკისრა, ანდა აკისრებინეს. საბოლოოდ კი ისიც აღმოჩნდება, რომ მას მისთვის საოცნებო ქალის ქმრის მკვლელის სახე აქვს.

რატომ დასდევს ბერძენი ამ ქალს? სინამდვილეში ვინ მოკლა ქალის მეუღლე? ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის? - ფილმის დასასრულს მაინც დარჩა ღია კითხვები. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილმმა სააზროვნო დატოვა. უფრო სწორედ, - გამოცანები. გვერწმუნეთ, ეს დეტალიც რიგითი საფესტივალო ფილმების ატრიბუტია. ერთნი ფიქრობდნენ, რომ დასდევდა იმიტომ, რომ უყვარდა, მეორენი კი - დასდევდა იმიტომ, რომ ქმარი სწორედ მან მოუკლა და სინდისი ქენჯნიდა. ფაქტები, რომლებსაც ფილმში ვეძებთ, ერთ აზრსაც ისე ამტკიცებს, როგორც მეორეს. თუმცა მგონია, რომ რეჟისორი ბევრად მეტს ცდილობს, ცდილობს ისტორია ფენებად დაშალოს...

ალბანური ოჯახის უბედურების მიზეზი ბერძნების აგრესიაა. ალბანელები ათენში ბევრად კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე ათენელები. ეს და კიდევ ათასი მიზეზი სახელდება ფილმში, რის გამოც, ბერძნები წითელდროშებიანებს დასდევენ და სასტიკად უსწორდებიან. ალბანელები კი წითელ დროშებს იმიტომ აფრიალებენ, რომ საბერძნეთში ქრისტიანობა იძულებით არ მიაღებინონ და ქუჩაში აღარ ეძახონ: "შენ ვერასდროს გახდები ბერძენი (ანუ სრულუფლებიანი მოქალაქე), შენ ალბანელი (მეორეხარისხოვანი) ხარ". ამ ბრძოლას ეწირება ფილმის გმირის მეუღლე და მკვლელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ბერძენი, ისიც კი რომელიც ფეხდაფეხ დასდევს. შესაბამისად კავშირი მათ შორის თითქმის შეუძლებელია. საზოგადოება მეტისმეტად დაშლილია, იმისთვის რომ ამ ოჯახში ეს შესწორება, უფრო ზუსტად კი ჩასწორება განხორციელდეს.

გუშინ ნაჩვენები მეორე საკონკურსო ფილმი თემატურად და პრობლემის თვალსაზრისით ძალიან შორს არ გახლავთ პირველისგან.

■ ■ ■

ალესანდრო ანჯელინის "მლაშე ჰაერი" უფრო ოჯახური დრამაა, თუმცა მას სოციალური ხაზი აქვს - პატიმრის საზოგადოებაში დაბრუნება და ადაპტირების პროცესი. ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი მკვლელია და 20 წლის წინ ჩადენილი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. პატიმრობის გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ იგი სხვა საპატიმროში გადაჰყავთ, სადაც სოციალურ მუშაკს ხვდება, ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც პატიმართან საუბრის შემდეგ არკვევს, რომ იგი მამამისია. სწორედ ამ მომენტიდან იწყება ფაბიოს ცხოვრების ყველაზე რთული და გადამწყვეტი ეტაპი, მან უნდა აღიაროს, შემდეგ კი უნდა მიიღოს ბიოლოგიური მამა ისეთი, როგორც იგი პატიმრობის წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა. შთამბეჭდავია სცენა, როდესაც ფაბიო საყვარელ გოგონას აღსარებასავით უზიარებს, როგორ ენატრებოდა მთელი ცხოვრება მამა, როგორ აკლდა მასთან გატარებული წუთები, როგორ შურდა იმ თანატოლების, რომლებიც მამებს ფეხბურთზე დაჰყავდათ. მეორე მხრივ, მაყურებელი ხდება თავად პატიმრის ტრაგიკული ცხოვრების მოწმეც - იგი უარყოფილი და დავიწყებულია ყველას მიერ, ოჯახის წევრებმა გარდაცვლილად ჩათვალეს და უარს აცხადებენ მასთან ურთიერთობაზე. ამ ყველაფერს კი იგი მხოლოდ ერთ გადაწყვეტილებამდე მიჰყავს და ეს გადაწყვეტილება ცხადია ფატალურია.

ფილმს რამდენიმე საერთაშორისო პრიზი აქვს მიღებული, მათ შორის ორი "დონატელოს დავითიც". მიუხედავად ამისა, ფილმის დაწყებამდე იტალიის საელჩოს წარმომადგენელმა გულწრფელად გვაუწყა, რომ "მლაშე ჰაერი" ერთი ჩვეულებრივი ფილმია, იტალიაში დიდი ყურადღება არც მიუქცევიათ და რომ მადლიერია თბილისის კინოფესტივალის, რადგან ანჯელინის ფილმი საკონკურსო პროგრამაში ჩასვეს.

დღეს მაყურებელს კიდევ სამი საკონკურსო ფილმის ნახვის საშუალება აქვს: ან-კრისტი რაიელსის "მონადირე ძაღლები", ანა მელიქიანის "ქალთევზა" და ატილა გიგორის "გამომძიებელი".

### დათო ტურაშვილის ხუთშაბათი



# სოფლელების ქალაქი

ევროპელებისაგან არა მხოლოდ შინაარსით, ფორმებითაც ძალიან განვსხვავდებით და გარეგნული ატრიბუტიკაც კი, სრულიად განსხვავებული გვაქვს.

მაგალითად, ევროპის ვერცერთ დედაქალაქში (ან რომელიმე ქალაქში) ვერც კი ნახავთ ისეთი გრანდიოზული მოცულობის მანქანებს, როგორებითაც ადამიანები თბილისში გადაადგილდებიან. პირიქით, ევროპაში დიდი ჯიპებით მხოლოდ სოფლებსა და მაღალმთიან ადგილებში დადიან და ევროპელი სოფლელები ევროპელი ქალაქელებისაგან, სწორედ ავტომობილების სიდიდით განსხვავდებიან.

ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა და ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ გემების ადგილი ზღვაშია და არა ბარნოვის ქუჩაზე და სინამდვილეში ქართული პროვინციალიზმი მხოლოდ თბილისში არსებობს.

მეტიც, საქართველო (რამდენჯერმე) სოფელ-სოფელ მაქვს შემოვლილი და გოიმები არცერთ სოფელში არ შემხვედრიან თბილისის გარდა, რადგან პროვინციალიზმი სინამდვილეში დამახინჯებული ცნობიერებაა და არა გეოფრაფიული ან ადმინისტრაციული მახასიათებელი. სინამდვილეში პროვინციალიზმი ჩვენი დეგრადირებული მენტალიტეტია და მხოლოდ თბილისში შეიძლება შეგხვდეთ ადამიანი გემისხელა ჯიპით, რომელშიც საწვავის ჩასხმაც კი უჭირს, მაგრამ არ იმჩნევს და ტყუილში ცხოვრება ურჩევნია. შეიძლება დაუჯერებლადაც ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ტყუილში ცხოვრებამაც იცის მიჩვევა და ჩვენც უკვე მივეჩვიეთ ცრუ ფასეულობებს და ეს დიდი და შავი ჯიპებიც ფსევდოძალაუფლების ქვეცნობიერი გამოვლინებაა.

ისიც სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოების ამ მახინჯ ლტოლვას ძალაუფლებისადმი, ჩვენი ხელისუფლების უმრავლესობაც უნებლიედ უწყობს ხელს და იქ, სადაც ძალა არის გადამწყვეტი და არა კანონის უზენაესობა, ადამიანებიც ჯიპებს უფრო ეტანებიან, ვიდრე წიგნებს.

გამოსავალი კი ერთადერთია.

რამდენიმე წლის წინ დოკუმენტური ფილმი ვნახე იმის შესახებ, თუ როგორ აშენებდნენ ესტაკადებს მექსიკის დედაქალაქში და ჩვენი ავტოსაცობებისაგან თავდასაღწევად რომ იგივეს გაკეთება შევძლოთ, კიდევ რამდენიმე ათეული წელი დაგვჭირდება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება, თუ დედაქალაქს სადმე სხვაგან გადავიტანთ და ამ გზით (ერთდროულად) რამდენიმე კურდღელს დავიჭერთ:

კურდღელი ნომერი ერთი - მთელი ქართული ენერგია, კულტურა და ფინანსები (საბჭოური იძულების გამო), დღემდე კონცენტრირებულია მხოლოდ თბილისში და დედაქალაქის სხვაგან გადატანის შემთხვევაში, ამ ენერგიის გადანაწილება მოხდება.

კურდღელი ნომერი ორი - საქართველოს მოქალაქეებს (ბევრს), რომლებიც თბილისში არ ცხოვრობენ, შეცდომით ჰგონიათ, რომ თბილისელობა მართლა ჯობია ხონელობას ან თელაველობას და შესაბამისად უჩნდებათ არასრულფასოვნების სრულიად ზედმეტი კომპლექსი.

კურდღელი ნომერი სამი (ცოტა ეგოისტური) - თუ დედაქალაქს სხვაგან გადაიტანენ, ეს ჯიპებსა და გემებს დაწაფებული ხალხიც ხომ იქ წავა, სადაც ფულია, ძალა და ხელისუფლება...

**p.s. ირმა ლორიას თხოვნით კომენტარი უნდა გავუკეთო გახშირებულ საკადრო ცვლილებებსაც ხელისუფლებაში, მაგრამ მგონი ყველაფერი ისედაც ნათელია.**

**ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს თურმე ერთი პერიოდი ისე ხშირად უფუჭდებოდა სახლში ტელეფონი, რომ ბოლოს თავისი რაიონის რაიკომის მდივანსაც კი შესჩივლა. იმ რაიკომის მდივანმა მეორე დღესვე თვითონვე დაურეკა მწერალს და სიხარულით ამცნო - აღარ ინერვიულოთ, ბატონო ნოდარ, ატეესის უფროსი გამოვცვალეთო.**

**ნოდარ დუმბაძეს გაღიმებია - ატეესის უფროსის გამოცვლა რას მიშველის, კაბელი უნდა გამოცვალოთო...**

# "ოსკარის" მაძიებელი რაინდი

## იანვარში "ბნელი რაინდს" კინოგაქირავებაში ხელმეორედ ჩაუშვებენ

ნიკა ესებუა

"უორნერ ბრაზერსის" ბოსების გადაწყვეტილებით "ბნელი რაინდი" 23 იანვარს ხელმეორედ ჩაეშვება კინოგაქირავებაში. ამჯერად მხოლოდ ამერიკის კინოთეატრებში. სტუდიის ხელმძღვანელობამ ფილმის ხელმეორედ რელიზით კიდევ ერთხელ გააკეთა სერიოზული განცხადება ოსკარის მთავარ ჯილდოებზე ნომინაციის მოსაპოვებლად. ერთგვარ დოგმად იქცა ის ფაქტი, რომ "ოსკარის" მთავარ ნომინაციებში ვერ ხვდებიან ზაფხულსა და გაზაფხულზე გამოსული ფილმები. ნომინანტების აბსოლუტური უმრავლესობა შემოდგომასა და დეკემბერში გამოსული ფილმებითაა დაკომპლექტებული. 22 იანვარს "ოსკარის" ნომინანტები დასახელდება და დიდი შანსია "ბეტმენმა" მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლისთვის (ჰიტ ლეჯერი) და რეჟისურისთვის (კრისტოფერ ნოლანი) ნომინაციები მოიპოვოს.



არსებობს მეორე მიზეზი, რატომაც ფილმი ხელმეორად ჩაეშვება კინოგაქირავებაში. ფილმი 2008 წლის ივლისში გამოვიდა და 20 კვირაში 996 მილიონი დოლარის მოპოვება შეძლო. "უორნერ ბრაზერსის" ბოსებს გადაწყვეტილი აქვთ ფილმის შემოსავლები მილიარდიან ნიშნულს გადააცილონ. აქამდე მილიარდზე მეტი მხოლოდ სამ ფილმს: "ტიტანიკს", "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნებასა" და "კარიბის ზღვის მეკობრეები 2-ს" აქვს მოგროვებული.

"ბნელი რაინდი" კომიქსების ადაპტაციის ნამდვილ რევოლუციურ ნაშრომად მოგვევლინა. ფილმი თავის ჟანრში საკულტო პროდუქციად იქცა. რა თქმა უნდა დაგეგმილია ფილმის გაგრძელება. კრისტოფერ ნოლანი ჯერ-ჯერობით ჭოჭმანობს რეჟისორის სავარძელში მოთავსებაზე. მისი აზრი ჰიტ ლეჯერის დაღუპვის შემდეგ ძნელი იქნება ფრენჩაიზის ისე გაგრძელება, რომ ახალი ნაწილი წინამორბედს მინიმუმ არ ჩამოუვარდებოდეს მაინც. ასევე კამათის თემაა თუ ვინ იქნება ბეტმენის ვილანი (ან ვილანები) ფილმის სიქველში. პროდიუსერები ქალ-კატას, პინგვინს და ენიგმას უმიზნებენ და თან ამ პერსონაჟებს ცნობილი მსახიობებისთვის ჩაბარებას აპირებენ. პინგვინს ფილიპ სეიმურ ჰოფმანი, ქალ-კატას ანჯელინა ჯოლი, ხოლო "გამოცანას" ჯონი დეპი ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში პროდიუსერების სურვილი ასეთია.

ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ იქნებ ხელმეორე რელიზის დროს მაინც აჩვენონ "ბნელ რაინდი" საქართველოში და კინომოყვარულებს წლის ბლოკბასტერის დიდ ეკრანზე ხილვის საშუალება მოგვცენ.

# ყველაზე დიდებული მუსიკოსები

ბრიტანულმა გამომცემლობა Times-მა ახალი ისტორიის მუსიკის 100 დიდებული შემსრულებლის ჩამონათვალი გამოაქვეყნა. საუკეთესო მუსიკოსების ნუსხა ჟურნალმა Rolling Stones-მა შეადგინა. რეიტინგის შედგენაში მონაწილეობდა 200-ზე მეტი მუსიკოსი, მომღერალი, ხმისჩამწერი კომპანიის მფლობელი და მუსიკალური კრიტიკოსი. თითოეულმა მათგანმა 20 საუკეთესო მუსიკოსის საკუთარი რეიტინგი შეადგინა. ამის შემდეგ კომპანია Ernst & Young-მა მონაცემები პეციალური დამთვლელი ტექნოლოგიებით გადაამუშავა და საბოლოოდ 100 საუკეთესო მუსიკოსის რეიტინგი შეადგინა.



რეიტინგის სათავეში აღმოჩნდა ცნობილი შავკანიანი მომღერალი არეტა ფრანკლინი. 66 წლის "სოულის დედოფალს" მოსდევს რეი ჩარლზი, რომელიც სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა და რომელმაც "როკ ენ როლის მეფე" ელვის პრესლი ჩამოიტოვა. პრესლი რეიტინგში მესამე ადგილზე გავიდა. მეოთხე ადგილი კრიტიკოსებმა სოულისა და რითმ-ენდ-ბლუზის სტილში მოღვაწე პოპ-მომღერალს სემ კუკს მიაკუთვნეს. მეხუთე ადგილს იკავებს ცნობილი "ლივერპულელი ოთხეულის" წევრი ჯონ ლენონი. მეექვსე ადგილი ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა, არანჟირების ავტორმა, მუსიკოს-მულტიინსტრუმენტალისტმა, სიმღერების ავტორმა და მუსიკალურმა პროდიუსერმა მარვინ გეიმ დაიკავა. აღნიშნულ ექვსეულს მოსდევს ბობ დილანი, რომელიც კრიტიკოსების აზრით, მუსიკალური კონსერვატიზმის მიუხედავად ახალი ფოლკ-მუსიკის სიმბოლო გახდა. მერვე ადგილზე გავიდა სოულ-მუსიკის ცნობილი კლასიკოსი ოტის რედინგი, რომელიც ავტოკატასტროფაში 26 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიაში მეცხრე ადგილი დაბადებიდან უსინათლო მომღერალმა და კომპოზიტორმა სტივ უანდერმა დაიკავა. რეიტინგის ათეულს ჯეიმს ბრაუნი ამთავრებს. "სოულის ნათლია", მისტერ Please Please Please" და "მისტერ დინამიტი", როგორც იგი თავის თავს უწოდებდა, მუშაობდა ისეთ ჟანრებში, როგორებიცაა - გოსპელი, რიტმ-ენდ-ბლუზი და ფანქი.

ასეულში მოხვდნენ, ასევე ტინა ტერნერი, მიკ ჯაგერიუ, ბიორკი, პოლ მაკარტნი, მაიკლ ჯექსონი, ფრედი მერკური, კურტ კობეინი და სხვები.

# ვის სურს "ოქროს ვაშლი"

## ქართული რეკლამის ფესტივალი გამარჯვებულებს 19 დეკემბერს დაასახელებს

ია ვეკუა

ჰკითხეთ ნებისმიერ ტელემაყურებელს, რა აღიზიანებს ყველაზე მეტად, როდესაც მოხერხებულად მოკალათებული საყვარელი სერიალის კულმინაციურ მომენტს უყურებს, დაძაბულობისგან სავარძლის სახელურებსაა ჩაფრენილი და ერთი სული აქვს გაიგოს, ვინ ვისი შვილია ან სად იყო ამდენ ხანს პირველ სერიაში გაუჩინარებული პერსონაჟი. ჰკითხეთ და ის გიპასუხებთ, რომ ეს რეკლამაა - საკვების, იპოთეკური სესხების, სარეცხი საშუალების და ჰოი საოცრებავ, პრეზერვატივებისაც კი! ასეთ დროს სარეკლამო გაჭრებს ყველა თავის დაუძინებელ მტრად მიიჩნევს და ავიწყდება, რომ რეკლამაც შეიძლება ხელოვნების ნიმუში იყოს. არის თუ არა რეკლამა ხელოვნება, ამაში უფრო კარგად ქართული რეკლამის პირველი ფესტივალი "ოქროს ვაშლი" დაგვარწმუნებს, 19 დეკემბერს კი საუკეთესო რგოლის შესახებ გვაუწყებენ.

ფესტივალის ორგანიზატორი კრეატიული სტრატეგიების კომპანია "იდეა იმპერაა", ხოლო ფესტივალის იდეა ქართული რეკლამების პოპულარიზაციაა. "ოქრის ვაშლი" არ არის მხოლოდ სარეკლამო რგოლების დათვალიერება-შეფასება - იგი ერთგვარ გზამკვლევსაც წარმოადგენს მათთვის, ვინც რეკლამის დამამზადებელი კომპანიებს შორის არჩევანის გაკეთებას ვერ ახერხებს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ფესტივალის მსვლელობისას ყველა სარეკლამო კომპანია თავის საუკეთესო პროდუქციას წარმოადგენს, რაც მათი საქმიანობის ხარისხის გაცილებით ნათელ სურათს შექმნის. პოტენციურ შემკვეთებს კი მართლაც დიდი არჩევანის წინაშე მოუწევთ დადგომა - ფესტივალში მონაწილე კომპანიების ნუსხა საკმაოდ მოცულობითია: "სანგუკო", "პეგასი", "ვინდფორსი", "მეტრო სტუდია", "სტილი", "თიბისი თივი", "ემოუშენ ფროდაქშენ", "X ფორმი", "მაგისტილი", "კონტრასტი", TV+, "უნივერსალი", "საქიდეამშენი", "3 ფოინთი", "საყვირი", GAS, "ნეო სტუდია" და სხვა. როგორც "იდეა იმპერას" კრეატიული სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ ერგემლიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, ეს არ არის ფესტივალში მონაწილე კომპანიების სრული სია, რადგან განაცხადები ჯერ კიდევ შემოდის.

ფესტივალის გამარჯვებული რამდენიმე ნომინაციაში გამოვლინდება: იდეა, რეჟისურა, სარეკლამო სლოგანი, გარე (ნაბეჭდი) რეკლამა, რადიო რეკლამა, სოციალური, ადაპტირებული რეკლამები, რეკლამა არქივიდან, ხალხის რჩეული (შემთვევითი შერჩევით უკვე გამოკითხულია 1200 მოქალაქე) და ცხადია წლის რეკლამა. ასევე დაასახელებენ საუკეთესო სარეკლამო კომპანიასაც. ნომინაციების გამარჯვებულთა გამოვლენა კი ჟიურის დაეკისრება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მარკეტოლოგი ზურაბ ლილუაშვილი, პიარ სპეციალისტი ნატო ონიანი, დიზაინერი ზვიად ციკოლია, კრიტიკოსი ლაშა ბაქრაძე, ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა და რეჟისორი რამაზ იოსელიანი. როგორც ხედავთ, ჟიურის შემადგენლობა ისეა შერჩეული, რომ ერთი დეტალიც არ დარჩეს ყურადღების მიღმა, რაც ცხადია შედეგების ობიექტურობის გარანტიც გახდება.

"ოქროს ვაშლის" გამარჯვებულებს 19 დეკემბერს დაასახელებენ. "იდეა იმპერას" გადაწყვეტილებით ეს თარიღი ქართული რეკლამის დღედ დაწესდება, ფესტივალი კი ყოველწლიურად გაიმართება.

# ეს რა იდიოტობაა, ტო?

## ორი ახალი ქართული კინოპროდუქცია

ნინია კაკაბაძე

რამდენიმე დღის წინ თბილისის კინოთეატრებში კიდევ ერთი ახალი ფილმი გამოვიდა. ზაზა ურუშაძის "სამ სახლს" დიტო ცინცაძის "მედიატორი" ჩაენაცვლა. ეს ორი ნამუშევარი ერთმანეთისგან, როგორც შინაარსით, ასევე სტილისტურად სრულიად განსხვავდება და ჩვენც სწორედ ამ სხვაობაზე მოგახსენებთ.

დიტო ცინცაძის ფილმი დეტექტიური ჟანრის კინოს ჰგავს, ჩანს კომერციული პროდუქციის შექმნის სურვილიც.... არ მოვყვები ფილმის ფაბულას, მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, რომ დიტო ცინცაძისა და აკა მორჩილაძის სცენარი მკვლელობაზე და მკვლელობის გამოძიებაზეა აგებული. ეს არის კრიმინალური თამაში, რომელსაც ძალიან ბევრი გმირი ჰყავს. ამბავი ინგლისელი მამაკაცის მკვლელობით იწყება. დიტო ცინცაძე საოცრად დახვეწილი და ოსტატური მონტაჟის მეშვეობით რამდენჯერმე გვაბრუნებს მკვლელობის ადგილზე, რის შედეგადაც მაყურებელს არ შეიძლება ასოციაცია არ გაუჩნდეს ტარანტინოს "კრიმინალურ საკითხავთან", რომელიც კრიმინალურ ისტორიებს გაშარჟებული სახით წარმოგვიდგენს: ამბავი და გმირები, რომელთა ქმედება გენიალური იდიოტიზმის რანგშია აყვანილი. ასევე გაგახსენდებათ თავად დიტო ცინცაძის შესანიშნავი ფილმი "დაკარგული მკვლელები". მაგრამ ეს მხოლოდ ასოციაციებია. ცინცაძე-მორჩილაძის კრიმინალური ისტორია თანამედროვე კინოხელოვნებისთვის დამახასიათებელ სტილშია შესრულებული, სიუჟეტის დინამიური განვითარება, სწრაფი მონტაჟი, მხრზე დადებული მოცახცახე კამერა და ა.შ. და ა.შ. ფილმი ფერადია, მაგრამ მეხსიერებაში, როგორც შავ-თეთრი გამოსახულება ისე ჯდება. მკვლელობას ბევრი მოქმედი პირი ჰყავს, ამასთანავე არიან მკვლელობასთან დაკავშირებული სხვა გმირები, მოწმეები, გამომძიებელი, დამკვეთი, შემსრულებლები, პარტნიორები და სხვა. ერთ-ერთი მკვლელის ყოფილი ცოლი ახლა გამომძიებლის "ნაშაა", მაგრამ ამის შესახებ არც გამომძიებელმა იცის და არც მკვლელმა. მერაბ ნინიძის გმირმა, ანუ მკვლელმა, არ იცის, რომ გიორგი ნაკაშიძე - გამომძიებელი, სწორედ მისი მონაწილეობით შესრულებულ მკვლელობას იძიებს და ფილმიც ისე მთავრდება, რომ ეს ინტრიგა გაუხსნელი რჩება, ანუ ისინი ბოლომდე ვერ გაიგებენ ამის შესახებ. უცნაურია, დეტექტიური ჟანრის ფილმში რა საჭიროა მსგავსი ინტრიგის შემოტანა?! ასეთი კითხვა ბევრი გაჩნდება, მაგალითად, სად დაიკარგება პირველ ეპიზოდში სკამზე მიბმული მძევალი, რომლისგანაც შეიტყობენ სასურველ ინფრომაციას მოსაკლავ ობიექტზე... მიუხედავად ამისა, ფილმის მსვლელობისას მუდმივად არის კულმინაციის მოლოდინი, რაც ისეთი უნდა გაიხსნას, რასაც მაყურებელი ვერც კი წარმოიდგენდა. ამ შემთხვევაში ხომ ძალიან პროფესიონალურად, ძალიან ოსტატურად შესრულებული კარგი დეტექტივი გამოვიდოდა, რომელიც ასევე კარგად გაიყიდებოდა მსოფლიო კინოს ბაზარზე. მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი პრობლემა აქ არის ის, რომ კინოს შემქმნელებმა ვერ გადაწყვიტეს თუ რა უნდა გაეკეთდეს: კარგი კომერციული (კარგი გასაყიდი) თუ კარგი საფესტივალო ფილმი, რომელიც ფესტივალზე გამარჯვების შემთხვევაში კიდევ უფრო წარმატებულად გაყიდის საკუთარ თავს? ამიტომ ფილმის ფინალში მოსალოდნელი კულმინაცია ორი სახის შეიძლება რომ ყოფილიყო: წერტილი, რომელიც კრიმინალური საკითხავის იდიოტიზმს კიდევ უფრო მეტად გაამძაფრებდა ან გააფერადებდა, ან კლასიკური დეტექტივის ფინალი, სადაც მოსალოდნელი კულმინაცია მოულოდნელი აკორდით შედგებოდა. მაგრამ "მედიატორში" სამწუხაროდ არც ერთი მოხდა და არც მეორე, ფილმი არაფრით დასრულდა - გაიხსნა მკვლელობა, რომელიც არაფრით იყო საინტერესო და ყველა გმირი თავის ადგილზე უვნებლად დაბრუნდა. ეს არის მანკიერი ჯაჭვი, კრიმინალური ქმედებებით გადაბმული რგოლები, ანუ გმირები, რომელნიც საკუთარი ბიოგრაფიის მძევლები არიან. ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ერთ-ერთ მორიგ "საქმეს" შეასრულებენ და სახლებში დაბრუნდებიან. თავის საქმეს მხოლოდ გამომძიებელი ვერ მიიყვანს ბოლომდე. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ სამსახიობო გუნდი ცინცაძის ფილმში შესანიშნავად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მაგრამ საშემსურლებლო ოსტატობით ყველასგან გამორჩეული და განსხვავებულია გიორგი ნაკაშიძე - გამომძიებელი. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში დიტო ცინცაძემ თქვა: გიორგის აქვს ჩვევა, სანამ ბოლომდე არ გამოგწურავს და არ გაიგებს რა გინდა მისგან, მანამდე არ მოგეშვება. ეს გამორჩეული თვისებაა ქართველ მსახიობებში და ამიტომაც ნაკაშიძე არ არის მსახიობი რეჟისორის ხელში, ის დამოუკიდებელი მოთამაშეა გადასაღებ მოედანზე. ამ შემთხვევაში დიტო ცინცაძე იმ პროფესიონალ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც იცის მსახიობთან მუშაობა, მაგრამ მის ფილმშიც გიორგი ნაკაშიძე ყველასგან განსხვავებული, ყველაზე დამაჯერებელი და ყველაზე საინტერესო გმირია. მას არცერთხელ, არცერთ ეპიზოდში არ ეპარება არცერთი ზედმეტი, გაუთვლელი გამოხდვაც კი. ეს არის მსახიობი, რომელიც ძალიან ბევრს ფიქრობს გმირზე და ყოველთვის, კარგ თუ ცუდ რეჟისორთან (ამ შემთხვევაში რეჟისორი კარგია), მაღალ პროფესიონალიზმს გვაჩვენებს.


კადრი ფილმიდან "სამი სახლი"

მსახიობებთან თითქმის უხარვეზო მუშაობის მაგალითი აჩვენა ზაზა ურუშაძემაც მის უკანასკნელ ფილმში "სამი სახლი". არა მხოლოდ სამსახიობო ანსამბლი, არამედ მთლიანად კინემატოგრაფიული ნაწარმოები, ყველა მისი შემადგენელი კომპონენტით, თითქმის სრულყოფილია. ფილმი "სამი სახლი" სამ სხვადასხვა ისტორიას ასახავს, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხა ადგილზე ვითარდება. რეჟისორი ცდილობს ყველა ნოველაში მაყურებელი იმ ეპოქაში მოახვედროს, რომელსაც წარმოგვიდგენს. ამას ხელს უწყობს ოპერატორების გიორგი შველიძისა და გიორგი ბერიძის ნამუშევარი, მონტაჟი, მუსიკა (გიო ცინცაძე), მხატვარი, (თეა თელია) გრიმი (სალომე ზაქარაია, მადონა ჭანტურია) კოსტიუმების მხატვარი (თინათინ კვინიკაძე). მთლიანობაში ფილმი ნამდვილი (და არა კუსტარული) კინოს შთაბეჭდილებას ქმნის, სადაც ხელოვნების რამდენიმე მიმართულება ერთ მთლიანობაში, ბალანსის დაურღვევლად არის მოცემული. ეს საერთო სურათი კი ასე გამოიყურება: პირველი ნოველის სიუჟეტი მე-19 საუკუნის ბოლოს ვითარდება, მეორე მე-20 საუკუნის 40-იანი წლებში, მესამე კი 21-ე საუკუნის დასაწყისში. ეს სრულიად დამოუკიდებელი ისტორიებია, რომელთაც მხოლოდ ერთი ნახატი (ფერწერული ტილო) აერთიანებს, ნახატი, რომელიც ეპოქიდან ეპოქაში, ოჯახიდან ოჯახში გადადის და რომელიც პირველი ნოველის გმირმა, ანეტამ დახატა. არ შევუდგები ყველა ნოველის შინაარსის თხრობას, რადგან ფილმზე უკვე ბევრი დაიწერა და მხოლოდ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთადერთი ბმული, რომელიც სამ დამოუკიდებელ ისტორიას ერთმანეთთან აკავშირებს, ნახატია, რომელზეც ორთავა ბუ არის გამოსახული. ფილმი სიყვარულზეც არისო, - თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ზაზა ურუშაძემ და ტრადიციაზეცო; კიდევ, ადამიანურ ურთიერთობებზე, სიკეთეზე და ა.შ. ტრადიცია სიმბოლურად ამ ნახატში დევს, რომელიც თაობიდან თაობას, ეპოქიდან ეპოქაში გადაეცემა და სულ იქ ხვდება, სადაც მას მიჯნური მიჯნურს ჩუქნის. თუკი ნახატის ხაზს გავყვებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მეორე ნოველა, სადაც მსახიობი ნატო მურვანიძე მის საუკეთესო კინოსახეს ქმნის. მურვანიძის გმირი საკუთარ გარდაცვლილ ქმარს საყვარლის ბინაში მიაგნებს, ამავე ბინაშია ნახატიც. ამ ნოველაში ეკრანზე ძირითადად ნატო მურვანიძისა და ეკა ანდრონიკაშვილის საუბარია და მათი სახეები ხან ახლო, ხან კი საშუალო ხედით. მურვანიძის გამომეტყველება მრავლის მთქმელია: მან მოახერხა და ეკრანზე საოცრად დამაჯარებელი ქალის სახე შექმნა, რომელსაც ქმარი უყვარს, სძულს, გაბრაზებულია, ქმრის საყვარელი ეცოდება, ეჭვიანობს, უყვარს და ა.შ. ნატო მურვანიძის ახალი კინოგმირი ინგმარ ბერგმანის ქალებს გაგვახსენებს, სადაც გამომეტყველება გაცილებით მეტს მეტყველებს, ვიდრე სიტყვა.

ფილმის კულმინაცია მესამე ნოველაშია, სადაც ნახატი მიჯნურ ჰომოსექსუალებში ხვდება. ყველაზე საინტერესო აქ სწორედ ეს გახლავთ. ფილმის გამოსვლამდე და გამოსვლის შემდეგ მსახიობებს სხვადასხვა ინტერვიუებში სულ ბოდიშის მოხდა უწევდათ ქართული აუდიტორიის წინაშე, რომ გაბედეს და გეი წყვილის როლი შეასრულეს. ამიტომაც, ვასიკო ბახტაძემ მისი გმირი ზედმეტად გაშარჟებული სახით წარმოგვიდგინა, რაც თავისთავად მაყურებელში სიცილის ეფექტს იწვევს. ამიტომაც ნაკლებად დამაჯერებელია და მისი თამაშის მიღმა იკითხება: გეი არ გეგონოთ, არც არაფერი ვიცი მათ შესახებ, მაგრამ გამიგია, რომ ასეთები არიანო. სწორედ აქედან გამომდინარე, ვასილ ბახტაძის გმირი სტერეოტიპული ქართველი "პიდერასტია", რომელიც ქართველებმა შექმნეს და როგორიც სინამდვილეში არ არსებობს. თუმცა, კულმინაციას მესამე ნოველაში, ნარკომანი ბიჭი, დავით იაშვილი ასრულებს, რომელიც საოცარი დამაჯერებლობითა და უშუალო კომიზმით ასრულებს როლს. ფინალიც მის სიტყვებშია...

დაბოლოს, კულმინაცია, ფინალი, რომელიც აკავშირებს და ასევე განასხვავებს ამ ორი რეჟისორის ფილმებს. ზაზა ურუშაძესთან ჩვენ ნოველიდან ნოველაში ნახატის ხაზს მივყვებით და ფილმის მსვლელობის დროს რთული წარმოსადგენია, რა შეიძლება იყოს ფინალში. ფილმის მსვლელობის დროს უკვე ჩნდება დამოკიდებულება მის მიმართ: მაყურებელი ფიქრობს, რომ სამივე ნოველა ცალცალკე და მთლიანობაში არაფრით არის საინტერესო, ჩვეულებრივი ისტორიებია, რომელიც რეჟისორმა კარგად შეასრულა. დიტო ცინცაძესთან კი, სადაც მოქმედება დინამიურად ვითარდება და რომელიც ასევე რეჟისორული ოსტატობის მაგალითს წარმოგვიდგენს, მუდმივად ბოლო აკორდს ელი და გიჟირს ნაადრევი შეფასების გაკეთება. მაგრამ სამწუხაროდ ფილმი ისე სრულდება, რომ ერთადერთი კითხვა, რომელსაც ის გვიტოვებს ამ შინაარსის არის: რატომ გადაიღო ეს ფილმი დიტო ცინცაძემ?! ზაზა ურუშაძემ კი მოახერხა და ზუსტად ერთი წინადადებით შექმნა კულმინაცია. ნახატი, რომელიც ლაიტმოტივად მისდევს ფილმს, რომელიც ეპოქიდან ეპოქას გადაეცემა, რომელიც ყველასათვის ძვირფასია, რომელსაც ყველა უფრთხილდება არის... ვიდრე, მაყურებელი გააკეთებდა ამ დასკვნას, ვიდრე გამოვიდოდით დარბაზიდან და ვიტყოდით ან კი კითხვას დავსვამდით - "რატომ იყო ეს ნახატი ფასეული?" - ზაზა ურუშაძემ დავით იაშვილის გმირის საშუალებით თავად გვითხრა: - აუ, ეს რას გავს ტო?! ამის გამო იკლავდით თავს?! ზუსტად ერთი წინადადებით შეძლო ურუშაძემ ფილმი თავდაყირა დაეყენებინა და ის, რაც 90 წუთის განმავლობაში ხელშეუხებელი, სათუთი ფასეულობა იყო, უკანასკნელ ეპიზოდში მთლიანად დაამიწა და გააადამიანურა.

ასე, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში გადაღებული ორივე ახალი ქართული ფილმი, შესაძლებელია, ნამდვილ, კარგი კინემატოგრაფიული ნაწარმოების ჯგუფს მივაკუთვნოთ, რაც დღევანდელ დღემდე საქართველოში დამზადებული პროდუქციისგან განსხვავებდა. თუკი აქამდე დიტო ცინცაძის პროფესიონალიზმი ეჭვს არ იწვევდა, დღეს თამამად შეიძლება ითქვას რომ ზაზა ურუშაძე კიდევ ერთი კარგი კინორეჟისორია და ამ უკანასკნელ შემთხვევაში მან საუკეთესო გამოსავალი მონახა, როდესაც იუმორის მეშვეობით დრამატურგიულად და აზრობრივად შეკრა "სამი სახლის" ისტორია. იუმორით, რომელიც დიტო ცინცაძესთან ყოველთვის ჭარბად იყო და რომლის დანაკლისიც ამ უკანასკნელ ნამუშევარში აშკარად იგრძნობა. და მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, კინოსტუდია "სანგუკოს" და "დამოუკიდებელი კინოპროექტის" პროდუქცია უკვე ნამდვილი კინოა, რომელიც უკანასკნელი ორი ათწლეულის მსგავსად აღარ გვათქმევინებს - ეს რა იდიოტობაა ტო!

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ/ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (119) ფაქსი; ელექტრონული ფოსტა: E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის" პროექტების: „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ძლიერი რესურსების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი: №-GEO202-G01-H-00), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი №-GEO-607-G06-H), „DOTS სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში" (პროექტი: №-GEO-405-G03-T), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება" (პროექტი №-GEO-607-G05-T) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ელიმინის თავიდან აცილება" (პროექტი №-GEO-607-G04-M) პროგრამის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები (გლობალური ფონდის" პროექტი: №-GEO-202-G01-H-00; პროექტი: №-GEO-607-G06-H; პროექტი: №-GEO-405-G03-T; პროექტი: №-GEO-607-G05-T; პროექტი: №-GEO-607-G04-M).

3. შესყიდვის ობიექტია:

| ლოტი № | საქონლის დასახელება * | სახეობა | რაოდენობა (ცალი /კომპლექტი) |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | კომპიუტერი (მონიტორი, სერვერი, კვების წყარო) | 1 | 1 კომპლექტი |
| ლოტი 2 | კომპიუტერი (მონიტორი, ლეპტოპი, კვების წყარო) | 2 | 63 კომპლექტი |
| ლოტი 3 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №1) | 1 | 1 ცალი |
| ლოტი 4 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №2) | 1 | 1 ცალი |
| ლოტი 5 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №3) | 1 | 5 ცალი |
| ლოტი 6 | კომპიუტერი (ლეპტოპი, ტიპი №4) | 1 | 5 ცალი |
| ლოტი 7 | ფაქსი | 1 | 71 ცალი |
| ლოტი 8 | პროექტორი | 2 | 4 ცალი |
| ლოტი 9 | ასლის გადამღები მანქანა | 3 | 5 ცალი |
| ლოტი 10 | სკანერი | 1 | 2 ცალი |
| | კომბო (შავ-თეთრი პრინტერი, სკანერი, კოპიერი) | 1 | 20 ცალი |
| | პრინტერი (შავ-თეთრი პრინტერი) | 2 | 12 ცალი |
| | პრინტერი (ფერადი პრინტერი) | 2 | 5 ცალი |
| | მეხსიერება („USB Flash drive") | 2 | 5 ცალი |
| ლოტი 11 | პროგრამული უზრუნველყოფა | 5 | 7 კომპლექტი |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 12 კვირისა, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
მიწოდების პირობა: ქ.თბილისი, მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი რაოდენობისა და მისამართის შესაბამისად (*შენიშვნა: მიწოდების ადგილთან, ვადებთან და საქონლის ტექნიკურ პარამეტრებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მოითხოვება იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას).
5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 31 დეკემბრის 10:00 სთ.-იდან 2008 წლის 31 დეკემბრის 16:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2008 წლის 31 დეკემბრის 16:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადების გახსნას):

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:
ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტი პირს უნდა ჰქონდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდებისა და მომსახურების შესახებ (<u>აღნიშნულ სფეროში უნდა იყოს არანაკლებ 2 წლის გამოცდილება</u>);
7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში);
8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი);
9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" ( ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 36089810205272040003); დანიშნულება — სატენდერო მოსაკრებელი;
10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 30 დეკემბრის 18:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, მე-5 სართული;
11. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი;
12. პრეტენდენტს უფლება აქვს თითოეულ ლოტზე წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;
13. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა თითოეულ ლოტზე;
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: სანდრო კვაჭანტირაძე და ხათუნა კაპანაძე (შესყიდვების ჯგუფის სპეციალისტები), სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210, E-mail: globalfund@caucasus.net).

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 11 დეკემბრიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვის მომსახურების შესყიდვის** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა **2008 წლის 11 დეკემბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით <u>სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის</u> წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** <u>შესყიდვის ობიექტი :</u>

| ლოტი № | მომსახურების დასახელება | რაოდ | რაოდ |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | ვაგზლ-აეროპორტის სამგზავრო დანიშნულების ფართობების წმენდა-დასუფთავება | $მ^2$ | 171 732 |
| | | | |
| 2 | ვაგზლ-აეროპორტის სამგზავრო დანიშნულების ფართობების დეზინფექცია, დეზისექცია და დერატიზაცია | $მ^2$ | 11 232 |

<u>შენიშვნა:</u>
<u>1) შესყიდვის ობიექტში მოცემული ფართობები გათვალისწინებულია 2009 წლის 31 დეკემბრამდე;</u>
<u>2) მომსახურებისათვის განკუთვნილი ფართობები შესაძლებელია შეიცვალოს შემსყიდველის მოთხოვნით, მათი საერთო რაოდენობის ფარგლებში.</u>

**3.** **მიწოდების ადგილი:** ტექნიკური დავალების შესაბამისად;
**4.** **მომსახურების გაწევის ვადა:** 2009 წლის განმავლობაში;
**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
**6.** **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**
<u>იურიდიული პირებისათვის :</u>
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

<u>ფიზიკური პირებისათვის :</u>
1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლ;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, <u>რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.</u>

**7.** <u>ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :</u>
1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული <u>**ლოტის და ერთეულის ღირებულება**,</u> სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები. <u>**(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**</u>
2. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში <u>**დღგ–ს**</u> **გარეშე;** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;
3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ <u>**56-33-71 მაკა ქუჩუნაშვილი;**</u> (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია **56-38-60** თ. ხოკერაშვილი **56-39-30**; ი. ლობჟანიძე **56-46-96**;)

<u>სატენდერო კომისია</u>

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# სპორტი

## კვიპროსული ზღაპარი დასრულდა

სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის A,B,C და D ჯგუფებში დასრულდა ჯგუფური ეტაპის მატჩები და საბოლოოდ გაირკვა იმ რვა გუნდის ვინაობა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში გააგრძელებენ თამაშს. გამოვლინდა ის ოთხი გუნდიც, რომელთათვისაც ევროპული სეზონი უეფას თასზე გაგრძელდება.

სამწუხაროდ, დასრულდა თემურ ქეცბაიასა და მისი "ანორთოსისის" წინსვლა ევროპულ არენაზე. მოკრძალებულმა კვიპროსულმა გუნდმა ევროსეზონი საბერძნეთში განცდილი მარცხის შემდეგ დაასრულა. თუმცა იმაში, რომ ქეცბაიას გუნდი უეფას თასზე აღარ ითამაშებს, "ინტერსაც" მიუძღვის წვლილი. ჟოზე მოურინიოს გუნდმა ბოლო ორი ტური ჩააგდო. შეიძლება ითქვას, სწორედ "ინტერისა" და მისი მწვრთნელის ნაკლებ პრინციპულობას შეეწირა "კვიპროსული სენსაცია".

სხვა მხრივ აღნიშვნის ღირსია "ბარსელონას" მარცხი. თუმცა ეს სრულიად გასაგებია - პეპ გვარდიოლამ "შახტარის" წინააღმდეგ ლამის სკოლის მოსწავლეები ათამაშა და რა გასაკვირია, რომ კატალონიური კლუბის ახალგაზრდული შემადგენლობა დონეცკელთა ძირითად გუნდთან დამარცხდა.



*ამ მატჩით "ანორთოსისის" ევროვოიაჟი დასრულდა*

ახლა კი, ჩვეულებისამებრ, გთავაზობთ მატჩების შემდეგ მწვრთნელთა მიერ გაკეთებულ კომენტარებს.

**თემურ ქეცბაია ("ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელი):** "სამწუხაროდ, ჩვენი ევროპული ეპოპეა დასრულდა, თუმცა ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ და მინდა თითოეულ მათგანს მივულოცო. რამდენიმე თვის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩზე იქნებოდა დამოკიდებული მომდევნო ეტაპზე ჩვენი გასვლა-არგასვლა. საწყენია, რომ ჯგუფური ეტაპი მეოთხე ადგილზე დავასრულეთ, მაგრამ ეს არაფრით არ აკნინებს ჯგუფურ ეტაპზე ჩვენს მიღწევებს. ტურნირის ბოლოს ჩვენს გუნდზე დიდი ზეწოლა იყო და მოკრძალებულმა კვიპროსულმა გუნდმა ამას ვერ გაუძლო. დღეს კი რამდენიმე წამყვანი მოთამაშეც გვაკლდა. "პანათინაიკოსი" იმსახურებს შემდეგ ეტაპზე თამაშს, მით უმეტეს, რომ ბოლო სამი მატჩი ამ გუნდმა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. ერთი კია, ნამდვილად არ მეგონა, რომ "ინტერი" ბოლო ორ ტურში ორივე მატჩს წააგებდა. საბოლოოდ მინდა ვთქვა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ჩემმა გუნდმა მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენა და თითოეული ფეხბურთელი იმსახურებს მილოცვას".

**ჰენკ ტენ კატე ("პანათინაიკოსის" მთავარი მწვრთნელი):** "ჩემი გუნდის ყოველთვის მჯეროდა. ჯგუფური ეტაპის პირველი ორი მატჩის შემდეგ ყველამ ჩამოგვწერა, მაგრამ დავამტკიცეთ, რომ ძლიერები ვართ და შემდეგ ეტაპზეც გავედით. ბედნიერი ვარ, მიხარია, რომ დღეს მოვიგეთ და შრომა წყალში არ ჩაგვეყარა."

**თომას შააფი ("ვერდერის" მთავარი მწვრთნელი):** "მატჩის წინ ბიჭებს ვუთხარი, რომ დღეს უნდა მოგვეგო. ამ სეზონში ეს ჩვენი პირველი გამარჯვებაა ჩემპიონთა ლიგაში. მიხარია, რომ ამ მოგების წყალობით უეფას თასზე მაინც შევძლებთ თამაშის გაგრძელებას."

**ჟოზე მოურინიო ("ინტერის" მთავარი მწვრთნელი):** "აქამდეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: გუნდი, რომელიც ჯგუფურ ეტაპზე მხოლოდ რვა ქულას დააგროვებს, შემდეგ ეტაპზე თამაშს არ იმსახურებს. ჩვენ გაგვიმართლა. პრობლემა დღევანდელი მარცხი როდია. ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ კვიპროსში მატჩი ფრედ დავასრულეთ და საკუთარ მოედანზე "პანათინაიკოსთან" დავმარცხდით."

**ლუიშ ფელიპე სკოლარი ("ჩელსის" მთავარი მწვრთნელი):** "ჯგუფში მეორე ადგილზე გავედით და ახლა წილისყრას უნდა დაველოდოთ. ისე კი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან მოგვიწევს თამაში. "ბარსელონა", "რეალი", "ინტერი" - ყველა ძლიერი გუნდია. თუ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებაზე ფიქრობ, პლეი-ოფის სტადიაზე ნებისმიერი მეტოქე უნდა დაამარცხო."

**მაურიციო ტრომბეტა ("კლუჟის" მთავარი მწვრთნელი):** "სამწუხაროდ, საფეხბურთო ევროპას მორიგი სიურპრიზი ვერ შევთავაზეთ. როდესაც ანგარიში 1:1 იყო, გოლის გატანის და თამაშის მოგების შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. მეტოქემ კონტრშეტევაზე დაგვიჭირა და აქ დამთავრდა ყველაფერი".

**ლუჩანო სპალეტი ("რომას" მთავარი მწვრთნელი):** "კმაყოფილი ვარ, რადგან დღეს ჭკვიანური და პრაგმატული ფეხბურთი ვაჩვენეთ. რისკზე არ წავსულვართ და სწორედ იმ შედეგს მივაღწიეთ, რომელიც სჭირდებოდა გუნდს და გულშემატკივარს. ჯგუფში კი პირველ-მეორე ადგილის დაკავებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. გასულ წლებში მეორე ადგილზე გავდიოდით, ამჯერად პირველები ვართ".

**ლორან ბლანი ("ბორდოს" მთავარი მწვრთნელი):** "ჯგუფური ეტაპი "რომასა" და "ჩელსის" შემდეგ დავასრულეთ და ეს ურიგო შედეგი არ არის. ცხადია, დღევანდელი თამაშით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ საბოლოოდ ალბათ ყველაფერი ლოგიკურია".

**პაულო ბენტო ("სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი):** "შედეგი ჩვენთვის სრულიად მისაღებია. პირველ ტაიმში მეტოქეზე უკეთ ვითამაშეთ, მეორეში კი "ბაზელმა" გვაჯობა. ჯგუფური ეტაპი წარმატებული გამოგვივიდა. ახლა კი კენჭისყრას დაველოდებით".

**კრისტიან გროსი ("ბაზელის" მთავარი მწვრთნელი):** "რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ჯგუფურ ეტაპზე მეტი ქულა დაგვეგროვებინა, მაგრამ რთულ ჯგუფში მოვხვდით და იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს".

**პეპ გვარდიოლა ("ბარსელონას" მთავარი მწვრთნელი):** "მართალია, დღეს წავაგეთ, მაგრამ მთლიანად ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. დღეს შეგვეძლო ფრისთვის მიგვეღწია, მაგრამ ფორვარდებს არ გაუმართლათ".

**მირჩა ლუჩესკუ ("შახტარის" მთავარი მწვრთნელი):** "ვულოცავ გვარდიოლას. სრულიად ლოგიკურია, რომ მან წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა და შაბათის კლასიკოსთვის შეინახა. თუმცა ის ახალგაზრდები, რომლებიც მინდორზე გამოვიდნენ, ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან. ჩვენთვის "ნოუ კამპზე" გამარჯვება ისტორიული მოვლენაა".

**ჰუბ სტევენსი ("პსვ"-ს მთავარი მწვრთნელი):** "თამაში დაძაბულად დავიწყეთ, მერე ცოტა დავწყნარდით და გოლიც გავიტანეთ. სამწუხაროდ, ტაიმის მიწურულს მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი ვერაფერი ვეღარ შევძელით".

**რაფა ბენიტესი ("ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი):** "დღეს ბევრი პოზიტიური დავინახე ჩვენს თამაშში. კარგი გოლები გავიტანეთ და ფეხბურთელები ქებას იმსახურებენ".

**ერიკ გერეტსი ("მარსელის" მთავარი მწვრთნელი):** "კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ, თუმცა გამარჯვებას არ ვიმსახურებდით და შედეგი ლოგიკურია. სასიამოვნოა, რომ უეფას თასზე მაინც გავაგრძელებთ ასპარეზობას".

**ხავიერ აგირე ("ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელი):** "ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავეთ, ისევე როგორც "ჩელსიმ" და "ინტერმა". ჯგუფური ეტაპის დაწყების წინ ჩვენთვის მეორე ადგილიც საოცნებო იყო. ჩვენს მეტოქეს წარმატებებს ვუსურვებ უეფას თასის გათამაშებაში".

### კახა ცხადაძემ სფფ-ს ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნაზე უარი შეუთვალა

ბაქოს "სტანდარტის" ქართველმა მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ქვეყნის 21 წლამდელთა ნაკრების გაწვრთნაზე უარი უთხრა. ამას აზერბაიჯანული სპორტული ინტერნეტსაიტი "აზერსპორტი" იუწყება.

"ფეხბურთის ფედერაციის შემოთავაზებაზე კონტრაქტის პირობების გამო არ ვთქვი უარი. "სტანდარტთან" კონტრაქტი მაკავშირებს, დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება კი ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება", - განაცხადა ქართველმა სპეციალისტმა.

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ცხადაძის აზერბაიჯანული კლუბიდან წასვლის თაობაზე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. მეტიც, ხსენებულმა ინტერნეტგამოცემამ "სტანდარტის" მთავარ მწვრთნელად ვაგიფ სადიხოვიც კი დაასახელა.

### მჭედლიძის შანსი

"პალერმოს" შეტევათა ლიდერი, 29 წლის ფაბრიციო მიკოლი იტალიური ფეხბურთის მაღალჩინოსნებმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

მიკოლიმ "კალიარისთან" წაგებულ მატჩში არბიტრს სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა, რის გამოც გამოტოვებს იტალიის ჩემპიონატის მორიგი ორი ტურის შეხვედრებს.

სიცილიური გუნდის მესვეურებმა უკვე შეიტანეს აპელაცია შესაბამის ორგანოებში, თუმცა საეჭვოა, რომ ეს აპელაცია დაკმაყოფილდეს.

მიკოლის არყოფნა შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს "პალერმოს" ქართველ ფორვარდ ლევან მჭედლიძისთვის. საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელი თითქმის ყველა მატჩში შედის მინდორზე, მიკოლის არყოფნაში კი მას ძირითადში მოხვედრისა და თავის გამოჩენის შანსი ეძლევა.

### ჯიქია ძირითად ბადეში ქვაცაბაიას შეუერთდა

ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ჯიქიამ ესპანეთის ქალაქ ბენიკარლოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მესამე მატჩი მოიგო და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. ჯიქიამ კვალიფიკაციის საწყის რაუნდებში შვეიცარიელ პილერს და ესპანელ ფერნანდეს გალვესს სძლია, ძირითად ბადეში გადასასვლელ მატჩში კი მეოთხე ნომრად განთესილ კიდევ ერთ მასპინძელს ფერერ-სუარესს 2:6, 6:3, 6:2 მოუგო.

ანას მორიგი მეტოქე ტურნირზე "უაილდ ქარდით" მიწვეული ესპანელი მარია-ტერესა ტორო-ფლორი იქნება. ძირითად ბადეში პირდაპირ დაუშვეს კიდევ ერთი ჩვენებური სოფო ქვაცაბაია, რომელიც პირველ მატჩში ბულგარელ ბილიანა პავლოვას შეერკინება.

წყვილთა ტურნირში ქვაცაბაიამ და რუსმა პარასიუკმა, რომელთაც მესამე რეიტინგი აქვთ მინიჭებული, პირველი წრე გამოტოვეს და პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაებმებიან ასპარეზობაში. რაც შეეხება ჯიქიას, ის ავსტრიელ რატთან არის შეამხანაგებული და ესპანელი მარტინეს-რომეროსა და რუმინელი სტომლეგას დუეტს დაუპირისპირდება. ბენიკარლოს საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია.

### რონალდო "კორინთიანსში" გააგრძელებს კარიერას

ბრაზილიელმა ფორვარდმა რონალდომ "კორინთიანსთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "კლუბთან ზეპირ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ. კონტრაქტიც ოფიციალურად მალე გაფორმდება. თუ მხარეები ერთწლიანი თანამშრომლობით კმაყოფილი დარჩნენ, კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაგრძელდება", - აცხადებს ელ ფენომენოს აგენტი. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში რონალდომ "მილანის" შემადგენლობაში უმძიმესი ტრავმა მიიღო. ყველა ვარაუდობდა, რომ ამით ფეხბურთელის კარიერა დასრულდებოდა.

### საუკეთესო ბრაზილიელი

"სან პაულოს" ნახევარმცველი ანდერსონ ერნანესი, რომლის შეძენა გასულ ზაფხულს ესპანურ "ბარსელონას" სურდა, ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მეორე ადგილზე გავიდა "სანტოსის" 33 წლის ფორვარდი კლებერი, მესამეზე - "ინტერის" 26 წლის ფეხბურთელი ალექსი.

23 წლის ერნანესი "სან პაულოში" 2005 წლიდან თამაშობს და, სავარაუდოდ, სულ მალე რომელიმე ევროპულ კლუბში ვიხილავთ.

### სანიოლმა ხელი ჩაიქნია

მიუნხენის "ბაიერნის" 31 წლის ფრანგი მცველი ვილი სანიოლი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა. მიზეზი ტრავმაა, რომელიც მაისის შემდეგ აწუხებს. "უკვე იმედიც აღარ მაქვს, რომ მინდორზე დაბრუნებას შევძლებ. ტრავმებმა გამაწამა. უმჯობესია, თუ კარიერას დავასრულებ", - განუცხადა სანიოლმა ჟურნალისტებს.

## გატუზო ექვს თვეს იუქმებს

"მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ შესაძლოა სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს. მილანელთა საყრდენმა მუხლის ტრავმა "კატანიასთან" მატჩში მიიღო, სამედიცინო შემოწმების შემდეგ კი დადგინდა, რომ გატუზოს ჯვარედინი მყესები აქვს გაწყვეტილი.

## გეკას მწვანე შუქი აუნთეს

ლევერკუზენის "ბაიერის" 28 წლის ბერძენ ფორვარდს ფეოფინას გეკას კლუბმა ტრანსფერზე მწვანე შუქი აუნთო.

"ჩვენ ვიცით, რომ მას გუნდის დატოვება უნდა და ამაში ხელს არ შევუშლით. თუ მისი შეძენის სურვილით რომელიმე კლუბი მოგვმართავს, ტრანსფერი პრობლემა არ იქნება", - განაცხადა ასპირინელთა მმართველმა დირექტორმა ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერმა.

## "ჰერტა" ბრაზილიელ მცველს ყიდულობს

ბერლინურ "ჰერტას" ბრაზილიური "ფლუმინენსეს" 26 წლის მცველის ჟულიო სეზარის შეძენა სურს. დეკემბრის ბოლოს ფეხბურთელს ბრაზილიურ კლუბთან კონტრაქტი ეწურება, ბერლინელებს კი მის შესაძენად სატრანსფერო თანხის გადახდაც არ დასჭირდებათ.

## ჩინელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

ჩინეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს ჩინელი ინ ტეშენი, რომელიც გუნდს აზიის თასზე სირიისა და ვიეტნამის ნაკრები გუნდების წინააღმდეგ გასამართი მატჩებისთვის მოამზადებს. ტეშენმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა სერბი ვლადიმერ პეტროვიჩი, რომელმაც დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა - ჩინეთის ნაკრები ვერ გაიყვანა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

## ოლიჩი "ბაიერნში"?

გერმანული "ბილდის" ინფორმაციით, ჰამბურგის 29 წლის ფორვარდის ივიცა ოლიჩის მიუნხენის "ბაიერნში" გადასვლა უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

გერმანული მედიის ინფორმაციით, ოლიჩი სეზონს "ჰამბურგში" დაასრულებს. სწორედ ზაფხულში ამოიწურება "ჰამბურგსა" და ხორვატ ფორვარდს შორის არსებული კონტრაქტის ვადა და ოლიჩი "ბაიერნში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა.

## ავსტრალიას მუნდიალის მასპინძლობა სურს

ავსტრალიის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობის უფლებისთვის გასამართ წინასწარ კამპანიაზე 30 მილიონი დოლარი გამოიყოფა.

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის განცხადებით, თანხა მაქსიმალურად ეფექტურად დაიხარჯება. ერთი რამ კი უნდა ითქვას: სანამ ფიფაში მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლობის უფლებაზე როტაციის სისტემა არსებობდა, ავსტრალიას ჰქონდა მუნდიალის მასპინძლობის უფლების მოპოვების შანსი, ახლა კი საეჭვოა, რომ რაგბისა და ავსტრალიური ფეხბურთის სამშობლოში, სადაც ევროპული ფეხბურთი ნაკლებად პოპულარულია, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი გამართონ.

## ნიკულესკუ სამშობლოში დაბრუნდა

რუმინელი თავდამსხმელი კლაუდიუ ნიკულესკუ ერთწლიანი ევროპული ვოიაჟის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ბუქარესტის "დინამოში" გააგრძელებს კარიერას. ერთი წლის განმავლობაში ნიკულესკუ ჯერ გერმანულ "დუისბურგში" ცდილობდა ადგილის დამკვიდრებას, შემდეგ კი კვიპროსულ "ომინიაშიც" მოსინჯა ძალები.

## ჰილდებრანდი "ჰოფენჰაიმში" ითამაშებს

ესპანურ "ვალენსიაში" გატარებული რამდენიმე წარუმატებელი სეზონის შემდეგ ტიმო ჰილდებრანდი გერმანიაში ბრუნდება. "ღამურებმა" 29 წლის მეკარეს თავისუფალი აგენტის სტატუსი მისცეს, ასე რომ, მეკარის გადაბირება ნებისმიერ კლუბს შეეძლო.

ჰილდებრანდმა "ჰოფენჰაიმი" აირჩია. ყველასთვის მოულოდნელად, ეს გუნდი ბუნდესლიგის გათამაშებაში კარგად ასპარეზობს. კარგა ხანს სატურნირო ცხრილსაც კი ედგა სათავეში. გერმანელი საფეხბურთო სპეციალისტების აზრით, "ჰოფენჰაიმის" ყველაზე სუსტი რგოლი სწორედ მეკარეა, ჰილდებრანდის შეძენით კი ეს გუნდი ნამდვილად გაძლიერდება.

## კინი დაბრუნდება

ერთი კვირის წინ "სანდერლენდის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადამდგარი როი კინი სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას აპირებს

თავიდან არსებობდა ეჭვი, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი კაპიტანი საერთოდ შეეშვებოდა სამწვრთნელო საქმეს, მაგრამ კინმა აღიარა, რომ წარუმატებლობამ ის ვერ გატეხა და სამწვრთნელო კარიერას აუცილებლად გააგრძელებს.

"ბოლო 27 თვის განმავლობაში, ესე იგი, იმ პერიოდში, რაც "სანდერლენდს" ვთავკაცობდი, უდიდესი გამოცდილება შევიძინე. თანაც, სამწვრთნელო პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს. პენსიაზე ნაადრევად გასვლას არ ვაპირებ. როგორც კი საინტერესო შემოთავაზება მექნება, სამწვრთნელო საქმეს დავუბრუნდები", - აცხადებს კინი.

# ფაჩულია მინის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგ სათამაშო დღეს "ატლანტა ჰოუქსი" ჰიუსტონს სტუმრობდა და ადგილობრივ "როკეტსს" დაუპირისპირდა. მატჩი დაძაბული გამოდგა და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი მეოთხედი იაო მინმა და მისმა თანაგუნდელებმა 27:16 მოიგეს. ამის შემდეგ უპირატესობას "ქორები" დაეუფლნენ. გადამწყვეტი მეოთხე მეოთხედის წინ ანგარიში იყო 62:60 ჯორჯიელთა სასარგებლოდ. უკანასკნელი თორმეტი წუთი კი ფაჩულიამ და მისმა თანაგუნდელებმა პირწმინდად ჩააგდეს. საბოლოოდ კი მატჩი 84:92 დათმეს.

ზაზა ფაჩულია ძირითადში არ ყოფილა, თუმცა სათამაშო დრო საკმაოდ მისცეს, კერძოდ, 21 წუთი. დროის ამ მონაკვეთში ქართველმა ცენტრმა 5 ქულა მოაგროვა და რვაჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. ფაჩულიამ 5 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი შეასრულა ზუსტად და ოთხიდან სამი საჯარიმო გამოიყენა.

ზაზას მთავარმა კონკურენტმა ალ ჰარფორდმა 31 წუთში 14 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა.

ატლანტელთა ორივე ცენტრი პირწმინდად დაჩაგრა ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო ცენტრმა იაო მინმა, რომლის ანგარიშზე 24 ქულა და 19 მოხსნაა. სწორედ ჩინელი გახლდათ მასპინძელთა გუნდში საუკეთესო. ჯორჯიელთა შორის კი გამოირჩეოდა ჯოშ სმიტი, რომელ-



*ფაჩულია ფარქვეშ იბრძვის*

მაც მატჩი 13 ქულით, 11 მოხსნითა და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

გაცილებით უფრო წარმატებით იასპარეზეს ევროპაში მოთამაშე ქართველებმა, რომლებიც ევროპული თასების მატჩებს მართავდნენ.

ევროჩელენჯის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე "ბკ კიევმა" ფრანკფურტში "სკაილაინერსთან" გამართა გასვლითი მატჩი და 66:58 გაიმარჯვა. მატჩის გმირი გახდა მანუჩარ მარკოიშვილი. ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 30 წუთში 17 ქულას მოუყარა თავი. მანუმ სამქულიანებით "დაბომბა" მეტოქე - 12 ქულა სწორედ სამქულიანი ტყორცნებით დააგროვა.

სამი ტურის შემდეგ "ბკ კიევს" ორი მოგება აქვს და ჯგუფში რუსულ "ტრიუმფთან" ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

ევროჩელენჯის გათამაშებაში იმარჯვა ესტონურმა "ტარტუ როკმაც", რომელმაც ბელგიური "ოსტენდე" დაძაბულ ბრძოლაში 87:83 დაამარცხა.

გიორგი ცინცაძემ ტარტუელთა ძირითად ხუთეულში ითამაშა და ერთადერთი კალათბურთელი იყო, რომელსაც წამითაც არ დაუტოვებია მოედანი. ესტონელთა ქართველმა გამთამაშებელმა მატჩი 17 ქულით, 3 მოხსნით, 2 შედეგიანი გადაცემით და 2 ჩაჭრით დაასრულა. რაც შეეხება ვიქტორ სანიკიძეს, მას სათამაშოდ მხოლოდ 6 წუთი მისცეს. დროის ამ მონაკვეთში ქართველმა ერთხელ მოხსნა ფარიდან ბურთი. სამი ტურის შემდეგ ორი გამარჯვებით ტარტუელები ჯგუფში მეორე ადგილზე არიან.

# "შუმი" დაძაბულ სეზონს წინასწარმეტყველებს

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერმა ბრაზილიაში მონაწილეობა მიიღო ფელიპე მასას მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ საქველმოქმედო რბოლაში.

**- ასეთ რბოლაში გამოსვლა სიამოვნებას განიჭებთ თუ წმინდა სპორტული ინტერესიც გაქვთ?**

- პირველ რიგში, ეს, რა თქმა უნდა, სიამოვნება და გართობაა. თუმცა ჩვენ, მრბოლელები, ტრასაზე გავალთ თუ არა, მუდამ პირველობისთვის ვიბრძვით.

**- ეს შეჯიბრება ფორმულა 1-ს არ გაგონებთ?**

- გარკვეული თვალსაზრისით მაგონებს კიდეც, მაგრამ არა თავად რბოლის გამო, არამედ იმიტომ, რომ აქ ჩემთან ერთადაა ფელიპე, რომელსაც უმცროს ძმად ვთვლი. ეს ბრწყინვალე შეჯიბრებაა.

**- ფელიპეც ასევე ამბობს თქვენზე. მართლა ასეთი ახლო ურთიერთობა გაქვთ?**

- დიახ. კარგა ხანია ერთად ვმუშაობთ და დიდი მეგობრებიც ვართ.

**- როგორ შეაფასებდა "უფროსი ძმა" ფელიპეს მიერ გაწეულ სამუშაოს 2008 წელს?**

- ეჭვი არასდროს მეპარებოდა მის შესაძლებლობებში. 2007 წელს უბრალოდ არ გაუმართლა, 2008 წელს თავისი პოტენციალის გამოვლინების მეტი საშუალება ჰქონდა. მომავალ სეზონში მანქანაც უკეთესი ეყოლება და გაიმარჯვებს კიდეც.



*შუმახერი მასას გულშემატკივრობდა*

**- ლუკა დი მონტეძემოლომ აღიარა, რომ ბრაზილიის დიდი პრიზის ყურებისას ტელევიზორი გატეხა. თქვენ როგორ გადაიტანეთ ეს რბოლა (შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონის ბედი სწორედ ბრაზილიის დიდი პრიზზე უნდა გარკვეულიყო. ფელიპე მასამ რბოლა მოიგო, თუმცა ლუის ჰამილტონმა მეხუთე ადგილზე დაასრულა რბოლა და ამის წყალობით მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. არადა, ფინიშამდე ერთი წრით ადრე ჰამილტონი მეექვსე იყო)?**

- რბოლას სახლში არ ვუყურებდი და ამიტომ ტელევიზორს არავინ გამატეხინებდა. ძალიან ვნერვიულობდი. ის, რაც ბოლო წრეებზე ხდებოდა, ნამდვილი დრამა იყო. ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა ყველაფერი ფელიპეს საწინააღმდეგოდ შეცვლილიყო. ტიმო გლოკი შესაძლებლობის ზღვარზე მიდიოდა. სამწუხაროდ, ბოლო 30 წამში ყველაფერი ისე მოხდა, რომ ფელიპემ ჩემპიონობა დაკარგა. თუმცა ამ ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ თუ ფელიპეს სწრაფ ბოლიდს მივცემთ, ის ჩემპიონი გახდება.

**- მომავალი სეზონისგან რას ელით?**

- საუკეთესო გუნდები ისევ წინ იქნებიან. რომელი მათგანი მიაღწევს წარმატებას, ახლა ამის პროგნოზირება შეუძლებელია.

**- ახალ სეზონს ყველა გუნდი ნულიდან დაიწყებს?**

- რა თქმა უნდა, არა. ლიდერები ლიდერებად დარჩებიან. თუმცა მათ შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართება ჩემპიონობისთვის. ალბათ სიურპრიზებიც იქნება - ამის გარეშე რბოლა ნაკლებად საინტერესოა.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2008 წლის 11 დეკემბრიდან აცხადებს საერთაშორისო ტენდერს ვაგონების, ვაგზლების და სხვადასხვა ფართობების სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს საერთაშორისო ტენდერს **ვაგონების, ვაგზლების და სხვადასხვა ფართობების სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვის** შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია და **ტექნიკური დავალება** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა **2008 წლის 11 დეკემბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით **სატენდერ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურების დასახელება | ერთ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | სამგზავრო ვაგონების წმენდა-დასუფთავება | ერთეული | 2 796 |
| | ვაგზლების სამგზავრო დანიშნულების ფართობების წმენდა-დასუფთავება | მ² | 1 250 868 |
| | | | |
| 2 | სამგზავრო ვაგონების დეზინფექცია, დეზისექცია და დერატიზაცია | ერთეული | 2 796 |
| | ვაგზლების სამგზავრო დანიშნულების ფართობების დეზინფექცია, დეზისექცია და დერატიზაცია | მ² | 102 924 |
| | | | |
| 3 | სამგზავრო ვაგონების რბილი მოსახსნელი ინვენტარის (ლეიბი, ბალიში, "ოდეალა") დეზინფექცია | კომპლექტი | 3 000 |

**შენიშვნა:** 1) შესყიდვის ობიექტში მოცემული რაოდენობები და ფართობები გათვალისწინებულია 2009 წლის 31 დეკემბრამდე;

2) მომსახურებისათვის განკუთვნილი ფართობებისა და ვაგონების რაოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს შემსყიდველის მოთხოვნით, მათი საერთო რაოდენობის ფარგლებში.

**3. მომსახურების გაწევის ადგილი:** ტექნიკური დავალების შესაბამისად;

**4. მომსახურების გაწევის ვადა:** 2009 წლის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2008 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლ;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული **ლოტის ღირებულება და ერთეულის ფასი**, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე:** უცხოურ ვალუტაში სატენდერო წონადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## О.О.О. «Грузинская железная дорога» с 11 декабря 2008 года объявляет международный тендер на закупку санитарно-профилактического обслуживания вагонов, станций и других плошадей

***О.О.О. «Грузинская железная дорога»***, г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, объявляет международный тендер **на закупку обслуживания вагонов, станций и других площадей** и приглашает принять участие всех заинтерессованных физических и юридических лиц.

**1.** Заинтересованные лица могут уплатить тендерный сбор в размере 200 (двести) лари на реквизитах: А/О банк «Республика» центральный филиал: код – 220101757, Р/С – 10494921495.

Тендерная документация и техническое задание (на грузинском языке) выдается от 11 декабря **2008 года по 31 декабря** 2008 года на основании **квитанций вместе с заявкой на выдачу тендерной документации** по адресу: - г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**2. Обьекты закупки**

| Лот № | наименование услуг | Ед. | Кол. |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | чистка пасажирских вагонов | шт. | 2 796 |
| | чистка вокзалов пасажирского назначения | $м^2$ | 1 250 868 |
| | | | |
| 2 | дезинфекция, дезисекция и дератизация пасажирских вагонов | шт. | 2 796 |
| | дезинфекция, дезисекция и дератизация вокзалов пасажирского назначения | $м^2$ | 102 924 |
| | | | |
| 3 | дезинфекция мягкого снимающего инвентаря пассажирских вагонов (матрас, одеало, подушка) | комп | 3 000 |

**примечание:**

1) количества и плошади указанные в обьекте закупки учитиваются до 31 декабря 2009 года.

2) количество плошадеи и вагонов преднозначени дла виполнения обслуживания может бить изменени по запросу покупателья.

**3. Место обслуживания** – по техническому заданию.

**4. Время обслуживания** – в течении 2009 года.

**5.** Тендерные предложения и квалификационные данные претенденты должны предьявить в запечатанных конвертах, в двух экземплярах (Оригинал и его копия), заполненные на грузинском и/или с грузинским переводом заверенный нотариусом.

- Сроки предъявления документации: **с 9-00 до 18-00 часов включая 31 декабря 2008 года;**
- Документация должна быть представлена по следующему адресу: г.Тбилиси, пр. Царицы Тамары № 15, ***О.О.О. «Грузинская железная дорога»*** Агентство закупок (3-этаж).

**6. Квалификационные данные должны содержать следующую информацию:**

**Для юридических лиц:**

1) Выписку из предпринимательского реестра.

2) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.

**3)** В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложенного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

**Для физических лиц:**

1) Справку из судебных органов о том, что в отношении претендента не ведется делопроизводство о неплатежеспособности.

2) Копию документа, удостоверяющего личность претендента.

3) Документ о регистрации инд./производителя.

4) В силу обеспечения тендерного предложения – банковскую гарантию в размере 1% от общей стоимости предложенного товара, **срок действия которой должен на один месяц превышать срок действия тендерного предложения.**

**7. Всем претендентам необходимо представить:**

1. Подписанное (юридическим лицом и инд.производителем и заверенное печатью) тендерное предложение, срок действия которой должен быть не менее 30 дней (образец представлен в тендерной документации), в котором необходимо указать **стоимость лота и единицы,** срок действия тендерного предложения, желательные для претендента условия оплаты.

2. Стоимость тендерного предложения должна быть представлена в национальной или в другой валюте **(без НДС)**. В случае предьявления в другой валюте, оценка тенд. предложения будет произведена согласно курса Национального банка Грузии в день открытия пакетов.

3. **В случае выявления победителя претендент до оформления контракта должен предъявить гарантию (только с банка) по выполнению условий контракта в размере 5% стоимости контракта**, срок действия, который должен на 50 календарных дней превышать срок окончательного исполнения обязанностей предусмотренных в договоре.

Претенденты не будут допущений к оценке если в отношении претендента ведется делопроизводство о неплатежеспособности и представленные ими тендерные предложения и квалификационные данные не будут соответствовать вышеуказанным требованиям.

Дополнительную информацию заинтересованные лица могут получить в Агентстве закупок ***О.О.О. «Грузинская железная дорога»***, тел: **56-33-71 Мака Жужунашвили.** (Аппарат тендерной комиссии: Н. Конджариа, 56-38-60, Т. Хокерашвили 56-39-30, И. лобжанидзе 56-46-96.)

***Тендерная комиссия***

1. Представители зарубежных стран квалификационные данные должны прислать от государственных органов соответствующих стран в легализированном виде и установленными законными нормами.




AFP ' 2008

*კვირას გამთენიისას იყო, ლას ვეგასმა ექვსი სხვადასხვა წონითი კატეგორიის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ოსკარ დე ლა ჰოიასა (39 გამარჯვება, აქედან 30 ნოკაუტით და ექვსი წაგება) და წონითი კატეგორიების მიუხედავად თანამედროვეობის უდიდეს მოკრივის, ამჟამად კი მსუბუქ წონაში კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ფილიპინელი ჩემპიონის მენი პაკიაოს ორთაბრძოლა რომ იხილა. ეგაა, მათი ჩხუბი რატომღაც ბევრისთვის მოულოდნელი შედეგით დასრულდა. მოულოდნელად იმად, რომ ამერიკელმა მერვე-მეცხრე რაუნდების გასაყარზე ფილიპინელთან ჩხუბზე უარი თქვა. ბუნებრივია, ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება პაკიაოს (48 გამარჯვება, აქედან 36 ნოკუტით, 3 წაგება და ორიც ფრე) დარჩა.*
*ფილიპინელთა კერპი ახლა შინაა. ასეთი კაცის სტუმრობა კი ბევრისთვის საპატიოა. ამიტომაც დიდი მოკრივე პრეზიდენტმა გლორია აროიომ მანილაში პრეზიდენტის სასახლეში მიიწვია და საგანგებოდ მისთვის დამზადებული საკრივო ხელთათმანის ფორმის ტორტით გაუმსაპინძლდა.*



AFP ' 2008

*ჰავაიში, ოაჰუს ჩრდილო ყურეში სერფერთა შორის Vans Triple Crown მიმდინარეობს. ექსტრემალურ სანახაობას ნაპირიდან ჭოგრიტით მომარჯვებული არაერთი მოსეირე ადევნედა თვალ-ყურს. მათ შორის ამერიკელი სერფერის ჯონ ჯონ ფლორენსის საკვალიფიკაციო ასპარეზობასაც, რომელსაც ეს ესაა ბანზაის სახელით ცნობილ ტალღოვან ცილინდრში ოსტატურად გაუცურავს.*

CMYK - 1

# ბიზნესი

24 საათი B

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გაზეთის ოფიციალური პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK · BORJOMI ბორჯომი · ჯი პი აი ვიენა საინშურენს ჯგუფი · GRDC

თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

## ØÀÒÈÖËÉ ÄØÓÐ ÏÒÔÉÓ ÄÅÒ ÏÐÖËÉ ÐÄÒÓÐÄØÔÉÅÀ

მანანა ვარდიაშვილი

*ევროკავშირი და აშშ საქართველოსთან მიმართებაში სავაჭრო რეჟიმის გამარტივებას აპირებენ. ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრირება ადვილი რომ არ იქნება, ამაზე არავინ კამათობს. ყველაზე ოპტიმისტი ექსპერტების შეფასებითაც კი ევროპისა და აშშ-ს ბაზარზე საქართველოს ინტეგრირების პროცესი რთული და ხანგრძლივი იქნება. როგორც წესი, თანამედროვე მსოფლიო ბაზარი საქონლისა და მომსახურების შთანთქმის მაღალი უნარით და სტაბილურობით გამოირჩევა. ამდენად, ევროატლანტიკურ ბაზარზე საქართველოს დამკვიდრების საკითხი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის და ქვეყნის მთავარი პრიორიტეტის რანგში უნდა განვიხილოთ.*

გაგრძელება B4 გვერდზე




## ÃÉÃ ÓÀÌÄÖËÛÉ ÚÄÄËÀÆÄ ÌÚÀÒÉ



B7

## ÖÝáÏÖÒÉ ÅÀËÖÔÉÓ ÏׂÉÝÉÀËÖÒÉ ÊÖÒÓÉ ËÀÒÈÀÍ ÌÉÌÀÒÈÄÁÀÛÉ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | USD | 1,6500 |
| 1 | | AUD | 1,1339 |
| 1 | | AZN | 2,0431 |
| 1 | | AED | 0,4492 |
| 1000 | | BYR | 0,7757 |
| 1 | | BGL | 1,0761 |
| 1 | | DKK | 0,2845 |
| 1 | | EGP | 0,2995 |
| 1 | | EUR | 2,1178 |
| 10 | | EEK | 1,3540 |
| 1000 | | | TMM |
| 0,1161 | | | |
| 1 | | TRY | 1,0855 |
| 10 | | JPY | 0,1666 |
| 1 | | GBP | 2,5950 |
| 1 | | INR | 0,0348 |
| 1000 | | IRR | 0,1646 |
| 10 | | | ISK |
| 0,1274 | | | |
| 1 | | | ILS |
| 0,4354 | | | |
| 1 | | CAD | 1,4077 |
| 1 | | LVL | 2,9891 |
| 10 | | LTL | 6,1064 |
| 10 | | MDL | 1,5920 |
| 1 | | NOK | 0,2430 |
| 1 | | PLZ | 0,5828 |
| 1 | | RON | 0,5654 |
| 1 | | RUB | 0,0612 |
| 1 | | SGD | 1,1079 |
| 100 | | AMD | 0,5420 |
| 1 | | TJR | 0,4851 |
| 1000 | | UZS | 1,2220 |
| 10 | | | UAG |
| 2,8456 | | | |
| 100 | | HUF | 0,7933 |
| 1 | | | KWD |
| 6,1145 | | | |
| 10 | | KZT | 0,1376 |
| 10 | | KGS | 0,4235 |




## ÓÄØÔ ÏÒÖËÉ

რევაზ საყვარიშვილი

საქართველოს მრეწველობის რეკონსტრუქციის ამჟამინდელი პროცესის ანალიზი სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით შეიძლება. ოფიციალური სტატისტიკით, 2007 წელს სამრეწველო წარმოების 70,1% გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდიოდა. სიდიდით მომდევნოა ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის მიწოდება (21,4%) და სამთომოპოვებითი მრეწველობა (8,5%). ბოლო ორ სექტორს დიდი, გამოუყენებელი პოტენციალი გააჩნია. ეს განსაკუთრებით ჰიდროენერგიის გამომუშავებაზე ითქმის, რომელიც პრიორიტეტულ სექტორად განისაზღვრა. ამ სექტორში საქართველოს ადვილად შეუძლია იქცეს მსხვილ ექსპორტიორად, განსაკუთრებით მეზობელ თურქეთში. საკმაოდ შთამბეჭდავია სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარებაც.

ვგაგრძელება B3 გვერდზე



# ÓÀØÀÒÈÅÄËÏÓ ÌÏÓÀáËÄÏÁÀ ãÀÍÌÒÈÄËÏÁÉÓÈÅÉÓ ÌÀÅÍÄ ÐÒÏÃÖØÔÄÁÉÈ ÉÊÅÄÁÀ!

სოფო ჩიხლაძე



არის თუ არა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ევროკავშირ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებისთვის? ეს იყო ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რომელიც სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში გამართულ ფორუმზე დაისვა.

საქართველო და ევროკავშირი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ, თუმცა არსებობს ბარიერები, რომელიც ამ მიმართულებით წარმოიშვება. ერთ-ერთი მათგანი კი, როგორც ექსპერტები აცხადებენ, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონის რიგი მუხლების შეჩერებაა.

სურსათის უვნებლობის საკითხთან დაკავშირებით, ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე შერატონ მეტეხი პალასში სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მსჯელობდნენ. პროექტი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში განახორციელა, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვას ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელებაში. 2006 წლის ნოემბერში მიღებული სამოქმედო გეგმა საქართველოსა და ევროკავშირს ავალდებულებს, ერთობლივად განიხილონ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობისათვის საჭირო ვარიანტები, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება.

**საქართველო არის ერთადერთი და უნიკალური ქვეყანა... მსოფლიოში არ არსებობს სახელმწიფო, სადაც სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი ერთი დღით მაინც შეჩერებულიყო. ჩვენთან კი ეს ბაზარი უკვე რამდენიმე წელია უკონტროლოა,** - აცხადებს საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის დირექტორის მოადგილე რეზო კობახიძე.

"სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" კანონი საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის დეკემბერში მიიღო, 2006 წელი გარდამავალი პერიოდი იყო და კანონი 2007 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონი სურსათის ხარისხის მოთხოვნებს, ასევე სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობასა და ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს არეგულირებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი მთავარი მუხლების მოქმედება 2006 წლის დეკემბერში, 2010 წლამდე შეაჩერეს. მათ შორის მეწარმეთა რეგისტრაციის, ინსპექტირების, გეგმიური და მოულოდნელი შემოწმების პროცედურები, მიკვლევადობა და ა.შ. ასევე 2010 წლისთვის ყველა სავაჭრო ცენტრს აეკრძალება იმ პროდუქციის მიღება, რომელზეც მწარმოებლის ვინაობა არ არის მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ სადამსჯელო ღონისძიება განხორციელდება. 2010 წლის 1 იანვრამდე გადაიდო სურსათის ხარისხის შემოწმების სფეროში თანამედროვე მეთოდოლოგიის HACCP-ის დანერგვა. იმ შემთხვევაში, თუკი ამ პერიოდისათვის ქვეყანაში მოქმედი ყველა მწარმოებელი კომპანია HACCP-ის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მას პროდუქციის წარმოების უფლებას ჩამოართმევენ. HACCP-ის სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტ ISO22000:2005-ის მოთხოვნების მიხედვით ხდება. თუ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები 2010 წლიდან ნამდვილად განხორციელდება, ექსპერტების თქმით, სასურსათო ბაზარზე სასიკეთო ძვრები მოკლე ხანში იქნება შესამჩნევი, თუმცა იმასაც აცხადებენ, რომ 2010 წლამდე ეს ბაზარი თითქმის უკონტროლოა. არის მოსაზრება, რომ შესაძლოა, ამ კანონის მოქმედების ვადა კიდე გადაიწიოს.

**დღეს სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით საქართველოში საგანგაშო მდგომარეობაა და ეს გამოწვეულია ჩვენი ხელისუფლების უმოქმედობით. მან უკუაგდო პასუხისმგებლობა და ხალხი ბაზრის პირისპირ დატოვა, მაშინ, როცა კონსტიტუციით ის პასუხისმგებელია უვნებელ პროდუქციაზე. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, სუპერმარკეტებში ნაყიდი პროდუქციის ხარისხი ჩვეულებრივ მარკეტებსა და ბაზარში გამოტანილი პროდუქციისგან არაფრით განსხვავდება. ასე რომ, სახელმწიფო მტკიცება, სურსათის უვნებლობა ფასის მიხედვით დარეგულირდებაო, არ მოქმედებს. 2004-2007 წლებში საკვებისმიერი მოწამვლის რიცხვი სამჯერ და მეტად გაიზარდა,** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი 21 საუკუნე - ს წარმომადგენელი შალვა მელქაძე.

რაც შეეხება კონკრეტულად მოწამვლის შემთხვევების ზრდის მაჩვენებელს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საკვები პროდუქტით მოწამვლის შემთხვევათა ზრდის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება: 2002 წელი - 383 შემთხვევა, 2003 წელი - 449 შემთხვევა, 2004 წელი - 408 შემთხვევა, 2005 წელი - 761 შემთხვევა, 2006 წელი - 1288 შემთხვევა, 2007 წელი - 2075 შემთხვევა. თუმცა აქ არ არის მითითებული მავნე პროდუქტების მიღების გამო ბოტულიზმითა და ბრუცელოზით დაავადებულთა სტატისტიკა.

ექსპერტები აცხადებენ, რომ შესაძლოა, 2006 წელსვე კანონის ამოქმედებას ქართული წარმოების დიდი ნაწილის გაჩერება გამოეწვია. თუმცა, მათი თქმით, ჯობდა ასე მომხდარიყო, ვიდრე სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით ბაზარზე სრულიად უკონტროლო მდგომარეობა მიგვეღო. **საქართველოში სურსათის ვარგისიანობის მაკონტროლებელი ძირითადი ორგანიზაციები იმ მიზეზით გაუქმდა, რომ იქ კორუფციას ჰქონდა ადგილი. ამაში ხელისუფლებას ვეთანხმები, მაგრამ ხალხის ასე მიტოვება არ შეიძლება... მეცნიერული კვლევის ეროვნულმა ცენტრმა კვლევა ჩაატარა და საშინელი სურათი მივიღეთ, ბაზარზე უმძიმესი მდგომარეობაა... სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონი მიღებისთანავე რომ ამოქმედებულიყო, შესაძლოა ამას ბევრი საწარმოს დახურვა გამოეწვია, მაგრამ დამერწმუნეთ, 2 წელიწადში იმაზე მეტი გაიხსნებოდა და, რაც მთავარია, საზოგადოება მავნე პროდუქტებისგან დაცული იქნებოდა,** - გვითხრა ეკოლოგიურად სუფთა და გენმოდიფიცირებული კვების პროდუქტების წარმოებაზე მონიტორინგისა და მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტმა ომარ კერესელიძემ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი მარიკა გაბუნია აცხადებს, რომ კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ მაშინვე რომ ამოქმედებულიყო, საქართველოში წარმოების 90 პროცენტი გაჩერდებოდა, რადგან ისინი ვერ დააკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნებს, რომელიც ამ კანონშია ჩადებული. **ამიტომ, ისევ მეწარმეების ინტერესების დაცვის მიზნით, კანონის მოქმედება შეჩერდა 2010 წლამდე, რომ მეწარმეები მოემზადონ. გარდა ამისა, ამ პროცესის დაწყებისთვის მთავრობაც უნდა მოემზადოს... რაც შეეხება საქართველოში სურსათის უვნებლობის ხარისხის კონტროლს, ყველას მოეხსენება, რომ სახელმწიფო მონიტორინგის ფარგლებში ხდება ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ნიმუშების აღება და გამოკვლევა, რასაც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური აკეთებს. ამიტომ ვერ გავიზიარებ აზრს, რომ ეს ბაზარი დღეს საქართველოში უკონტროლოა,** - აცხადებს მარიკა გაბუნია. აღსანიშნავია, რომ ნიმუშების გამოკვლევა იმ შემთხვევაში ხდება, თუ რომელიმე პროდუქტის ვარგისიანობა ეჭვს გამოიწვევს. ნიმუშების გამოკვლევის ღირებულება ინდივიდუალურია, და იმის მიხედვით, თუ თითოეული პროდუქტის რამდენ პარამეტრს გამოიკვლევენ, იზრდება. ზოგადად, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ეს საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა, ამ თანხას კი სახელმწიფო იხდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეს 30 ლაბორატორია ფუნქციონირებს და, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, აქედან მხოლოდ 5 არის აკრედიტებული. თუმცა, ექსპერტების განცხადებითვე, გენმოდიფიცირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით დასკვნის მომზადება მათ არ შეუძლიათ. **სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური მაღაზიაში ყიდულობს პროდუქტს და ლაბორატორიაში აგზავნის გამოსაკვლევად. თუ აღმოჩნდება, რომ პროდუქცია ჯანმრთელობისთვის მავნებელია, სასამართლოს ძალით ხდება მისი ამოღება, რასაც შესაძლოა რამდენიმე კვირა დასჭირდეს, ამ ხნის მანძილზე კი პროდუქცია იყიდება. მის ამოსაღებად რომ მიხვალ, შესაძლოა, უკვე გაყიდულიც იყოს,** - აღნიშნა 24 საათთან საუბრისას შალვა მელქაძემ.

როგორც აღვნიშნეთ, კანონის მოქმედების ვადა 2010 წლამდე გადაიდო. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ამ ხნის მანძილზე სახელმწიფომ საკმაოდ დიდი შრომა უნდა გასწიოს. თუმცა, მათივე თქმით, სამი წლის მანძილზე ხელისუფლების მხრიდან მინიმალურად ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები იმისთვის, რომ კანონის ამოქმედებისას მზად იყოს როგორც სახელმწიფო, ისე მეწარმეები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თუკი 2010 წლისთვის მწარმოებელი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მას მუშაობის უფლება ჩამოერთმევა. ექსპერტების თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა დიდმა ნაწილმა ამ კანონის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იცის. არადა, მხოლოდ HACCP-ის სისტემის დანერგვაზე რომ ვისაუბროთ, საერთაშორისო სტანდარტ ISO22000:2005-ის მოთხოვნების მიხედვით, ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასევე დიდ ფინანსებსაც მოითხოვს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება რომ გაფორმდეს, ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე ვერც ერთ ქართულ პროდუქციას ვერ შევიტანთ, თუკი ეს სერტიფიკატი არ ექნა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ექსპერტები აცხადებენ, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. მათი აზრით, შესაძლოა ხელშეკრულება გაფორმდეს, შესაძლოა არა. **შანსი იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმდება, რა თქმა უნდა, არის. პირველი, რაც ამ მხრივ უნდა მოხდეს - ევროკომისიამ უნდა მიიღოს მანდატი ევროპის საბჭოსგან, რათა საქართველოს მთავრობასთან დაიწყოს მოლაპარაკება. ამ მანდატს, სავარაუდოდ, 2009 წლისთვის მივიღებთ და დაიწყება მოლაპარაკებები, რაც ხანგრძლივი პროცესია. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენზე წინ არის უკრაინა, რომელმაც უკვე მოლაპარაკების ორი რაუნდი გამართა და ეს პროცესი დაახლოებით ორი წელია მიმდინარეობს. არაფერს ვამბობ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, რომლებიც უკვე წევრნი არიან. ანუ ილუზიაა, რომ ხელშეკრულება ხვალვე გაფორმდება, არ გვაქვს. შეიძლება, ეს ძალიან მალე მოხდეს, შეიძლება, პროცესი დროში გაიწელოს. ჩემი პირადი აზრი გახლავთ, რომ ეს ხელშეკრულება 2011 წელს გაფორმდება. მისი ძალაში შესვლა, რა თქმა უნდა, ორივე მხარეზეა დამოკიდებული. ვნახოთ, რამდენად შეძლებს ქართული მხარე, რომ ეს დოკუმენტი ძალაში შევიდეს,** - აღნიშნავს 24 საათთან საუბრისას ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამების მენეჯერი ვანო ჩხიკვაძე.

რაც შეეხება კითხვას - არის თუ არა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი ევროკავშირ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებისთვის? - ფორუმის მონაწილეთა პოზიცია განსხვავებული იყო. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს რეალობაა, ზოგი აცხადებს, რომ თუ კანონის მთავარი მუხლები ამოქმედდება, ის პირიქით, დადებით გავლენას იქონიებს ხელშეკრულების გაფორმების პროცესზე. ნაწილს კი მიაჩნია, რომ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ კანონი რევოლუციურია, უბრალოდ, საჭიროა მისი დახვეწა, რაშიც სწორედ ევროკავშირი რეკომენდაციებით უნდა დაგვეხმაროს.

# ÓÄØÔ Ï ÒÖ Ë É

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება გადამამუშავებელ მრეწველობას, აქ მდგომარეობა განსხვავებულია. 2007 წელს ამ სექტორში ოთხი ქვესექტორი დომინირებდა (მთელი წარმოების თითქმის 84%): ლომის წილი (43%) საკვების, სასმელის და თამბაქოს წარმოებაზე მოდიოდა, მას 17%-იანი წილით პირველადი და წარმოებული ლითონის პროდუქტები მოსდევდა (ძირითადად, ფეროშენადნობები, რომელიც დღეს საექსპორტო საქონლის პირველ კატეგორიას წარმოადგენს). მომდევნო პოზიციები 15%-იანი წილით სხვა არალითონისშემცველ მინერალურ პროდუქტებს (უპირატესად, ცემენტი) და 9%-იანი წილით ქიმიური მრეწველობის პროდუქციას ეკავა.

თუ თითოეული ქვეკომპონენტის დინამიკას დავაკვირდებით, დავინახავთ საკმაოდ დიდ სხვაობას საკვები, სასმელი და თამბაქოს წარმოებისა და ყველა სხვა სექტორს შორის. მათი ზრდის ტემპი ნომინალურ გამოსახულებაში 2005-2007 წლებში ასეთი იყო: სხვა არალითონისშემცველი მინერალური პროდუქტები - 171%, რეზინი და პლასტმასი - 94%, პირველადი და წარმოებული ლითონის პროდუქტები - 84%, ქიმიური პროდუქტები - 61%, ქაღალდის წარმოება და ბეჭდვითი პროდუქცია - 61 პროცენტი%, სატრანსპორტო აღჭურვილობა - 59%, საკვები, სასმელი და თამბაქოს პროდუქცია - 20%.

თუ საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის შედარებით მაღალ ტემპს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ინდუსტრიის ეს სექტორი პრაქტიკულად არ გაზრდილა ან კლებაც კი განიცადა, მიუხედავად იმისა, რომ საკვები პროდუქტების ადგილობრივი მოხმარება საკმაოდ ინტენსიურია. განსაკუთრებით, ისეთ პროდუქტებთან მიმართებაში, როგორიცაა რძის ნაწარმი, ხილი და ბოსტნეული.

საკვები პროდუქციის სექტორის ნაკლები განვითარება სერიოზული შეშფოთების საგანია. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტზე რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს გავლენით. სამწუხაროდ, ეს უფრო საქართველოს სოფლის მეურნეობის ღრმა სტრუქტურულ კრიზისზე მიუთითებს, რომლის დასაძლევად ხელისუფლებას ჯერჯერობით რაიმე დამაჯერებელი კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკა არ წარმოუდგენია.

საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომელზეც მთლიანი დასაქმების 55,6% მოდის, წარმოების მოცულობისა და მწარმოებლურობის დონის მხრივ ისეთ ნიშნულებზე გაიყინა", რომლებიც საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნების დონეებს თუ შეესაბამება (მაგალითად, ერთ ძროხაზე რძის წლიური წარმოება, გაეროს-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 937 კგ-ს შეადგენს, მაშინ, როდესაც სომხეთში შესაბამისი მაჩვენებელი 1965 კგ, ხოლო რუსეთში - 3221 კგ-ია). მზარდი ადგილობრივი მოთხოვნის მიუხედავად, 2007 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 1989 წლის დონეს მხოლოდ 8%-ით აღემატება, მაშინ, როდესაც სამრეწველო პროდუქციის ზრდამ იმავე პერიოდში 85% შეადგინა. კვების მრეწველობის უმთავრესი პრობლემა საქართველოში პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების არსებობაა. აგრარული პროდუქციის გადამამუშავებელმა ყველა წამყვანმა კომპანიამ ნედლეული ან უცხოეთიდან უნდა შემოიტანოს, ან ადგილზე საკუთარი სანედლეულე ბაზის შექმნაში უნდა მოახდინოს ინვესტირება, რაც იმ ფინანსური და მენეჯერული რესურსების სხვა მიმართულებით წარმართვას იწვევს, რომლებსაც კომპანიები უკეთ გამოიყენებდნენ ძირითად ბიზნესში.



საქართველოს მრეწველობის განვითარების მეორე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება შესაბამის განათლებაზე გაწეული დანახარჯების სიმცირეა. არადა, ყველა კარგი მაჩვენებლების მქონე ქვეყანა (მაგალითად, სლოვენია და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები) განვითარების სტრატეგიას უფრო და უფრო მაღალტექნოლოგიურ საქმიანობებზე აფუძნებენ, აგებენ და თითქმის 4-ჯერ მეტს აბანდებენ ამ სექტორში, ვიდრე საქართველო. სხვა ქვეყნები კი, მაგალითად, მოლდოვა, რომელიც საქართველოს მსგავსად უცხოეთში მასობრივი მიგრაციით ზარალდება, იძულებულია, ბიუჯეტის დიდი ნაწილი ადამიანური კაპიტალის ექსპორტის კომპენსაციაზე დახარჯოს, ვინაიდან იცის, რომ ემიგრაციაში ხშირად ყველაზე ნიჭიერი და მეწარმეობის უნარით დაჯილდოებული მოქალაქეები მიდიან.

ადამიანურ კაპიტალში არასაკმარისი ინვესტირების უშუალო შედეგია მუშახელის ანაზღაურების სწრაფი ზრდა. მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასი 2004 წლის 201 ლარიდან (104 დოლარი) 2006 წელს 308 ლარამდე (173 დოლარი), 2007 წლის ბოლოსთვის კი 396 ლარამდე (236 დოლარი) გაიზარდა.

განათლება რომ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს არ წარმოადგენდეს, მუშახელის ანაზღაურების ზრდა გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოში კვლავ არის მასშტაბური ფარული უმუშევრობა და ფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლებს და მთელი მოსახლეობის 13%-ს შეადგენს. ამიტომ მუშახელზე მოთხოვნის ზრდას ახალი ადამიანების დასაქმება უნდა გამოეწვია და არა ხელფასების ზრდა. მეორე მიზეზი, რასაც ასეთი შედეგი უნდა გამოეღო, არის ის, რომ დღეს ძალზე ცოტა ეკონომიკა თუ მოიძებნება მსოფლიოში, სადაც ისე ადვილია მშრომელთა დაქირავება და გათავისუფლება, როგორც საქართველოში.

ფაქტობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ განათლების პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, საშუალო დონის მენეჯმენტს ეხება. საქართველოში კვლავ არის კარგი განათლების მქონე ელიტა, რომელსაც ხშირად განათლება დასავლეთში აქვთ მიღებული, მაგრამ არ არის საშუალო დონე, რომელიც განვითარებულ ეკონომიკებში სტრატეგიულ როლს თამაშობს.

## აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული პირებისთვის ახალი ბინის თუ მიწის გადაცემა საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება

აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული პირებისთვის ახალი ბინის თუ მიწის გადაცემა საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება.

"საგადასახადო კოდექსის" პროექტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად ფიზიკური პირების კუთვნილი დაზიანებული ბინების რეკონსტრუქციისა და განადგურებული ბინების სანაცვლოდ ახალი ბინის ღირებულება.

ამასთან, საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლდება აგვისტოს მოვლენებისას დაზარალებული პირებისთვის მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდ გადაცემაც.

პროექტის თავდაპირვანდელი ვარიანტი გადასახადისგან გათავისუფლებას მხოლოდ ბინებთან დაკავშირებით ითვალისწინებდა, პარლამენტის მოთხოვნით კი საგადასახადო შეღავათი მიწის უსასყიდლოდ გადაცემასაც შეეხო. **პირველი**

## ჯეოსელი ლაი-ლაის აბონენტებს ახალ ინდექსს სთავაზობს

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელი" ლაი-ლაის" აბონენტებს ახალ ინდექსს სთავაზობს.

როგორც კომპანიიდან გვაცნობეს, ახალი ინდექსით 857 ნომრების შეძენა ჯეოსელის" მომსახურების ოფისებში და სადილერო ქსელშია შესაძლებელი.

გარდა ამისა, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, "ჯეოსელმა" დაიწყო აქცია, ვინც 3 ლარად "ლაი-ლაის" სასტარტო პაკეტს შეიძენს, 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა საჩუქარს მიიღებს. **ინტერპრესნიუსი**

## ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების აუქციონი ჩინოვნიკების მიერ კეთილდღეობისთვის მზადებას უკავშირდება

ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელი თეიმურაზ მურღულია ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების აუქციონს ჩინოვნიკების მიერ კეთილდღეობისთვის მზადებას უკავშირებს.

როგორც თეიმურაზ მურღულიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აუქციონი 162 ათას ჰექტარზე ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით ტარდება.

მისი თქმით, ქვეყანაში შექმნილი ვითარების ფონზე, აღნიშნული ქმედება იმ ექსპერიმენტული ეკონომიკური რადიკალიზმის ჩარჩოებშიც არ ჯდება, რომელსაც ხელისუფლება მოსახლეობას თავს ახვევს.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ბიუჯეტში თანხების მობილიზაციის ეგიდით, ჩინოვნიკები საკუთარი ფინანსური მომავლის დაზღვევას ცდილობენ," - განაცხადა თეიმურაზ მურღულიამ და მედიას სთხოვა, გაეცნონ განაცხადს, რომელშიც არ ჩანს, რა დარჩება ქვეყნის ტყეებიდან 20 წლის შემდეგ, როგორ დარეგულირდება ეს პროცესი მოსახლეობის საჭიროებისათვის ჭრასთან და ტურისტულ ინდუსტრიასთან მიმართებაში. მისი თქმით, ეს საკითხები კვლავაც მთავრობის დახურული გადაწყვეტილებებით დარეგულირდება.

ამიტომ გთხოვთ მედიის წარმომადგენლებს, ყურადღება ამ თემატიკაზე გაამახვილოთ. როგორც ჩანს, ეს არ არის ბოლო შემთხვევა, როცა ხელისუფლება მოსწრებაზეა და მხოლოდ საზოგადოების კონსოლიდაცია აგვაცილებს თავიდან კიდევ უფრო სავალალო შედეგებს," - დასძინა მურღულიამ, რომელიც პარტია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ოფისში მთავარი საბჭოს წევრი და ეკონომიკის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ხე-ტყის დამზადების გრძელვადიანი ლიცენზიების აუქციონი 2008 წლის 11 დეკემბერს გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

## მიმოქცევაში 7 ახალი საფოსტო მარკა გამოვიდა

ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების მიხედვით, 5 დეკემბრიდან მიმოქცევაში 4 დასახელების მარკა, “პეკინის ოლიმპიადა” (0,1; 0,3; 0,6 და 0,8 ლარის ნომინალის), 2 დასახელების მარკა “ევროპა 2008 - წერილები” (0,9 და 1 ლარის ნომინალის) და მარკა “მეფე დავით IV აღმაშენებელი, გელათი, ფრესკა IX ს” (0,5 ლარის ნომინალის) გავიდა.

გამოშვებული საფოსტო საგადახდო ნიშნების ტირაჟი ჯამში 855 ათასს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## საფონდო ბირჟაზე მხოლოდ ˝საქართველოს ბანკის˝ აქციები გაიყიდა

საქართველოს საფონდო ბირჟაზე მხოლოდ საქართველოს ბანკის” აქციები გაიყიდა. როგორც საფონდო ბირჟიდან გვაცნობეს, გაიყიდა ბანკის 27007 ლარის ღირებულების 4092 აქცია. ამასთან, წინა ვაჭრობასთან შედარებით, ბანკის აქციათა ფასი 2,94%-ით, 6,6 ლარამდე შემცირდა. **ინტერპრესნიუსი**

## ნავთობის ფასი მსოფლიოში შემცირდა

მსოფლიოში ნავთობის ფასი გუშინდელი ვაჭრობების შედეგად შემცირდა.

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ინფორმაციით, მსოფლიოს წამყვან, ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა 41,53 (-1,89) დოლარი ბარელზე, ხოლო Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა 42,07 (-1,64) დოლარი ბარელზე შეადგინა. **ინტერპრესნიუსი**

## საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 2008 წლის მე-3 კვარტალში 4 877.8 მლნ ლარი შეადგინა

საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 2008 წლის მე-3 კვარტალში ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 4 877.8 მლნ ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ - 2 453.7 მლნ ლარი შეადგინა.

როგორც სტატისტიკის დეპარტამენტიდან გვაცნობეს, მსხვილ საწარმოებზე მთლიანი ბრუნვის 83.9 პროცენტი, საშუალო საწარმოებზე - 7.9 პროცენტი, მცირე საწარმოებზე კი - 8.2 პროცენტი მოდის. დაახლოებით იგივე ვითარება პროდუქციის მთლიან გამოშვებაშიც. მსხვილი საწარმოები - 83.2 პროცენტი, საშუალო საწარმოები - 8.5 პროცენტი, ხოლო მცირე საწარმოები - 8.3 პროცენტი.

საწარმოთა მიერ საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა კვარტლის განმავლობაში 3744.5 მლნ ლარი, ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა 2450.7 მლნ ლარი შეადგინა. საწარმოების განხორციელებული მთლიანი ინვესტიცია კი ფიქსირებულ კაპიტალში 105 მლნ 600 ათას ლარს შეადგენს. საწარმოებში კი დასაქმებულია 329 712 ადამიანი, რომელთაგან 39.6 პროცენტი ქალია, ხოლო 60.4 პროცენტი - კაცი. **ინტერპრესნიუსი**

# ØÀÒÈÖËÉ

პირველი გვერდიდან

ამჟამად საქართველოში ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი მოქმედებს. ამ რეჟიმით იმპორტი წახალისებულია. პროდუქციის 90 პროცენტზე საიმპორტო ტარიფები გაუქმებულია (ტარიფი დარჩენილია მხოლოდ გარკვეული სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და საშენ მასალებზე). იმპორტის ტარიფი საკმაოდ დაბალია და 5 და 12 პროცენტს შეადგენს. იმპორტირებულ და ადგილობრივ პროდუქციაზე (გარდა თამბაქოს ნაწარმისა) სააქციზო გადასახადი თანაბარია, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი კი არ იბეგრება.

პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მოქმედებს. სატარიფო და არასატარიფო ბარიერები მაქსიმალურადაა შემცირებული. დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან კი - უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MNF). აშშ, კანადა, იაპონია, შვეიცარია და ნორვეგია პრეფერენციული რეჟიმით (GSP) სარგებლობენ, ევროკავშირი კი საქართველოსთან მიმართებაში “GSP+” რეჟიმს იყენებს.

მანამდე, სანამ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება, ვაჭრობის სპეციალური წამახალისებელი სისტემით, ე.წ. “GSP+”(“ჯი-ეს-პი პლუსი”)-ით ვისარგებლებთ. ძველი GSP სქემით საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე უბაჟოდ მხოლოდ 3 300 დასახელების პროდუქციის შეტანა შეეძლო, 6 900 დასახელების პროდუქციაზე კი გარკვეული სატარიფო შეღავათები ვრცელდებოდა. “GSP+” სისტემით საქართველო 2005 წლის პირველი ივლისიდან სარგებლობს. ამ რეჟიმის ფარგლებში ევროკავშირის ბაზარზე დაახლოებით 7 200 დასახელების პროდუქცია საბაჟო გადასახადების გარეშე შედის. მიუხედავად ამისა, “GSP+” რეჟიმით საქართველოსთვის მინიჭებულ შეღავათებს ჩვენი ქვეყნის ევროექსპორტის მოცულობით დინამიკაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია: საქართველოს საექსპორტო საქონლის სპექტრი ისევ შეზღუდულია - მასში კვლავ დაუმუშავებელი ნედლეული და ჯართი დომინირებს. საქართველოს საექსპორტო კალათში მხოლოდ რამდენიმე დასახელების დამუშავებული საქონელია.

“GSP+” რეჟიმის ამოქმედებას საექსპორტო ბუმი არ მოჰყოლია. ამ რეჟიმის შემოღებამდე ევროკავშირში საშუალოდ 148 სასაქონლო კატეგორიის ექსპორტი ხორციელდებოდა. მას შემდეგ ევროპის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის ასორტიმენტი ბევრად არ გაზრდილა. გასულ წელს ევროკავშირში “GSP+”-ის რეჟიმით პირველად განხორციელდა მწვანილის, თაფლისა და ევკალიპტის ცოცხის ექსპორტი. 2007 წელს ევროკავშირში “GSP+”-ის რეჟიმით ექსპორტირებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ 127,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოდან განხორციელებული საერთო ექსპორტის 10,3, ხოლო ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტის 47,5 პროცენტია. საქართველოდან ევროკავშირში “GSP+”-ის რეჟიმით ძირითადად თხილი, ამონიუმის გვარჯილა, უალკოჰოლო სასმელები, იზოტოპები, ფეროშენადნობები და ვაშლის წვენის კონცენტრატი გადის. მიუხედავად იმისა, რომ “GSP+”-ის რეჟიმი პროდუქციის ფართო ჩამონათვალს ითვალისწინებს, იგი არ მოიცავს საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციას, როგორიცაა ღვინო და ციტრუსი.

იმ ფაქტს, რომ საქართველო მისთვის დაწესებულ შეღავათებს სრულად ვერ იყენებს, რამდენიმე ახსნა აქვს: აქამდე საქართველო მხოლოდ რუსეთის ბაზარზე იყო ორიენტირებული და ჩვენი ხილი, ბოსტნეული, ღვინო და სხვა პროდუქტები მხოლოდ რუსეთის ბაზარზე შედიოდა. რუსეთის მხრიდან დაწესებული ემბარგოს შემდეგ

### საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2002-2008 (9 თვე) (მლნ. აშშ დოლარი)

| | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 9 თვე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ბრუნვა** | 1 079,2 | 1 606,4 | 2 494,8 | 3 357,6 | 4 674,3 | 6 456,9 | 5 909,9 |
| ზრდა | 0,8% | 48,9% | 55,3% | 34,6% | 39,2% | 38,1% | 33,3% |
| **ექსპორტი** | 347,8 | 465,3 | 646,9 | 866,7 | 993,1 | 1 240,2 | 1 242,5 |
| ზრდა | 9,5% | 33,8% | 39,0% | 34,0% | 14,6% | 24,9% | 40,5% |
| **იმპორტი** | 731,4 | 1 141,1 | 1 847,9 | 2 490,9 | 3 681,2 | 5 216,7 | 4 667,4 |
| ზრდა | -2,9% | 56,0% | 61,9% | 34,8% | 47,8% | 41,7% | 31,5% |

### ძირითადი ექსპორტი ძირითადი იმპორტი (ხვედრითი წილი მთლიან ექსპორტ/იმპორტში 2007)

**ძირითადი ექსპორტი**

- ფეროშენადნობები (12.9%)
- შავი ლითონების ჯართი (7.8%)
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები (6.4%)
- ოქრო დაუმუშავებული (5.6%)
- თხილი და კაკალი (5.2%)
- ცემენტი (5.2%)
- სპირტიანი სასმელები (4.6%)
- აზოტოვანი სასუქები (4.6%)
- სპილენძის ჯართი (3.0%)
- ყურძნის ნატურალური ღვინოები (2.4%)
- მინერალური წყლები (2.0%)

**ძირითადი იმპორტი**

- ნავთობპროდუქტები (10.7%)
- მსუბუქი ავტომობილები (7.1%)
- ნავთობის აირები (5.6%)
- სამკურნალო საშუალებები (2.8%)
- ხორბალი 2.7%
- ტელერადიოაპარატურა (2.0%)
- შაქარი 1.7%)
- გამომთვლელი მანქანები (1.5%)
- წნელები ნახშირბადოვანი (1.4%)
- სატვირთო ავტომობილები (0.9%)






# ØÓÐ Ï ÒÔÉÓ




საექსპორტო ორიენტაციის შეცვლა ხდება. ამ პროცესს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ევროპის ბაზარს რუსეთის ბაზრისგან განსხვავებული მოთხოვნები აქვს და ის სრულიად განსხვავებულ სტანდარტებს ითხოვს. პროდუქციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას სამზადისი და, აქედან გამომდინარე, გარკვეული დრო სჭირდება. ბევრ კომპანიას ეს სამზადისი დაწყებული აქვს, ბევრი კი ისევ რუსეთის ბაზარზე დაბრუნებას ელოდება და ნირვანაში ყვინთავს.

რუსეთის მხრიდან დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიზეზი, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოტივი იყო და ამ ბარიერის გადალახვაც მხოლოდ პოლიტიკურ ნებას შეუძლია. ახალი ბაზრების ათვისების და ექსპორტის და საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს მთავრობამ ექსპორტის განვითარების პროგრამა უნდა შეიმუშაოს. პროგრამა, რომელიც ქართულ კომპანიებს წარმოების განვითარებაში დაეხმარება, სახელმწიფოს მხრიდან გაწეულ რეკომენდაციებს და ერთიან სტრატეგიას უნდა ეფუძნებოდეს. ევროკავშირთან მიმართებაში კი სპეციალური პროგრამა უნდა შემუშავდეს: ევროპის ბაზარი ეკოლოგიურად სუფთა და სტანდარტებთან შესაბამის ხარისხიან პროდუქციას ითხოვს. სერტიფიკაციის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგება აგროსამრეწველო საქონლის ექსპორტის დროს, რომელსაც გაერთიანებული ევროპის ბაზარზე ფართოდ დამკვიდრების დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა ძალიან მაღალი ხარისხობრივი, მათ შორის - სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნების გამო ამ პოტენციალის გამოყენება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. გარდა ამისა, მომთხოვნ ევროპულ ბაზარზე არასატარიფო ბარიერებიც არსებობს.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება რომ გაფორმდეს, ამისთვის ვაჭრობასთან დაკავშირებული ქართული კანონმდებლობა და მარეგულირებელი პრაქტიკა ევროპულ კანონმდებლობას უნდა დაუახლოვდეს. ქართული მხარისთვის ევროკავშირის მოთხოვნათა გაზიარება საკმაოდ რთული იქნება: საქართველო ანგლო-საქსური ეკონომიკური მოდელის ულტრალიბერალური ვერსიით სარგებლობს, რომელიც ევროპული მოდელისგან არსებითად განსხვავდება. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად ევროსტანდარტებთან ჰარმონიზებული სტანდარტები უნდა დაინერგოს (სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი, სტანდარტები და ტექნიკური რეგულირება, საბაჟო პროცედურები, საჯარო შესყიდვები, პრუდენციული რეგულირება) და სურსათის უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონის რამდენიმე შეჩერებული პუნქტი ამოქმედდეს.

"რამდენად არის დაახლოებული ქართული სტანდარტები ევროპულთან? ამ მხრივ პრობლემები ნამდვილად არსებობს. საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება აუცილებელია. საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ ის როგორც კანონმდებლობის შექმნის, ისე მისი შესრულების თვალსაზრისით კარგი პარტნიორია," - ამბობს საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელი მიშელ ჟამბუ.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებამდე საქართველოს მოსამზადებლად გარდამავალი პერიოდი მიეცემა. მანამდე კი საქართველომ ევროკომისიაში "GSP+"-ის რეჟიმით სარგებლობის უფლების გაგრძელების შესახებ ოფიციალური განაცხადი წარადგინა. იმისთვის, რომ ბენეფიციარმა ქვეყანამ 2009 წლის 1 იანვრიდან პრეფერენციული რეჟიმით სარგებლობა გააგრძელოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს 27 კონვენციის რატიფიცირება უნდა მოახდინოს. 2008 წლამდე საქართველოს 25 კონვენცია ჰქონდა რატიფიცირებული. დარჩენილი ორი კონვენციის - ბიოუსაფრთხოების შესახებ კარტახენას პროტოკოლისა და კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის რატიფიცირება მიმდინარე წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მოხდა.

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

„ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა
ფარდაგი და უამრავი
ხელით ნაქარგი სუვენირი



თქვენ ხდებით ქართული ხალხური კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6
ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

## ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გასამართ ღონისძიებებზე 600 ათასი ლარი დაიხარჯება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009 წელს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გასამართ ღონისძიებებზე 600 ათას ლარს დახარჯავს.

ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ცინცაძემ აგრარული კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომელზეც 2009 წლის დაგეგმილი გამოფენების ნუსხა წარადგინა.

მისი ინფორმაციით, 2009 წლის 16-25 იანვარს ბერლინში ქართული პროდუქცია წარდგენილი იქნება საერთაშორისო გამოფენაზე მწვანე კვირეული." აღნიშნული გამოფენა 1926 წელს დაარსდა და იგი მომავალ წელს სამოცდამეთოთხმეტედ გაიმართება, სადაც მონაწილეობას მსოფლიოს მასშტაბით სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის დარგში მოღვაწე მწარმოებლები მიიღებენ. ამასთან, ერთ-ერთ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენაზე ღვინო და ღვინის წარმოება" ქართული პროდუქცია 5-7 თებერვალს ქალაქ ოდესაში, ხოლო 3-6 მარტს ქალაქ ტოკიოში გამოფენა ფუდუქს იაპონიაზე" იქნება წარდგენილი. ასევე, ქართული პროდუქცია იქნება წარდგენილი 12-14 მაისს ლონდონში, ლონდონის საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენაზე," 20-22 მაისს ვარშავაში, გამოფენა იფე პოლონეთი 2009 -ზე, 9-12 სექტემბერს ლატვიაში, გამოფენა რიგა ფუდი 2009 -ზე 10-14 ოქტომბერს კიოლნში, გამოფენა ანუგა 2009 -ზე და 17-19 ნოემბერს, ფრანკფურტში გამოფენა სურსათის ინგრედიენტები ევროპაზე. **ინტერპრესნიუსი**

## 30 ნოემბრის მდგომარეობით, საგარეო ვალი 2 მლრდ 495 მლნ 556 ათას აშშ დოლარს შეადგენს

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო ოდენობა, 2008 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, 2 მლრდ 495 მლნ 556 ათას აშშ დოლარს შეადგენს. როგორც ფინანსთა სამინისტროდან გვაცნობეს, საქართველოს ორმხრივი კრედიტორების მიმართ ვალი 517 მლნ 107 ათასი დოლარია, მათ შორის: ავსტრია - 1,455 ათასი აშშ დოლარი; აზერბაიჯანი - 14,427 ათასი აშშ დოლარი; თურქმენეთი - 1,611 ათასი აშშ დოლარი; თურქეთი - 41,841 ათასი აშშ დოლარი; ირანი - 11,319 ათასი აშშ დოლარი; რუსეთი - 119,988 ათასი აშშ დოლარი; სომხეთი - 17,420 ათასი აშშ დოლარი; უზბეკეთი - 378 ათასი აშშ დოლარი; უკრაინა - 345 ათასი აშშ დოლარი; ყაზახეთი - 27,774 ათასი აშშ დოლარი; ჩინეთი - 4, 391 ათასი აშშ დოლარი; გერმანია - 155,713 ათასი აშშ დოლარი; იაპონია - 55, 967 ათასი აშშ დოლარი; ქუვეითი - 13,722 ათასი აშშ დოლარი; ნიდერლანდები - 12,446 ათასი აშშ დოლარი და აშშ - 38,311 ათასი აშშ დოლარი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ევრობონდები კი - 500 000 ათასი დოლარი. საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ვალის ნაშთი 1 მლრდ 468 მლნ 717 ათას დოლარს შეადგენს, მათ შორის: მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია - 908 328 ათასი აშშ დოლარი; ევროგაერთიანება - 74 388 ათასი აშშ დოლარი; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი - 12 343 ათასი აშშ დოლარი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მიმღები ეროვნული ბანკი) 446 386 ათასი აშშ დოლარი; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - 27 273 ათასი აშშ დოლარი.

სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ნაშთი 9,731 ათას აშშ დოლარს შეადგენს, მათ შორის: გერმანია - 3,691 ათასი აშშ დოლარი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი - 6,040 ათასი აშშ დოლარი. **ინტერპრესნიუსი**

## კორპორაცია "სონის" ევროპის ოფისიდან საქართველოში დელეგაცია ჩამოვიდა

კორპორაცია "სონის ევროპის ოფისიდან გუშინ საღამოს საქართველოში 2-კაციანი დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაცია სონი ცენტრ თბილისს" ეწვევა. განხილული იქნება კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში. კორპორაციის წარმომადგენლები საქართველოში შეხვედრებს გამართავენ, მათ შორის უცხოელ და ქართველ ექსპერტებთანაც. ვიზიტი ორდღიანია. **ინტერპრესნიუსი**

### სახალხო დამცველის ოფისში მრგვალი მაგიდა გაიმართება

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში ხვალ მრგვალი მაგიდა თემაზე “მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს აგრარული პოლიტიკა” გაიმართება. დისკუსიაში მონაწილეობას საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების, ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლები და მეცნიერ-ექსპერტები მიიღებენ. შეხვედრაზე განხილული იქნება მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებული პერიპეტიები და საქართველოს აგრარული ფორმირების აუცილებლობის საკითხები. დისკუსია ჟურნალ “ბიზნესი და კანონმდებლობის” ინიციატივით იმართება. **ინტერპრესნიუსი**

### GSP+ სავაჭრო რეჟიმის მოქმედება ევროკავშირთან სამი წლით გაგრძელდა

როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან გვაცნობეს, საკითხი ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოზე განიხილეს. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი - პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარებისათვის 2009-2011 წლებზე გაგრძელდა. სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, აღნიშნული შეღავათები მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ მხარდაჭერას, სავაჭრო ტარიფების შემცირება-გაუქმებისა და, შესაბამისად, ევროკავშირში ექსპორტის წახალისების გზით. საქართველოს გარდა, აღნიშნული სავაჭრო რეჟიმი მსოფლიოს 16 ქვეყანაზე გავრცელდება, მათ შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანზე. საქართველო აღნიშნული პრეფერენციებით 2006 წლიდან სარგებლობს. **ინტერპრესნიუსი**

### ˝საქართველოს ბანკმა˝ ბათუმში ახალი ფილიალი გახსნა

“საქართველოს ბანკმა” ბათუმში ახალი ფილიალი გახსნა. როგორც “საქართველოს ბანკიდან” გვაცნობეს, ფილიალი მემედ აბაშიძის ქუჩაზე, ისტორიულ შენობაში განთავსდა. ახალი ფილიალი აჭარაში “საქართველოს ბანკის” რეგიონალური ოფისიც იქნება და ამავე დროს სერვისცენტრიც. “საქართველოს ბანკს” აჭარაში სულ 15 სერვისცენტრი აქვს, მათ შორის მაღალმთიან აჭარაშიც. საქართველოს მასშტაბით კი ფილიალებისა და სერვისცენტრების ოდენობა 150-ს აღწევს. “საქართველოს ბანკი” ქსელის გაფართოებას მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს, ახლო მომავალში მას თბილისსა და რეგიონებში კიდევ 11 სერვისცენტრის გახსნა აქვს დაგეგმილი. **ინტერპრესნიუსი**

### პროდუქტების ფასები საახალწლოდ, სავარაუდოდ, 15-20 პროცენტით გაიზრდება

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გიორგი ხუხაშვილი აცხადებს, რომ საკვები პროდუქტების სამომხმარებლო ფასები საახალწლოდ, სავარაუდოდ, 15-20 პროცენტით გაიზრდება. როგორც გიორგი ხუხაშვილმა განაცხადა, საახალწლოდ ფასების ზრდა ყოველწლიური პროცესია, რომლის დარეგულირების ბერკეტი არ არსებობს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და პიკს 20-24 დეკემბრისთვის მიაღწევს. 10 იანვრიდან კი ფასების მაჩვენებელი, წესით, ძველ ნიშნულს უნდა დაუბრუნდეს. გიორგი ხუხაშვილის თქმითვე, ერთადერთი საკვები პროდუქტი, რომლის ფასი ადმინისტრაციულად რეგულირდება, პურია. შესაბამისად, მისი ფასი არც საახალწლოდ შეიცვლება. ექსპერტი იმასაც აცხადებს, რომ სწორედ ახალი წელია ინფლაციური დაძაბულობის მატების პერიოდი. ამ დროს ვალუტის კურსი ეცემა. ფასების მატება დროებითი მოვლენაა და 10 იანვრიდან, წესით, ძველ ნიშნულს უნდა დაუბრუნდეს. რაც შეეხება ვალუტის კურსს, ძნელი სათქმელია, რას უნდა ველოდოთ მის ცვლილებასთან დაკავშირებით,” - აღნიშნა გიორგი ხუხაშვილმა. **მედიანიუსი**

# ÊÀÐÉÔÀ Ë ÃÀÀÁÀ Í ÃÄÁÀ ÜÀÅÄÓÉÓ ØÅÄÚÀ Í ÀÛÉ

### მიმზიდველი ვენესუელური უძრავი ქონება

ვენესუელური კაპიტალი ძალზე პოპულარულია, როგორც ეგზოტიკური, ასევე პერსპექტიული კაპიტალდაბანდების მსურველთათვის. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორებს იზიდავს ვენესუელას დიდებული სანაპირო და შესანიშნავი მთიანი კურორტები, ამასთან, ადგილობრივი კაპიტალი საკმაოდ იაფი გახლავთ.



### ნუ შეგაშინებთ უგო!

ვენესუელა სამხრეთ ამერიკის სამხრეთში მდებარეობს. იგი ესაზღვრება კოლუმბიას, ბრაზილიას, გუიანას, და კარიბის ზღვაზე მშვენიერი სანაპირო აქვს. იქვე, მახლობლად ტრინიდადის და ტობაგოს კუნძულოვანი სახელმწიფო მდებარეობს.

პრეზიდენტ უგო ჩავესის მრავალწლიანი ექსტრავაგანტული მმართველობის წყალობით ვენესუელა გამუდმებით ყურადღების ცენტრშია. ჩავესი სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობას განაგრძობს, თუმცა მისი ადრინდელი კურსი შეიცვალა და, უცხოელი ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ნაცვლად, იგი სხვადასხვა სფეროს ნაციონალიზაციას ახორციელებს.

თუმცა, ჩავესის მმართველობის მეთოდებისა მხოლოდ მსხვილ ინვესტორებს უნდა ეშინოდეთ, ვენესუელის უძრავი ქონების ბაზარზე კერძო პირების მიერ კაპიტალდაბანდება კი პრაქტიკულად არანაირ რისკთან არ არის დაკავშირებული. პირიქით, უძრავი ქონების ადგილობრივი, განვითარებადი და პერსპექტიული ბაზარი სულ უფრო პოპულარული ხდება. მარტო ის რად ღირს, რომ ადგილობრივი უძრავი ქონება ყოველწლიურად 8-10 პროცენტით ძვირდება. ხოლო როცა ვენესუელაში დემოკრატიული ცვლილებები განხორციელდება, ფასების ზრდა კიდევ უფრო დაჩქარდება.

თავად ვენესუელა ეკონომიკური თვალსაზრისით მრავალმხრივ არის საინტერესო. როგორც ცნობილია, ქვეყანა ოპეკის წევრია, მის ტერიტორიაზე უხვად მოიპოვება ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, რკინა და სხვა ლითონები. განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია. ასევე, სოფლის მეურნეობა.

ამასთან, ვენესუელაში ტურისტული ბიზნესის აყვავებისათვის ყველა პირობა არსებობს. კარიბის ზღვის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, აქ გაცილებით იაფად შეიძლება დასვენება. გარდა ამისა, ტურისტებისათვის მიმზიდველია წარმტაცი ანდები და მსოფლიოში ყველაზე მაღალი ანხელის ჩანჩქერი.



აქვე უნდა ითქვას, რომ ვენესუელაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის განვითარებული კომუნიკაციები და საბანკო სექტორი. თავისთავად ცხადია, ეს ქვეყნის ეკონომიკის ძალზე დიდი ნაკლია და უცხოური კაპიტალის შედინებასაც ერთგვარად ამუხრუჭებს. თუმცა, ეს ხარვეზი გამოსწორებისაკენ მიდის.

### იაფი და ლიბერალური

ვენესუელაში უცხოელების მიმართ ერთობ ლიბერალურად განწყობილი კანონმდებლობა მოქმედებს, რაც კაპიტალშედინების კიდევ ერთი სტიმულია. კერძოდ, ნებისმიერ უცხოელს შეუძლია, ადგილობრივი უძრავი ქონება თავისუფლად შეიძინოს. შეზღუდვა მხოლოდ სასაზღვრო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება.

კაპიტალდაბანდების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქვეყნის ოფიციალური დედაქალაქი კარაკასი, აგრეთვე, კარიბის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქები: ვალენსია, კუმანა, მარაკაი, კორო და, ცხადია, ზღვაში მდებარე პატარ-პატარა კუნძულები, რომლებიც ტურისტთა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ვენესუელაში უძრავი ქონების ბაზრის ვექტორი მკვეთრად სამხრეთითაა გადახრილი.

ვენესუელური კაპიტალი არც ისე ძვირია. კერძოდ, ქალაქებში 1 კვადრატული მეტრი საშუალო პრესტიჟულობის საცხოვრებელი ფართი 400-600 დოლარი ღირს, კიდევ უკეთესი კი 600-1000 დოლარამდე დაგიჯდებათ. რაც შეეხება მიწის ნაკვეთს, მისი ფასი 500-700 დოლარის ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, რომ ვენესუელაში სამშენებლო ბიზნესის წამოწყება საკმაოდ მომგებიანი საქმეა. ეს ქვეყანა ხომ იაფი მუშა ხელითა და სამშენებლო მასალებითაა განთქმული.

ვენესუელაში საგადასახადო კანონმდებლობაც ლიბერალურია. კერძოდ, უძრავი ქონების ფლობა წელიწადში ღირებულების 1 პროცენტით იბეგრება, მისი შეძენისას კი 0,5 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. ორჯერ მეტია იურიდიული და საშუამავლო ფირმების წილი. ქონების უახლოესი ნათესავებისათვის მემკვიდრეობით გადაცემის, ან ჩუქების შემთხვევაში გადასახადი 1 პროცენტს, შორეული ნათესავებისათვის 5 პროცენტს, ხოლო ნათესაურ კავშირში არმყოფი პირებისათვის 12 პროცენტს შეადგენს. საკუთრების შემდგომში გაყიდვისას მიღებული მოგების 14 პროცენტით დაიბეგრებით.

# ÃÉÃ ÓÀÌÄÖËÛÉ ÚÅÄËÀÆÄ

მერაბ ლორთქიფანიძე



*დიდი სამეულის მთავარი აღმასრულებლები (მარცხნიდან): რიჩარდ ვაგონერი, რობერტ ნარდელი და ალან მიულალი*

ვაშინგტონში დიდი ამერიკული სამეულის სტუმრობამ თავისი შედეგი გამოიღო - კონგრესმა თითქმის გადაწყვიტა, რომ საავტომობილო კომპანიებს გადასარჩენად 15 მილიარდი დოლარი გამოუყოს. ახლა დახმარების პირობები თეთრ სახლთანაა შესათანხმებელი. მართალია, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ავტომწარმოებლებისთვის დახმარების გაწევის წინააღმდეგი იყო, მაგრამ დიდია იმის ალბათობა, რომ ცოტა ხანში ის დემოკრატი კონგრესმენების მიერ მოწონებულ, ამერიკული დიდი სამეულის გადარჩენის პროგრამას ხელს მოაწერს.

თუ ასე არ მოხდა, ოვალურ კაბინეტში ახლად არჩეული ბარაკ ობამას მოსვლამდე კომპანიები დახმარებას აუცილებლად მიიღებენ. თუმცა რა მოცულობით და რა ფორმით, ეს ჯერაც გადასაწყვეტია.

სამი კომპანიიდან ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ჯენერალ მოტორსი და კრაისლერი არიან. ფორდი აცხადებს, რომ სახელმწიფოსგან დახმარების გარეშე, თუ ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესდა და მისი ამერიკელი კონკურენტები არ გაკოტრდებიან, გარე დახმარების გარეშეც გავა ფონს და მერე მომგებიან საქმიანობაზე გადავა. თუმცა ეკონომიკური კრიზისის დროს დაზღვეული არაფრისგანაა და აცხადებს, რომ სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში მილიარდს მოითხოვს.

რაც შეეხება ჯენერალ მოტორსსა და კრაისლერს , ისინი შავ დღეში არიან. პირველი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, მიმდინარე საქმიანობისთვის ფულადი სახსრები კი გააჩნია, თუმცა ისინი მერმის, ზაფხულისთვის ამოეწურება. კრაისლერს კი მიმდინარე წლის ბოლომდე მინიმუმ 4 მილიარდი დოლარი სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმიანობის შეჩერება მოუწევს.

ამერიკელი ავტომწარმოებლის გაკოტრებას, როგორც შექმნილი მდგომარეობიდან ერთ-ერთ გამოსავალს, თეთრ სახლში ახლაც განიხილავენ. უფრო მეტიც, ჯენერალ მოტორსს და კრაისლერს უკვე შემუშავებული აქვთ ეგრეთ წოდებული B გეგმა , რომელიც სახელმწიფოსგან დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში ამოქმედდება და გაკოტრების რეჟიმში მუშაობას ითვალისწინებს. თუმცა ორივე კომპანიის ხელმძღვანელობა კარგა ხანი ხმამაღლა აცხადებდა, რომ ეს გეგმები ყოველი შემთხვევისთვის შემუშავდა, რათა თუ საქმე საქმეზე მიდგა, მათი ნაჩქარევად შედგენა არ გამხდარიყო საჭირო. როგორც ჩანს, დემოკრატების წყალობით, მათ ამ გეგმების ამოქმედება (ჯერ-ჯერობით მაინც) არ დასჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ დიდი სამეულიდან ყველაზე მეტად ამ ეტაპზე ფორდის აქციები ფასობს. ამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია 7.8 მილიარდ დოლარს, ჯენერალ მოტორსისაზე თითქმის ორ-ნახევარჯერ მეტს შეადგენს. შედარებისთვის, ამ უკანასკნელს გაყიდვების მოცულობის მიხედვით აშშ-ს ბაზრის 22 პროცენტი უკავია, როცა ფორდის წილი მხოლოდ 15 პროცენტია.

არადა, სულ რამდენიმე დღის წინ ფორდის საბაზრო ღირებულებამ ბოლო 26 წლის მინიმუმს მიაღწია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კონგრესში დიდი სამეულის ხელმძღვანელთა პირველი ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა. მაშინ კონგრესმენებმა კომპანიების მთავარ აღმასრულებლებს - რიჩარდ ვაგონერს (ჯენერალ მოტორსი), ალან მიულალის (ფორდი) და ბობ ნარდელის (კრაისლერი) უსაყვედურეს - ასე რომ გიჭირთ, ვაშინგტონში კერძო თვითმფრინავებით არ უნდა ჩამოდიოდეთო. ამ საყვედურმა ამერიკულ საზოგადოებაზე მეტად უარყოფითად იმოქმედა. ბევრმა იმაზე ლაპარაკი დაიწყო, რომ ავტოკომპანიები გადასახადის გადამხდელებისგან დახმარებას არ იმსახურებენ და რომ მთავრობამ ისინი ბედის ანაბარა უნდა მიატოვოს.

აღმასრულებელთა ტრიოს პასუხმაც არ დააყოვნა. მეორე ვიზიტზე ისინი ვაშინგტონს საკუთარი კომპანიების მიერ წარმოებული (ეკონომიური) ავტომობილებით ეწვივნენ, რისთვისაც გზაში დაახლოებით 9 საათი გაატარეს. სამაგიეროდ, ეს ვოიაჟი ვაგონერმა ჯენერალ მოტორსის ელექტრომობილ შევროლე ვოლტის სარეკლამოდ გამოიყენა - ის დეტროიტიდან ვაშინგტონში სწორედ ამ ავტომობილით გაემგზავრა, რომელმაც მალე გენერლების იმიჯი რადიკალურად უნდა შეცვალოს.

ვაშინგტონში დიდი სამეულის მთავარი აღმასრულებლების მეორე ვიზიტი გაცილებით შედეგიანი და იმედისმომცემი გამოდგა - კონგრესმა 15 მილიარდზე დაიწყო ლაპარაკი. იმ ინფორმაციამ კი, რომელიც ფორდის შედარებით სტაბილურობას შეეხებოდა, ამ კომპანიის აქციები ორშაბათის ვაჭრობაზე 24 პროცენტით, 3.38 დოლარამდე გაზარდა. და მაინც, დირბორნული კომპანიის აქციები წლის დასაწყისის შემდეგ დაახლოებით 50 პროცენტითაა შემცირებული. შედარებისთვის, ჯენერალ მოტორსის აქციები ამ წლის განმავლობაში 80 პროცენტით დაეცა.

ფორდის მდგომარეობის შემსუბუქება ორი წლის წინ, მისი ახალი ხელმძღვანელის (ბოინგიდან გადმობირებული ალან მიულალის) მიერ კომპანიის აქტივების, მათ შორის ცისფერი ოვალის ბრენდის დაგირავებამ გამოიწვია. მაშინ ფორდმა გირაოს სანაცვლოდ 23 მილიარდი დოლარი მიიღო.

მოკლევადიან პერიოდში ფორდისთვის ყველაზე დიდი რისკი ჯენერალ მოტორსის გაკოტრებაა. საშუალოვადიან პერიოდში კი მთავარი რისკფაქტორი ის იქნება, რაც რეალურად არავინ იცის - რამდენხანს გასტანს ეკონომიკური კრიზისი, - ამბობს ფიტჩ რეიტინგის მმართველი დირექტორი მარკ ოლაინი. თუმცა, სპეციალისტების შეფასებით, კრიზისის გაჭიანურების შემთხვევაშიც, დიდი სამეულიდან ფორდს ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ექნება. ამის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ კონსამერ რიპორტის ბოლო გამოკვლევით, ფორდის პროდუქციამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

იმ დროს, როდესაც ანალიტიკოსები მერმისაც გაყიდვების შემდგომ კლებას ვარაუდობენ, ფორდის მდგომარეობა დიდ სამეულში კიდევ უფრო გამყარდება და არაა გამორიცხული, რომ დიდი ხნის შემდეგ დირბორნელებმა აშშ-ში გაყიდვებით ჯენერალ მოტორსსაც კი გადაასწრონ. ეს კი 1920-იანი წლების დასაწყისის შემდეგ აღარ მომხდარა. ეს ის დრო იყო, როდესაც ბაზარზე ჰენრი ფორდის ლეგენდარული ქმნილება, მოდელი T ბატონობდა. სხვათა შორის, ამ ავტომობილს წელს ასი წელი შეუსრულდა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მოდელ T -ს პოპულარობამ ფორდს ყურადღება მოადუნებინა, რითაც მისმა კონკურენტებმა (შევროლე, პონტიაკი, ბიუიკი) კარგად ისარგებლეს და ბაზარზე ახალი, ამ ავტომობილის კონკურენტი მოდელების გამოშვებით ინიციატივა ხელში ჯენერალ მოტორსს ჩაუგდეს.

გენერლებმა მსოფლიო ლიდერობა ორი წლის წინ ტოიოტას ჩააბარეს და მიუხედავად იმისა, რომ იქადნიდნენ, მალე ისევ პირველები ვიქნებითო, დღეს მათი მთავარი საზრუნავი გადარჩენაა.

დღეს ფორდი ხმამაღლა აცხადებს, რომ ჯერჯერობით მთავრობის დახმარებას არ საჭიროებს. მაგრამ თუ რომელიმე ამერიკული ავტოკომპანია გაკოტრდა, მაშინ ცისფერი ოვალი მთავრობისგან შეღავათიანი კრედიტის სახით 9 მილიარდ დოლარს მოითხოვს. და თუ ავტომობილების გაყიდვების მოცულობა კალავ მკვეთრად შემცირდება, მაშინ კომპანიას 13 მილიარდის სესხება დასჭირდება.

იბადება კითხვა, მაინც რატომ უნდა შეექმნას პრობლემები ფორდს იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ამერიკული საავტომობილო კომპანია გაკოტრდება. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში სერიოზული პრობლემები შეექმნებათ მაკომპლექტებლების მწარმოებლებს, რომელთა კეთილდღეობა უპირველესად სწორედ ავტოკომპანიებზეა დამოკიდებული. ჯენერალ მოტორსის ან კრაისლერის გაკოტრება მათაც გაკოტრების საშიშროების წინაშე დააყენებს. მათი ქმედითუნარიანობის დაქვეითება და გაჩერება კი სერიოზულ პრობლემებს ფორდს შეუქმნის, რომლის საწარმოებსაც შეიძლება გაჩერებაც კი მოუწიოთ.

ალან მიულალიმ კონგრესის წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ წინა ორი წლის განმავლობაში, რესტრუქტურიზაციის პროცესში, მისმა კომპანიამ 17 ქარხანა დახურა და შტატი 44 000 საათობრივი ანაზღაურების მქონე თანამშრომლითა და 12 000 მუდმივი სამუშაო ადგილით შეამცირა. გარდა ამისა, თითქმის განახევრდა სადილერო ქსელი და მიმწოდებელთა ბაზები.

და კიდევ, ფორდმა თავიდან დროულად მოიშორა სამი ინგლისური კომპანია - ასტონ მარტინი , ლენდ როვერი და იაგუარი , რომლებიც უზრუნველობის პერიოდში საკმაოდ ძვირად შეიძინა, მაგრამ ახლა კრიზისის შესამსუბუქებლად გაყიდა და რესტრუქტურიზაციისთვის საჭირო ფულადი სახსრებით შეავსო საკუთარი სალარო. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფორდის ქოლგის ქვეშ არსებობისას სამივე ინგლისური მარკა მეტწილად წამგებიანი იყო და ამერიკული კომპანიისთვის პრობლემების მეტი არაფერი მოუტანია. ახლახან ფორდმა იაპონურ კომპანია მაზდაში თავისი წილი შეამცირა, რის სანაცვლოდაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი მიიღო. ახლა კი დღის წესრიგში შვედური ვოლვოს გასხვისების საკითხი დადგა. სხვათა შორის, ეს ბოლო კომპანიაა, რომელიც ფორდის პრემიუმ ჯგუფში შედიოდა.

## სახელმწიფომ გასაყიდად 42 ობიექტი გამოიტანა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ კიდევ 42 ობიექტი გაიტანა. ობიექტები თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, დუშეთში, გარდაბანში, ზესტაფონში, კასპში, სამტრედიაში, ახალციხეში, მცხეთაში, ყაზბეგში, ლაგოდეხში, თეთრიწყაროსა და ყვარელში მდებარეობს. ყველაზე ძვირად არის შეფასებული თბილისში, ჯიქიას ქუჩა №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და 32 805 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 5 მილიონი აშშ დოლარი. ძვირადღირებულ ობიექტებს შორის არის თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის სარდაფში განთავსებული 180, 75 და 154 კვადრატული მეტრი არასაცხოვრებელი ფართები და წილობრივი მიწის ნაკვეთები. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 900 000 აშშ დოლარი. 42-ვე ობიექტი აუქციონის წესით 5 იანვარს გაიყიდება. **მედიანიუსი**

## ბეჟან ბუცხრიკიძე პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვის ვალდებულების გაუქმებას ითხოვს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან ბუცხრიკიძე გუშინ გამართულ რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე მთავრობისთვის პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვის ვალდებულების გაუქმების ინციატივით გამოვიდა. მან ეს ინიციატივა დეპუტატებს 2009 წლის ბიუჯეტის თანმდევი კანონპროექტის განხილვის დროს გააცნო. კანონპროექტის მიხედვით, მთავრობას პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვის ვალდებულება 2010 წლისთვის გადაუვადდება. როგორც დეპუტატი მიიჩნევს, არ არის აუცილებელი, მთავრობას პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვა კანონით ევალებოდეს. ამის არგუმენტად დეპუტატს ის მოჰყავს, რომ პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვის შეუძლებლობის შემთხვევაში კანონში ყოველთვის ცვლილების შეტანა გახდება საჭირო. პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვა მთავრობას ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ გურგენიძის ინიციატივით დაევალა. **მედიანიუსი**

## სემეკმა ყაზტრანსგაზ-თბილისი დააჯარიმა

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მოთხოვნა, სააქციო საზოგადოება ყაზტრანსგაზის" დაჯარიმების თაობაზე, დააკმაყოფილა. საქართველოს ლეიბორისტული პარტიის უშეღავათო ბრძოლა, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა კომპანია ყაზტრანსგაზის" წინააღმდეგ, ჩვენი წარმატებით დასრულდა. მარეგულირებელმა კომისიამ კომპანია ყაზტრანსგაზი" დააჯარიმა, ვინაიდან კომპანიის მოთხოვნა, 125-ლარიანი მრიცხველები მოსახლეობას საკუთარი ხარჯებით დაემონტაჟებინა, უკანონო იყო," - განაცხადა პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ. მისივე თქმით, ლეიბორისტული პარტია ამ საკითხზე შეჩერებას არ აპირებს და ის სემეკისაგან შესაბამისი ღონისძიებების გატარებას კომპანია თელასის" მიმართაც ითხოვს. ჩვენ სემეკისგან კატეგორიულად მოვითხოვთ, შესაბამისი ღონისძიებები კომპანია თელასის" მიმართაც განხორციელდეს, ვინაიდან კომპანია აიძულებს მოსახლეობას, ფართის მიხედვით ელექტროენერგიის ძველი გადასახადები გადაიხადონ. ეს გადაწყვეტილება 2003 წელს აკრძალულ იქნა ლეიბორისტული პარტიის ბრძოლის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამავე დროს, ჩვენ სემეკისაგან ელექტროენერგიის სატარიფო გადახედვასაც ვითხოვთ, ვინაიდან ელექტროენერგიის ის ტარიფი, რაც საქართველოში ამჟამად მოქმედებს, მაღალია," - განაცხადა პაატა ჯიბლაძემ. **მედიანიუსი**

## ევროკომისია უკრაინასა და რუსეთს გაზის ვალთან დაკავშირებით ვითარების დარეგულირებისკენ მოუწოდებს

ევროკომისია რუსეთსა და უკრაინას მოუწოდებს, რაც შეიძლება სწრაფად დაარეგულირონ ბუნებრივი გაზის ვალთან დაკავშირებული საკითხები. ამის შესახებ რია ნოვოსტი" იტყობინება. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ პრობლემის გადაჭრის გზები რაც შეიძლება სწრაფად მოიძებნება," - განაცხადა ევროკომისიის წარმომადგენელმა. უკრაინულ ნავთობგაზს" რუსეთის მიმართ სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში მიწოდებული გაზის დავალიანება აქვს. რუსული მხარის შეფასებით, ვალი 2,4 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. **ინტერპრესნიუსი**



ანაბარი "ჩემი სეიფი"

- თანხის თავისუფლად განკარგვის შესაძლებლობა
- მაღალი საპროცენტო სარგებელი

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ØÀÒÈÖËÉ ÄØÓÐ Ï ÒÔÉÓ

## უნაგირა საწევარა
TGA 18.430 4x2 BLS

ემისია: ევრო 3
სიმძლავრე: 430 ცხ.ძ.
კაბინა: XXL. მაღალი ჭერით
ძრავი: D2066LF01 Common-Rail
გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S 222 DD ინტარდერით
კრუიზკონტროლი, კონდიციონერი,
სრული ელექტრო პაკეტი,
დამოუკიდებელი გათბობის სისტემა
გარანტია: 2 წელი ან 200,000 კმ

მიწოდების ვადა 1 დღე

## ტენტიანი ნ/მისაბმელი
Schmitz Cargobull

მოცულობა: 93 მ³
დაკიდების სისტემა: პნევმატური
გარანტია: 1 წელი

სპეციალური ფასდაკლება
Man Nutzfahrzeuge AG-გან



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: info@ge.man-mn.com
244-744, 895 225-828 244-744 (1219) www.tegetamotors.ge


## იყიდება




საწარმოო ფართი შენობა-ნაგებობებითა და საჭირო ინფრასტრუქტურით, მიწის საერთო ფართი შეადგენს 17544 მ².
მისამართი: გლდანულა, ჯანჯღავას ქ. N62.
საკონტაქტო პირი: ბადრი ღლონტი 899 50 71 95.

## ცვლილებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში

შ.ს.ს მიერ 25.11.2008 წელს სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) მომსახურების შესყიდვაზე გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში შ ე ვ ი დ ე ს შემდეგი ცვლილებები:

1) შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სამედიცინო დაზღვევის (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) მომსახურების შესყიდვა

*ლოტი 1*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა **9492** (ცხრა ათას ოთხას ოთხმოცდათორმეტი) თანამშრომელი.

*ლოტი 2*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა **7285** (შვიდი ათას ორასოთხმოცდახუთი) თანამშრომელი.

*ლოტი 3*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევა, (საოჯახო დაზღვევის პაკეტი) სავარაუდო რაოდენობა **3637** (სამი ათას ექვსასოცდაჩვიდმეტი) თანამშრომელი.

2) განცხადების პუნქტი N3-ის „ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემი „ამონაწერი საჯარო რეესტრიდან" შეიცვალოს „ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან".

სატენდერო კომისია

## შ.პ.ს. „სოფიკო 89"-ს რეორგანიზაცია

**2008 წლის 4 დეკემბრიდან დაწყებულია შ.პ.ს. სოფიკო 89"-ს (რეგისტრირებული 17.08.1995 წ. დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ, გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო კოდი 201951307, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაონი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N137) რეორგანიზაციის პროცესი ნატურით გაყოფის გზით მისგან ორი საწარმოს: შ.პ.ს. „სოფიკო +"-ს და შ.პ.ს. „ბაგემა"-ს გამოყოფით, რის შედეგადაც შ.პ.ს. სოფიკო 89" შეწყვეტს არსებობას, ხოლო სამართალმემკვიდრეები გაყოფამდე აღებულ ვალდებულებებზე პასუხს აგებენ სოლიდარულად.**

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

**შ.პ.ს. „სოფიკო 89"**
**მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაონი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N137**
**ტელ: 35 06 66, 8 99 35 52 53**
**დირექტორი - ქ-ნი მაყვალა ბუზალაძე**

## შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ვაკანსიას *აღრიცხვის კვანძების ინსპექტორის* თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- კვალიფიკაცია: **ინჟინერ-ელექტრიკოსი**
- ენერგოსისტემაში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა.
- ელექტროდანადგარების და მოწყობილობების კონსტრუქციული შესრულების, მოქმედების პრინციპების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება: Microsoft Office
- საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხანგრძლივი მივლინების საშუალება

**ფუნქციები:**
- აღრიცხვის კვანძების შემოწმება (მრიცხველი, მისი მკვებავი კაბელი, დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორები) მრიცხველიდან ინფორმაციის მოხსნა და ანალიზი, ვექტორული დიაგრამების გადაღება, მიერთების სქემის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში მრიცხველის ცდომილების დადგენა
- აღრიცხვის კვანძების შემოწმებისა და ექსპლოატაციაში მიღების შესახებ სათანადო ფორმით დადგენილი აქტის შედგენა, შემოწმების შედეგების საფუძველზე სათანადო დასკვნის მომზადება
- აღრიცხვის კვანძებში დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აღურიცხავი ელ.ენერგიის განსაზღვრისა და გადასაანგარიშებლად საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2009 წლის 26 იანვარს, 12 სთ-ზე ქ. თბილისში, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს (თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოპირდაპირედ), კავგვირაბმშენის ტერიტორიის მიმდებარედ შპს ეარ ვისოლის ოფისში გაიმართება შპს ეარ ვისოლი -ს საკუთრებაში არსებული ნავთობპროდუქტების ბაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს ეარ ვისოლის ოფისში - ქ. თბილისი, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს კავგვირაბმშენის ტერიტორიის მიმდებარედ.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში - ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.

**საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ 2009 წლის 23 იანვრის ჩათვლით, 16 საათამდე შემდეგ მისამართზე:**

**ქ. თბილისი, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს**
**კავგვირაბმშენის ტერიტორიის მიმდებარედ, ტელ: (995 32) 947676**
**ელ.ფოსტის მისამართი: avto.rodonaia@wissol.ge**
**შპს ეარ ვისოლი -ს ადმინისტრაცია**

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას
***ტრანსფორმატორების რემონტის ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი
- ტრანსფორმატორების რემონტის ტექნოლოგიური პროცესების, მისთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების მუშაობის პრინციპების და მათი გამოყენების ცოდნა
- მაღალი ძაბვის ქვესადგურების ექსპლუატაციისა და ტრანსფორმატორების რემონტის გამოცდილება
- სარემონტო საწარმოებში პროფილით მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა
- საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხანგრძლივი მივლინების საშუალება
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- რუსული ენის ცოდნა
- ასაკი: არაუმეტეს 55 წლისა
- სქესი: მამრობითი

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
აცხადებს ვაკანსიას
***ახალი ტექნოლოგიების, ტექნიკური უზრუნველყოფის და ქსელების ადმინისტრირების მთავარი სპეციალისტის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა

**დამატებითი ინფორმაცია სამუშაოს შესახებ:**

Windows ოპერატიული სისტემის ახალ კომპიუტერზე გამართვა, დაზიანებული სისტემის და ფაილების აღდგენა, ოპერატიული სისტემის რეგისტრებთან მუშაობა, ტექნიკური პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აღმოფხვრა, საოფისე პროგრამებთან მუშაობა და ინსტრუქტაჟის გაწევა, ლოკალურ ქსელთან მუშაობა, მომხმარებელთა საჭირო ინფორმაციის დამარქაფება, არასტანდარტული პროგრამების დანერგვის და ათვისების უნარი.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.
**ტელეფონი:** 201700 (1124)
8 77 232304
**საკონტაქტო პიროვნება:** გიორგი აფაქიძე

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: sysadmin@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას
***უსაფრთხოების ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**

- ტექნიკური უსაფრთხოების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ცოდნა
- სახანძრო უსაფრთხოების წესების მოქმედი ნორმების ცოდნა
- პირველადი დახმარების წესების და შრომითი კანონმდებლობის საფუძვლების ცოდნა
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლისა.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- სქესი: მამრობითი

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
აცხადებს ვაკანსიას
***კომპლექტაციის ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**

- ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების კონსტრუქციული შესრულების, მოქმედების პრინციპების ცოდნა
- კონსტრუქციული და საექსპლუატაციო მახასიათებლების ცოდნა
- ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების შერჩევის მეთოდების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- ინგლისური ენის ცოდნა
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 7 წლისა.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
აცხადებს ვაკანსიას
***გაზომვების ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**

- ელექტროდანადგარების კონსტრუქციული შესრულებისა და მუშაობის პრინციპების ცოდნა
- ელექტროდანადგარების გამოცდის ნორმების და მოცულობების ცოდნა
- ელექტროდანადგარების გამოცდის მეთოდების და გამზომი ხელსაწყოების მოქმედების პრინციპების და გამოყენების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა.
- საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მივლინების საშუალება
- სქესი: მამრობითი

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
აცხადებს ვაკანსიას
***დაგეგმარების ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**
- 220/110/35/10 კვ-ის ელექტრო მოწყობილობებისა და დანადგარების კონსტრუქციული მახასიათებლების ექსპლუატაციის წესების ცოდნა
- ფინანსური აღრიცხვის, ფინანსური მართვისა და მენეჯერული აღრიცხვის პრინციპების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- სერვის ცენტრების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური გეგმის გაანალიზება ტექნიკური და ფინანსური კუთხით.
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.
დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თბილქალაქგანათება" აცხადებს ღია ტენდერს საწარმოს ობიექტის დაცვის მომსახურების შესყიდვის შესახებ და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი № | მომსახურების დასახელება | განზომილება | მომსახურეობის ვადა |
|---|---|---|---|
| 1 | შ.პ.ს. "თბილქალაქგანათების" ობიექტის დაცვა | ობიექტი | 2009 წლის 31 დეკემბრამდე |

2. მიწოდების ვადა – ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7 შ.პ.ს. "თბილქალაქგანათება".

3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო, ანგარიშსწორება მოხდებაყოველთვიურად.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2008 წლის 30 დეკემბრის 12.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შ.პ.ს. "თბილქალაქგანათება". სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

5. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ/კ 220101502, ანგ. №013467736, ს/კ 208141474.

6. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 31 დეკემბრის 10.00 საათიდან 12.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7, შ.პ.ს. "თბილქალაქგანათება". სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2008 წლის 31 დეკემბერს 12:00 საათზე.

7. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

7.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ვ) ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და გამოყენების ნებართვა;

7.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები.

დ) ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და გამოყენების ნებართვა;

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-ანი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების საყოველთაო ვადას.

9. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ამირან ქურცუა, ტელ:45-45-13 (10-დან 17 საათამდე), ტელ: 899 327 605 ან მისამართზე: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის I შესახვევი №7.

სატენდერო კომისია.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს „თბილისის მეტრო", მის: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, 2009 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს **ვაგონების გენერალური და მიმდინარე დასუფავებით მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტს შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი ?2 ან/და ვებ გვერდზე www.metro.ge);

2. დაფინანსების წყარო: კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრები;

3. საქონლის მიწოდება უნდა დაიწყოს 2009 წის 1 იანვრიდან და დასრულდეს 2009 წლის 31 დეკემბერს.

4. პრეტენდენტებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, სატენდერო კომისიის აპარატში განცხადების გამოქვეყნებიდან 2008 წლის 30 დეკემბრის 18 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, ა/ა 021467029; ბანკის კოდი: 220101502; საიდ. კოდი: 202886788.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2008 წლის 31 დეკემბრის 11 საათამდე, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

6. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

7. ტენდერში გამარჯვებულის მიმართ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.

8. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

შენიშვნა: პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე, თუ იგი 2008 წლის 31 დეკემბრის 11 საათამდე არ წარმოადგენს სატენდერო განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტებსა და ინფორმაციას და/ან თუ სატენდერო წინადადება არ შესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირისაგან: ინგა ხვედელიძე, თინათინ შუბითიძე, გიორგი ჩიღვინაძე. ტელ: +995 32 935050; მისამართზე: საქართველო, 0112 თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, ელ-ფოსტა: procurement@metro.ge; შპს „თბილისის მეტრო" www.metro.ge

**სატენდერო კომისია**
**11 დეკემბერი, 2008 წელი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

## განცხადება

**მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის, პროგრამის განმხორციელებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებისათვის პრაგრამის/პროგრამების აკრედიტაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადის შესახებ**

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის, პროგრამის განმხორციელებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებისათვის პროგრამის/პროგრამების აკრედიტაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრა 2008 წლის 8 დეკემბრიდან 2008 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. N 68, ტელ: 91–02–27, ვებ-გვერდი: www.nea.ge ელექტრონული ფოსტა: info@nea.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

# განცხადება

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ 2008 წლის 08 ნოემბერს კომპიუტერული ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად ცნობილ იქნა:

შპს „ალგორითმი".

გამარჯვებულ ორგანიზაციასთან გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

შს სამინისტროს ქ.თბილისის
მთავარი სამმართველოს
სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ./ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (119) ფაქსი; ელექტრონული ფოსტა: E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს „გლობალური ფონდის“ პროექტების: „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში“ (პროექტი: №-GEO202-G01-H-00), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება“ (პროექტი №-GEO-607-G06-H), „DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში“ (პროექტი: №-GEO-405-G03-T), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება“ (პროექტი №-GEO-607-G05-T) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიის ეპიდემიის თავიდან აცილება“ (პროექტი №-GEO-607-G04-M) პროგრამის ფარგლებში სამედიცინო სახარჯი მასალებისა და სახარჯი ინვენტარის (სახარჯი მასალა და ინვენტარი კლინიკური და ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები („გლობალური ფონდის“ პროექტი: №-GEO-202-G01-H-00; პროექტი: №-GEO-607-G06-H; პროექტი: №-GEO-405-G03-T; პროექტი: №-GEO-607-G05-T; პროექტი: №-GEO-607-G04-M).

3. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტის № | შესყიდვის ობიექტის დასახელება | განზომილება (ცალი /კომპლექტი /ბოთლი /წყვილი /რულონი /პაკეტი) | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | სასწორის ქაღალდი | კომპლექტი | 5 |
| | სასწორის ჯამი | ცალი | 1000 |
| | ლინზის გასაწმენდი ქაღალდი | კომპლექტი | 220 |
| | ლაბორატორიული ჭურჭლის შესახვევი ლენტა, ავტოკლავირებისათვის | ცალი | 20 |
| | კონტეინერი მიკროსინჯარებისათვის | ცალი | 200 |
| | ავტოკლავის ლენტა | რულონი | 55 |
| | ავტოკლავის ჩანთა | კომპლექტი | 10 |
| | აბსორბენტი, დასაფენი ქაღალდი | კომპლექტი | 5 |
| ლოტი 2 | მარკერი, წყალ და ალკოჰოლმდგრადი | ცალი | 5 |
| | ლეიკოპლასტირი, ერთჯერადი | ცალი | 3100 |
| | კონტეინერი, გამოყენებული შპრიცების განადგურებისათვის, ერთჯერადი („Safe Box“) | ცალი | 61 |
| | ფილტრი, ლაბორატორიული, ქაღალდის | კომპლექტი | 57 |
| | დოლბანდი, ერთჯერადი | ცალი | 5000 |
| | ბამბა, ჰიგროსკოპული | პაკეტი | 1210 |
| | შტატივი, უნივერსალური, სინჯარებისათვის | ცალი | 20 |

4. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 12 კვირისა, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (მაგრამ საქონლის 25-35%-მდე მიწოდება უნდა განხორციელდეს - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1-4 კვირის ვადაში).
